




ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჟანა ებვაია



ქართული ავტოქთონური ვაზის ჯიშების და ველური
ვაზის (*Vitis vinifera* L. subsp. *sylvestris* [C.C. Gmel.] Hegi)
პოპულაციების შედარებითი მორფომეტრიული და
მოლეკულურ სისტემატიკური შესწავლა

სადისერტაციო ნაშრომი
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
მიმართულება: ეკოლოგია და კონსერვაციული ბიოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი,
ბიოლ. მეცნ. დოქტ. მაია ახალკაცი

თბილისი, 2011

შინაარსი:

1.	შესავალი	3-16
1.1.	კულტურული ვაზის წარმოშობა და მისი მნიშვნელობა	3-5
1.2.	ვაზის დომესტიკაციის კვლევის ისტორია	5-10
1.3.	ვაზის ფილოგენეტიკური კვლევა თანამედროვე მეცნიერებაში	11-13
1.4.	თემის აქტუალურობა	13-15
1.5.	კვლევის მიზანი და ამოცანები	15-16
2	მასალა და მეთოდიკა	17-38
2.1	კვლევის ობიექტი	17-27
2.1.1	ვაზის გვარის (<i>Vitis L.</i>) ზოგადი დახასიათება	17-21
2.1.2	საკვლევი მასალა	22-27
2.2.	მეთოდიკა	27-38
2.2.1.	მორფოლოგიური და მორფომეტრიული კვლევა	27-32
2.2.2.	მოლეკულურ-სისტემატიკური კვლევა	32-36
2.2.3.	მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი	36-38
2.2.3.1.	მორფოლოგიური და მორფომეტრიული მონაცემების ანალიზი	36-37
2.2.3.2.	მოლეკულურ-სისტემატიკური მონაცემების ანალიზი	37-38
3.	შედეგები	39-74
3.1.	ველური ვაზის - <i>Vitis vinifera L. subsp. <i>sylvestris</i> (C. C. Gmel.) Hegi</i> , ქართული პოპულაციების მორფოლოგიური მრავალფეროვნება	39-50
3.2.	ვაზის კულტურული ჯიშების და ველური სახეობების მორფოლოგიური მრავალფეროვნება და ურთიერთკავშირი	51-61
3.3	ვაზის კულტურული ჯიშების და ველური სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნება და ურთიერთკავშირი	61-74
4.	განხილვა	75-86
5.	დასკვნა	86-89
6.	ნაშრომის პრეზენტაცია	89-92
7.	მადლიერება	92
8.	ლიტერატურის სია	93-102
9.	რეზიუმე (ინგლისურად)	103-123
	დანართი 1.	124-192

შესავალი

1.1. კულტურული ვაზის წარმოშობა და მისი მნიშვნელობა

ვაზი უნიკალურია, არა მარტო იმიტომ, რომ ის მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენს, არამედ იმის გამოც, რომ მას გააჩნია უძველესი ისტორიული კავშირი ადამიანის ცივილიზაციის განვითარებასთან. ცნობილია (Braudel, 1966; McGovern, 2003), რომ მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდა ბრინჯაოს ხანიდან, როდესაც ღვინის ინტენსიურმა წარმოებამ საფუძველი ჩაუყარა ვაჭრობას და ხელი შეუწყო ისეთი მაღალგანვითარებული თანასაზოგადოებების წარმოქმნას (Renfrew, 1972), რომლებსაც შეეძლოთ შრომის მენეჯმენტი და ინვესტიციების ჩადება ამ დარგში (Gilman, 1981). საქართველოში, ღვინის ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა უძველესი დროიდან (ჯავახიშვილი, 1934) და ქვეყნის ოკუპაციის დროს, დამპყრობლების მხრიდან ვენახების გაჩეხვის მიზანს წარმოადგენდა, სწორედ ქვეყნის ეკონომიკის დაქვეითება და შემოსავლის შემცირება. ამიტომ, ვაზის მოშინაურების საკითხი წარმოადგენს მეცნიერული კვლევის ფართო სპექტრს, რომელიც ბოტანიკურ-სისტემატიკური კვლევის გარდა მოიცავს არქეოლოგიურ, პალეონტოლოგიურ და ისტორიული კვლევის მიმართულებებს და, რა თქმა უნდა, უფრო მეტ აქტუალობას მატებს ჩვენს მიერ არჩეულ თემატიკას, რადგან ქართული ვაზის ჯიშები ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მსოფლიო მასშტაბით.

კულტურული ვაზის წარმოშობის საკითხი დღემდე დისკუსიის საგანია, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად დაზუსტებული, თუ სად და რამდენჯერ (ერთხელ თუ მრავალჯერ) მოხდა ვაზის მოშინაურება ველური წინაპრის გავრცელების სხვადასხვა არეალში. ბოლო მონაცემების თანახმად, კავკასია, და კერძოდ, საქართველო განიხილება კულტურული ვაზის (*Vitis vinifera* L.) წარმოშობის ერთ-ერთ პირველად ცენტრად, სადაც, ვაზის ევოლუცია მიმდინარეობდა უხსოვარი დროიდან (De Candolle, 1885; Вавилов, 1931; ჯავახიშვილი, 1934; Негруль, 1946; კეცხოველი და სხვ., 1960; რამიშვილი, 1988; Damania et al., 1997; Sefc et al., 2003; Costantini, 2004; This et al., 2006; Vouillamoz et al., 2006). ამ მონაცემების თანახმად, მევენახეობისა და მეღვინეობის ტექნოლოგია ჩაისახა სწორედ სამხრეთ კავკასიაში,

სავარაუდოდ, ძვ. წ. 6000-4000 წწ. ამის შემდეგ, კულტურული ვაზი გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, იქიდან ახლო აღმოსავლეთში, საბოლოოდ კი მოხვდა ამერიკაში.

საქართველოში მისი ხანგრძლივი კულტივირების დამადასტურელ ფაქტს წარმოადგენს თესლების არქეოლოგიური ნარჩენები, რომლებიც ძვ. წ. დაახ. 6000 წ-ით თარიღდება (სოფ. შულავრის მიდამოები, ქვემო ქართლი; რამიშვილი, 1988). საინტერესოა, რომ ამავე პერიოდის უძველესი არქეოლოგიური მასალა ნაპოვნია საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე, კერძოდ, ჩრდილოეთ ირანში, ზაგროსის მთებში აღმოჩენილია პრეისტორიული ღვინის წარმოების არტეფაქტები, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. 5400-5000 წწ-ით (McGovern, 2003), ხოლო ახლო აღმოსავლეთში, ლევანტში, ნაპოვნი თესლები დათარიღებულია ძვ. წ. 4000-3200 წწ-ით (Zohary, Spiegel-Roy, 1975; Zohary, Hopf, 2000).

მეორე ინდიკატორად, რომ სწორედ კავკასიის რეგიონი წარმოადგენს კულტურული ვაზის წარმოშობის პირველად ცენტრს, შესაძლებელია განვიხილოთ ამ არეალისთვის დამახასიათებელი კულტურული და ველური ვაზის დიდი მორფოლოგიური და გენეტიკური მრავალფეროვნება (Grassi, 2003; Ekhvaia, Akhalkatsi, 2010). საქართველოში აღწერილია ვაზის 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში, რომლებიც გამოირჩევა ნაყოფის ფერის ფართო სპექტრით და მარცვლებისა და თესლების ფორმათა მრავალფეროვნებით (ჯავახიშვილი, 1934; კეცხოველი და სხვ., 1960). ამასთან, ვაზის ქართული ჯიშები ამჟღავნებს დიდ ამპელომეტრულ მრავალფეროვნებას და ფართო შეგუებას განსხვავებულ კლიმატთან და ნიადაგთან (Виноградов-Никитин, 1929; Негруль, 1946; კეცხოველი და სხვ., 1960; რამიშვილი, 1970; ცერცვაძე, 1989; Ekhvaia, Akhalkatsi, 2006; Ekhvaia et al., 2007). დიდი მორფოლოგიური მრავალფეროვნების საფუძველზე, ნ. ვავილოვი (Вавилов, 1931) კავკასიის რეგიონს განიხილავდა ვაზის ევოლუციურ ცენტრად, რომლის კიდევ ერთ დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს აქ გავრცელებული ველური ვაზის, უსურვაზის - *V. vinifera* subsp. *sylvestris* [C. C. Gmel.] Hegi, მრავალრიცხოვანი პოპულაციების არსებობა, რომელიც კულტურული ვაზის უშუალო წინაპრად განიხილება.

სწორედ, ნ. ვავილოვის (Вавилов, 1931) ამ იდეას ეყრდნობა კულტურული ვაზის წარმოშობის და თანამედროვე ვაზის ჯიშების გენეტიკური კავშირების

დადგენის მიზნით განხორციელებული თანამედროვე კვლევები (Grassi et al., 2003, 2006, 2008; This et al., 2006; Vouillamoz et al., 2006; De Mattia et al., 2008; Ekhvaia, Akhalkatsi, 2010; Ekhvaia et al., 2010; Beridze et al., 2011), რათა გამოვლინდეს გენეტიკური კავშირი უძველეს ადგილობრივ ჯიშებსა და ველური ვაზის პოპულაციებს შორის, რაც დაადასტურებს ვაზის მოშინაურების ადგილის არსებობას.

საქართველო, რომელიც განიხილება ვაზის ფორმათწარმოქმნის და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ერთ-ერთ უპირველეს კერად, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ არეალს მსგავსი კვლევების ჩასატარებლად, რამაც უნდა დაადგინოს ამ მოსაზრების საფუძვლები მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ამიტომ, ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს დადგინდეს მორფოლოგიური და გენეტიკური კავშირი ვაზის ქართულ ავტოქთონურ ჯიშებსა და საქართველოს ტერიტორიაზე მოზარდი ველური ვაზის ინდივიდებს შორის მორფომეტრიული და მოლეკულურ-სისტემატიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით, რამაც უნდა დაადასტუროს ვაზის ქართული ჯიშების წარმოშობა ველური ვაზის ადგილობრივი პოპულაციებიდან.

1.2. ვაზის დომესტიკაციის კვლევის ისტორია

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ვაზის შესწავლით დაინტერესებულნი იყვნენ, ჯერ კიდევ, ძველი დროის ბუნებისმეტყველები და აგრონომ-ფილოსოფოსები. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბერძნეთსა და ძველი რომის იმპერიაში (თეოფრასტე, ძვ. წ. 357-297 წწ.; ვირგილიუსი, ძვ. წ. 70-19 წწ.; კოლუმელა, I საუკუნე; პლინიუსი, ჩვ.წ. 23-79 წწ.). ცნობები ძველ საქართველოში არსებული ღვინის წარმოების მაღალ კულტურაზე მოიპოვება ჰომეროსის, აპოლონ როდოსელის, ქსენოფონტეს და სტრაბონის ნაწარმოებებში. ქსენოფონტესა და სტრაბონის (ძვ. წ. 200 წწ.) ცნობით, საქართველოში მევენახეობა და მეღვინეობა კარგად იყო განვითარებული და ღვინოს ქვევრში ინახავდენ (ჯავახიშვილი, 1934). მათივე ცნობით, კარგი ვენახები იყო ქართლში, კახეთში, ჰერეთში (დღევანდელი საინგილო), და ალბანეთში (დღევანდელი აზერბაიჯანი). ზოგადად, მევენახეობა ერთ-ერთი უძველესი დარგია სოფლის

მეურნეობაში და მვ. წ. IX-VII საუკუნეებში საკმარისად კარგად იყო განვითარებული ეგვიპტეში, ასურეთში, პალესტინასა და ძველი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ა. ნეგრულის (1946) მონაცემების თანახმად მევენახეობა დამოუკიდებლად განვითარდა „დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში და აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონში“. მისივე მონაცემების თანახმად, მევენახეობა საქართველოდან გავრცელდა საბერძნეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შემდეგ კი რომში, სიცილიასა და სხვა ქვეყნებში.

ის გარემოება, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ცნობილია ვაზის 6.000-ზე მეტი ჯიში, მევენახეობის განვითარების რამდენიმე ცენტრის არსებობის სავარაუდო ფაქტია. ამათგან, კულტურული ვაზის წარმოშობისა და მეღვინეობის განვითარების მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და არის საქართველო, სადაც ჩამოყალიბდა 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში, ანუ მსოფლიოში გავრცელებული ჯიშების 8.3%; ჯიშების ეს რაოდენობა არის ისტორიულ წარსულში წარმოშობილი ჯიშები და არა თანამედროვე სელექციის შედეგად მიღებული, რაც დიდი რაოდენობით იქნა წარმოებული მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გავრცელებული ჯიშების უმრავლესობა არის ქართული ტრადიციული ჯიშები და მათი ჰიბრიდიზაციის შედეგად სელექციურ სადგურებში გამოყვანილი თანამედროვე ჯიშები. ფაქტიურად, არც ერთ ქვეყანას არა აქვს ვაზის იმდენი ავტოქთონური ჯიში, რამდენიც საქართველოს. ცნობილია, რომ საქართველოში ვაზის ჯიში 2.5-ჯერ მეტია ვიდრე აზერბაიჯანში (200 ჯიში), 5.5-ჯერ მეტი, ვიდრე სომხეთში (90 ჯიში), 2.5-ჯერ მეტი, ვიდრე შუა აზიაში (200 ჯიში), 3.5-ჯერ მეტია ვიდრე დაღესტანში (150 ჯიში). ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო 1180-მდე ჯიში, აქედან ქართული ჯიში 524-ია, რაც 44,4 %-ს შეადგენს (კეცხოველი და სხვ., 1960).

პირველი მკვლევარი, რომელიც სამხრეთ კავკასიის ვაზით მეცნიერულ დონეზე დაინტერესდა, იყო ფრიდრიხ კოლენატი (Kolenati, 1846). მან, 1834-44 წლებში, იმოგზაურა საქართველოს მევენახეობის რეგიონებში, ვაზის ყვავილობისა და სიმწიფის პერიოდში და ამპელოგრაფიულად აღწერა 48 ადგილობრივი ჯიში და ველურად მოზარდი ვაზის მრავალი პოპულაცია. ამის საფუძველზე, სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული კულტურული და ველური ვაზის ყველა მორფოტიპი, ფოთლის შებუსვის ინტენსივობის მიხედვით, ტაქსონომიურად ორ ქვესახეობად

იქნა დაყოფილი: შეუბუსავი - *V. vinifera* subsp. *anebophylla* Kolen. და შებუსული - *V. vinifera* subsp. *trichophylla* Kolen. ამავე დროს, მან მოახდინა ადგილობრივი ჯიშების კლასიფიკაცია მტევნის, მარცვლის და ფოთლის მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით. იმის მიუხედავად, რომ ფ. კოლენატის მიერ ჯიშების სახელწოდებები დამახინჯებულია, რაც თანამედროვე სახელწოდებებთან იდენტიფიკაციას აძლევს, ნაშრომი ამპელოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია (Рамишвили, 1988).

იგივე და მომდევნო პერიოდს მიეკუთვნება ქართულ ვაზის ჯიშებზე გამოქვეყნებული მცირე ამპელოგრაფიული ნარკვევები (Гагенмейстер, 1845; Пахомов, 1855; ჯორჯაძე, 1871; ნაკაშიძე, 1886; Тимофеев, 1886; წინამდლვრიშვილი, 1889; ყიფიანი, 1890; Андроников, 1891; Понятковский, 1893; ქვარიანი, 1895; Дандуров, 1895; Кандуралов, 1897; Аверкин, 1932; ჩოლოყაშვილი, 1929, 1938, 1939). მევენახეობისა და ვაზის ჯიშთამცოდნეობის საკითხების საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ 1930-ანი წლებიდან დაიწყო. ამპელოგრაფიული კვლევის მიმართულებით აღსანიშნავია ი. ჯავახიშვილის საფუძვლიანი ნაშრომი - ეკონომიური ისტორიის მეორე წიგნი (1934). სადაც, ლინგვისტური კვლევის საფუძველზე მოცემულია საქართველოში გავრცელებული ვაზის აბორიგენული ჯიშების წარმოშობის, გავრცელების არეალისა და ძირითადი, მორფოლოგიურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიმოხილვა. ქართული ამპელოგრაფიის დიდი მონაპოვარია აგრეთვე ნ. კეცხოველის, მ. რამიშვილის და დ. ტაბიძის მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს ამპელოგრაფია“ (1960). აქ ფართოდაა განხილული საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიული წარსული, დარაიონება, გარემო-ეკონომიკურ ფაქტორთა დახასიათება, ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა და სხვ. აღსანიშნავია, აგრეთვე, რ. რამიშვილის მონოგრაფია „ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია“ (1988), რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ავტორის მიერ მოპოვებულ მრავალრიცხოვან მასალაზე და არქეოლოგიურ მონაცემებზე და ნ. ცერცვაძის „საქართველოს კულტურული ვაზის კლასიფიკაცია“ (1989), რომელშიც დადგენილია ქართული ვაზის ჯიშების ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის ფარგლებში მორფოლოგიურ ნიშანთა და ბიოლოგიურ თვისებათა კავშირები. ამასთან, დაზუსტებულია ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია მასში შეტანილი სათანადო კორექტივებით.

ამრიგად, ცერცვაძის (1989) მონაცემების თანახმად, ქართული ვაზის კულტურული ჯიშების თანამედროვე გენოფონდი იყოფა ორ დიდ, მკვეთრად

განსხვავებულ ჯგუფად: 1. **დასავლეთ საქართველოს ჯგუფი**, რომელშიც გაერთიანებულია იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის და აფხაზეთის ვაზის ჯიშები. ისინი მიეკუთვნებიან უძველეს, კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათწარმოქმნის კოლხეთის კერას და ხასიათდებიან დომინანტური ნიშნებით, როგორიცაა ძლიერ შებუსული და სუსტად ან საშუალოდ დანაკვთული ფოთოლი, უმეტესად საშუალო ზომის მტევანი, საშუალო ზომის და მომრგვალო-ოვალური, ან მომრგვალო წვნიანი მარცვალი; ყურძნის საგვიანო და ძლიერ საგვიანო სიმწიფის პერიოდი. ამ ჯგუფის ვაზის ჯიშები მიეკუთვნებიან ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს - *proles pontica subproles georgica* Negr. თუმცა, ამ ჯგუფის უმნიშვნელო ნაწილს ახასიათებს რეცესიული ნიშნებიც, როგორიცაა აბლაბუდისებრად შებუსული ფოთოლი, რაც ცერცვაძის აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ ეს „ადგილობრივი აბორიგენული ჯიშები, საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მრავალსაუკუნოვანი ფორმათწარმოქმნის პროდუქტია“. ამიტომ, ქართული ვაზის ჯიშების კლასიფიკაციის დაზუსტების მიზნით, მან *proles pontica subproles georgica*-ს ჯგუფი დაყო ორ ქვეჯგუფად:

1) Convar. *pontica* subconvar. *georgica* Negr. provar. *tomentosae* Tserts. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ჯიშები, რომელთაც ახასიათებთ ძლიერ ქეჩისებრ შებუსული ფოთლები;

2) Convar. *pontica* subconvar. *georgica* Negr. provar. *araneosae* Tserts. - ჯიშები აბლაბუდისებრად შებუსული ფოთოლით.

2. **აღმოსავლეთ საქართველოს ჯგუფი** - მოიცავს კახეთისა და ქართლის ჯიშებს, რომლებიც ხასიათდება სუსტად და იშვიათად ძლიერ შებუსული, საშუალოდ დანაკვთული ფოთლებით; საშუალო და დიდი ზომის მტევნებით; საშუალო, მომრგვალო-ოვალური, ან ოვალური წვნიანი, ზოგჯერ კნატუნა მარცვლებით და სიმწიფის საშუალო პერიოდით. მორფოლოგიური ნიშნებითა და ბიოლოგიური თვისებებით მიეკუთვნებიან ა. ნეგრულის *proles orientalis subproles georgica*-ს ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს. ისინი ქართული აბორიგენული ჯიშებია და წარმოშობილი არიან ალაზნის კერაში. აღმოსავლეთ საქართველოს ჯგუფი, რომელიც ხასიათდება გამოვლენილი რეცესიული ნიშნებით, ცერცვაძის აზრით „ჩამოყალიბდა სივრცობრივი იზოლაციის შედეგად, დომინანტურ გენთა კონცენტრაციის არეალის პერიფერიაზე, ევოლუციის ფაქტორების: ცვალებადობის, მემკვიდრეობისა და

გადარჩევის გავლენით, კულტურული ჯიშების გენეზისში გარეული ვაზის სახეშეცვლილი, სუსტად შებუსულფოთლიანი ფორმის მონაწილეობით“.

სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ველურად მოზარდი ვაზის გამოკვლევა XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. ჟ. გამბა (1824), ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, საფრანგეთის კონსული თბილისში, რომელმაც 1820 წ-ს საქართველოში იმოგზაურა, პარიზში გამოქვეყნებულ ნაშრომში წერდა, რომ კახეთის ტყეებში მოგზაურობის დროს ყველგან ხვდებოდა ხეზე შემოხვეულ ველური ვაზის ლიანებს, რომელთა ნაყოფიდან ადგილობრივი მოსახლეობა ღვინოს აყენებდა. მაგრამ, მას ყველაზე მეტად აოცებდა, რომ ყურძნის მნიშვნელოვანი ნაწილი ხეებზე მოუკრეფავი რჩებოდა. ველურად მოზარდ ვაზთან ერთად, რომელსაც მოვლა არ ესაჭიროებოდა, მნიშვნელოვანი ფართობი კულტურულ ნარგაობას ეკავა, რომელიც საუკეთესო მოსავლიანობით და ღვინის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

აგრეთვე, კავკასიის ველურად მოზარდი ვაზის კლასიკოს მკვლევართაგან შეიძლება დასახელდეს ა. დე კანდოლე (De Candolle, 1885), ფ. რუპრეხტი (Рупрехт, 1864) და გ. რადდე (Радде, 1901). მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან სამხრეთ კავკასიის ვაზის გენეტიკური რესურსების კვლევისადმი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება. ქვეყნდება ნ. ვავილოვის (Вавилов, 1926, 1931), რ. ერგესიანის (Ергесян, 1946), პ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის (Бурчак-Абрамович, 1953), ე. ჩამაგუას (Чамагуа, 1968), მ. რამიშვილის (1970), რ. რამიშვილის (1965, 1970, 1973, 1985) და სხვათა შრომები, სადაც დახასიათებულია ცალკეული ქვეყნის, რეგიონის, კუთხის თუ ხეობის ველურად მოზარდი ვაზის მორფოლოგიურ-სამეურნეო ნიშან-თვისებები და მოცემულია ამ მცენარის სისტემატიკური აღწერა.

ამ მხრივ, მეტად საინტერესოა რ. რამიშვილის „ამიერკავკასიის ველურად მოზარდი ვაზი“ (Рамишвили, 1988), სადაც განიხილება *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის სელექციის, სისტემატიკის, ფილოგენიისა და ევოლუციის საკითხები. ველური ვაზის ფილოგენეტიკური მონაცემების ანალიზისა და გავრცელების ინტენსივობის საფუძველზე, რ. რამიშვილის მიერ სამხრეთ კავკასიის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი დაიყო ფორმათწარმოქმნის 2 კერად: 1) ალაზნის კერა, რომელშიც გაერთიანებულია მთლიანად აღმოსავლეთ საქართველო და სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიები. და 2) კოლხეთის კერა - დასავლეთ საქართველო და შავი ზღვის სანაპირო ზოლი. ალაზნის კერაში ვაზის გავრცელების

ინტენსივობის მიხედვით გამოიყო შემდეგი არეალები: 1) **საინგილო**, რომელშიც შედის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდ. ალაზნის ქვედა შენაკადების ხეობები და ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი 3 ადმინისტრაციული რაიონით - ბელექანი, ზაქათალა და კახი; 2) **ალაზან-ივრის არეალი**: ა) მდ. ალაზნის ზედა და შუა შენაკადების ხეობები და ბ) მდ. ივრის შუა და ქვედა შენაკადები; 3) **ქვემო ქართლი**, რომელიც მოიცავს მდინარეების: ა) ხრამის, ბ) ალგეთის, გ) მაშავერას და დ) დებედის ხეობებს (ლორი, სომხეთი). ეს არეალი აერთიანებს დმანისის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, მარნეულის და ალავერდის (სომხეთი) ადმინისტრაციულ რაიონებს; 4) **ქართლი**: ა) მდ. მტკვრის შუა აუზის ნაწილი აზერბაიჯანის საზღვრამდე; ბ) მდ. არაგვის ხეობა და გ) თბილისის შემოგარენი, და 5) **სამცხე-ჯავახეთი, რომელიც მოიცავს** მდ. მტკვრის ზედა შენაკადებს. რაც შეეხება კოლხეთის კერას, აქ გამოიყოფა 3 არეალი: 1) **რაჭა-ლეჩხუმი**: ა) მდ. რიონის ზედა შენაკადებით (ონის და ამბროლაურის რაიონები) და ბ) მდ. ცხენისწყლის შუა აუზი (ლეჩხუმი); 2) **ზემო იმერეთი, რომელიც** - მოიცავს მდ. ყვირილას ხეობას და 3) **შავი ზღვის სანაპირო ზოლი**: ა) აფხაზეთი და ბ) აჭარა.

საქართველოში წარსულში ჩატარებული კვლევები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაზის ქართული ჯიშების ამპელოგრაფიული მონაცემების თვალსაზრისით. აგრეთვე, ველური ვაზის პოპულაციების გავრცელების და მათი მორფოლოგიური მრავალფეროვნების დადგენის კუთხით. მეცნიერთა მიერ აღწერილი კულტურული ჯიშების და ველური ვაზის მაღალი მრავალფეროვნება საქართველოს ტერიტორიაზე, საფუძველს ქმნის შემდგომი კვლევების ჩასატარებლად, რათა დადგინდეს კულტურულ ჯიშებსა და ველურ ვაზს შორის არსებული მორფოლოგიური და გენეტიკური კავშირები. დღემდე, ამის შესახებ მოსაზრებები მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზეა გამოთქმული და არ არის დადასტურებული მეცნიერულად, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ამიტომ, აუცილებელი იყო შემდგომი კვლევების ჩატარება ვაზის დომესტიკაციის ადგილის გამოსავლენად, რასაც დღეისათვის ეძღვნება მრავალი მეცნიერის კვლევა მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის საქართველოშიც.

1.3. ვაზის ფილოგენეტიკური კვლევა თანამედროვე მეცნიერებაში

დღემდე დაუდგენელია კულტურული ვაზის წარმოშობის საკითხი. ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული, თუ სად და რამდენჯერ (ერთხელ თუ მრავალჯერ) მოხდა ვაზის მოშინაურება ველური წინაპრის გავრცელების სხვადასხვა არეალში. დღეისათვის, კულტურული ვაზის დომესტიკაციის ადგილის და დროის დასადგენად დიდი ყურადღება ექცევა ველური ვაზის გენოფონდის მრავალფეროვნების კვლევას, რადგანაც გენეტიკური კავშირის დადგენა აბორიგენულ ჯიშებსა და ადგილობრივი ველური ვაზის გენოტიპებს შორის ცალსახად ადასტურებს ვაზის წარმოშობის პირველადი ცენტრის არსებობას იმ გეოგრაფიულ რეგიონში, სადაც ასეთი ნათესაური კავშირები გამოვლინდება (Aradhya et al., 2003; Grassi et al., 2003, 2006, 2008; Ekhvaia et al., 2010).

მაგალითად, მ. კ. არადიასა და სხვათა მიერ (Aradhya et al., 2003) შესწავლილი იქნა 222 კულტურული (*V. vinifera*) და 22 ველური (*V. vinifera* subsp. *sylvestris*) ვაზის ნიმუში 8 მიკროსატელიტური ლოკუსით. კვლევის შედეგად შესწავლილ ნიმუშებს შორის იდენტიფიცირებული იქნა 94 ალელი. მულტივარიაციულმა ანალიზმა გამოავლინა 16 გენეტიკური ჯგუფის არსებობა, რომელიც გაერთიანდა 3 კლასტერში და შეესაბამება ა. ნეგრულის კლასიკურ ეკოგეოგრაფიულ კლასიფიკაციას (Негруль, 1946): *proles occidentalis*, *proles pontica* და *proles orientalis*. ხოლო, შესწავლილი ნიმუშების გენეტიკური დიფერენცირების ხასიათი მიუთითებს იმაზე, რომ კულტურული ვაზის გერმპლაზმა წარმოადგენს ერთიან გენოფონდს და მისი სტრუქტურა განპირობებულია ხანგრძლივი ხელოვნური სელექციით და ვეგეტაციური გამრავლებით. ეს შედეგები ეთანხმება ა. ნეგრულის თეორიას (Негруль, 1946), რომელიც დაფუძნებულია ფენოტიპურ ვარიაბელობაზე, რომლის თანახმად, ანატოლია და სამხრეთ კავკასია წარმოადგენს მრავალფეროვნების ცენტრს *V. vinifera*-ს ჯიშებისთვის. დღევანდელი მონაცემების მიხედვით (რამიშვილი, 1988), მაღალი გენეტიკური მრავალფეროვნება სწორედ აქ არის ნაპოვნი.

აგრეთვე, საინტერესოა ამ მხრივ ფ. გრასის კვლევა (Grassi et al., 2003, 2006), რომელიც მოიცავდა ველური ვაზის (*V. vinifera* subsp. *sylvestris*) 78 პოპულაციის ანალიზს ხმელთაშუა ზღვის რეგიონიდან, მცირე აზიის და კავკასიის დამატებით.

თუმცა, საქართველოდან მხოლოდ ერთი ნიმუში იქნა შესწავლილი და ისიც არა ველური ვაზი, არამედ კახური ჯიში, ‘ქისი’. საბოლოოდ, ქლოროპლასტური დნმ-ის ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ველური ვაზის 418 ნიმუში. შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე მეტი გენეტიკური ვარიაბელობა ნაპოვნი იქნა კავკასიაში და იტალიის ცენტრალურ რეგიონებში, ე.ო. ყველა, ხუთივე ჰაპლოტიპის ჩვენებით. ამასთან, ჰაპლოტიპების განაწილების ხასიათი კავკასიის რეგიონის პოპულაციებში, ფ. გრასის აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ კავკასია წარმოადგენს კულტურული ვაზის დომესტიკაციის სავარაუდო ცენტრს.

თუმცა, არსებობს მოსაზრება (Sefc et al., 2003; Arroyo-Garcia et al., 2006; Vouillamoz et al., 2006; Imazio et al., 2006; This et al., 2006), რომ წარმოშობის ცენტრი, შესაძლოა, იყოს რამდენიმე და ეს ფაქტიც უკავშირდება ადგილობრივი ველური ვაზის გენოფონდის გამოყენებას სელექციურ საქმიანობაში, როდესაც უკვე არსებულ, ან შემოტანილ კულტურულ ჯიშს აჯვარებენ ადგილობრივ ველურ ვაზთან. ამ მხრივ, მეტად საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს რ. აროიო-გარსიასა და სხვათა კვლევა (Arroyo-Garcia et al., 2006), სადაც გამოთქმულია ვარაუდი კულტურული ვაზის წარმოშობის მრავალი ცენტრის არსებობის შესახებ ქლოროპლასტური დნმ-ის პოლიმორფიზმის საფუძველზე. ავტორთა აზრით, მორფოლოგიური სხვაობის არსებობა თანამედროვე ევრაზიული ვაზის გავრცელების დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის მიუთითებს ველური ვაზის გავრცელების არეალებიდან წვლილის შეტანას დომესტიკაციის პროცესში. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად მოხდა 1201 ველური და კულტურული ვაზის გენოტიპების განალიზება 8 გეოგრაფიული არეალიდან: პირინეის ნახევარკუნძული (IBP), ცენტრალური ევროპა (CEU), ჩრდილოეთ აფრიკა (NAF), აპენინის ნახევარკუნძული (ITP), ბალკანეთის ნახევარკუნძული (BAP), აღმოსავლეთ ევროპა (EEU), ახლო აღმოსავლეთი (NEA) და შუა აღმოსავლეთი (MEA). შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს კულტურული ვაზის მოშინაურების მინიმუმ ორი მნიშვნელოვანი ცენტრი, ერთი ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ენათესავება ახლო და შუა აღმოსავლეთის ველური ვაზის პოპულაციებს და ხასიათდება ქლოროტიპებით C, D და G და მეორე, ხმელთაშუაზღვის რეგიონის დასავლეთ ნაწილში, რომლისგანაც მოგვიანებით წარმოიშვა დღევანდელი დასავლეთ ევროპული ჯიშების უმრავლესობა. იგი ახლოს

არის პირინეის ნახევარკუნძულის, ცენტრალური ევროპის და ჩრდილოეთ აფრიკის ველური ვაზის პოპულაციებთან და ხასიათდება ქლოროტიპით A.

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ კვლევების უმრავლესობა ჩატარებულია დასავლეთ ევროპის მასალაზე და ცოტა მონაცემებია კავკასიურ, განსაკუთრებით, ქართულ აბორიგენულ ჯიშებზე და ველური ვაზის პოპულაციებზე (Grassi et al. 2006, 2008; Imazio et al. 2006; Vouillamoz et al. 2006; Walker et al. 2007; Frare et al., 2010; Onofrio et al., 2010). ასეთი ტიპის კვლევები, ძირითადად, განხორციელებულია ფართოდ გავრცელებულ ჯიშებზე, როგორიცაა საფერავი, რქაწითელი, ოჯალეში და სხვ. თუმცა, საქართველო, ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს, ვინაიდან, ის ფილოგენეზური თვალსაზრისით ვაზის ფორმათწარმოქმნის და მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი უპირველესი კერაა (რამიშვილი, 1988). სწორედ ამიტომ, ვაზის ფილოგენეტიკური კვლევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს საკვლევი ობიექტის სწორად შერჩევას და გენეტიკური კავშირი ადგილობრივ ველურ ვაზთან, შესაძლოა, დადგინდეს მხოლოდ დიდი ისტორიის მქონე იმავე რეგიონის აბორიგენულ ვაზის ჯიშებთან.

1.4. თემის აქტუალურობა

დღეისათვის, დიდი ყურადღება ექცევა ვაზის ჯიშების გენეტიკური რესურსების კონსერვაციას. ამ მხრივ, განსაკუთრებით მინიშვნელოვანია ძველი, იშვიათი და ავტოქთონური ჯიშები. 2006 წელს ევროპის გენბანკის (EURISCO) და ევროგაერთიანების მე-6 ჩარჩო-პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პროექტი სახელწოდებით „ვაზის გენეტიკური რესურსების კონსერვაცია და მენეჯმენტი - Management and Conservation of Grapevine Genetic Recourses (GrapeGen06), რომელშიც მონაწილეობს 18 ქვეყანა, მათ შორის, არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის კვლევითი ჯგუფი, რომლის მონაწილეობის არის ამ სადოქტორო ნაშრომის შემსრულებელი, ჟ. ეხვაია. პროექტს კოორდინაციას უწევს საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტის კულტურულ მცენარეთა ბიომრავალფეროვნებისა და ადაპტაციების განყოფილება (მონპელიე, საფრანგეთი). ჩვენი ჯგუფის ამოცანაა პროექტის რამდენიმე სამუშაო

პაკეტის შეასრულება (სურ.1): WP2 - ქართული ავტოქთონური ვაზის ჯიშების აღწერა პირველადი და მეორადი დესკრიპტორების გამოყენებით და სანიტარული სტატუსის განსაზღვრა; WP4 -ველური ვაზის, *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის პოპულაციების ინვენტარიზაცია და ანალიზი; და, WP6 - ერთიანი საერთაშორისო მონაცემთა ბაზის შექმნა. შემდეგში, ჩვენ შევასრულეთ სამუშაო, რომელიც ეხება WP1 პაკეტს და მოიცავს ვაზის მიკროსატელიტურ (SSR) გენეტიკურ ანალიზს.



სურათი 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის მონაწილეობა GrapeGen06-ის პროექტში (წითელი ფერით აღნიშნულია ის სამუშაო პაკეტები, რომელშიც ოფიციალურად მონაწილეობს ბოტანიკის ინსტიტუტის ჯგუფი და ჟ. ებვაია).

პროექტის მიზანია ევროპის ქვეყნების კულტურული ვაზის ჯიშებისა და ველური ვაზის, *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის, გენეტიკური რესურსების კონსერვაცია, მონიტორინგი და აღწერა მორფოლოგიური, აგრონომიული, სანიტარული და მოლეკულური დესკრიპტორების გამოყენებით. აგრეთვე, ჯიშთა იდენტიფიკაცია და გენეტიკური კავშირების დადგენა და, საბოლოოდ, ერთიანი საერთაშორისო მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც განთავსდება პროექტის ოფიციალურ ვებგვერდზე, <www.genres.de/eccdb/vitis>. საქართველო, ამ მხრივ, დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან გამოირჩევა როგორც კულტურული, ისე ველური ვაზის დიდი გენეტიკური და მორფოლოგიური მრავალფეროვნებით და ვაზის მოშინაურების უძველესი ისტორიით.

ამ პროექტის ფარგლებში, საქართველოში, მებაღეობა, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტში შესრულდა ვაზის ქართული ჯიშების და ველური ვაზის

პოპულაციების ფართო სპექტრის შესწავლა მიკროსატელიტური კვლევის საფუძველზე (Maghradze et al., 2009; 2010). მიღებული შედეგები ადასტურებს ქართული ვაზის გერმპლაზმის გენეტიკურ მრავალფეროვნებას, თუმცა, კვლევის მონაცემებმა არ გამოავლინა ახლონათესაური გენეტიკური კავშირი ავტოქთონურ ჯიშებსა და ველური ვაზის პოპულაციებს შორის. აგრეთვე, მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ვაზის ქართული ჯიშები არ ამჟღავნებენ კავშირს ევროპულ ჯიშებთან და წარმოადგენენ გენეტიკურად იზოლირებულ გერმპლაზმას.

იგივე პროექტის (GrapeGen06) ფარგლებში საქართველოს ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ჯგუფის მიერ შესრულებულია შრომა (Schaal et al., 2010; Beridze et al., 2011), სადაც ქლოროპლასტური დნმ-ის სექვენსური მრავალფეროვნება შესწავლილია ორ უბანში - *trnH-psbA* და *rp116 intron*. კვლევის ობიექტია სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონების 113 კულტურული ჯიშის ინდივიდები, რომელთა შორის 40 ქართული ავტოქთონური ჯიშია, დანარჩენი კი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპული. გამოვლენილი ოთხი პლასტიდური ჰაპლოტიპიდან ერთი AAA მთლიანად ქართული ჯიშებისთვის არის დამახასიათებელი, დანარჩენი სამი - ATT, GTA და ATA ნანახი იქნა, როგორც ქართულ ისე ევროპულ ჯიშებში, რაც მათ შორის არსებულ გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს. იგივე გენეტიკური მრავალფეროვნება ნანახია კავკასიის ეკორეგიონში გავრცელებული ველური ვაზის პოპულაციებში (Pipia et al., 2012).

ჩვენს მიერ, იგივე პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაო (Ekhvaia, Akhalkatsi, 2010; Ekhvaia et al., 2010, 2011; Akhalkatsi, et al., 2011) ადასტურებს ქართული კულტურული ჯიშებისა და ველური ვაზის მორფოლოგიურ და გენეტიკურ მრავალფეროვნებას. და აგრეთვე, კავშირს ქართულ კულტურულ ჯიშებსა და საქართველოში გავრცელებული ველური ვაზის პოპულაციებს შორის, რაც მიუთითებს ქართული აბორიგენული ჯიშების ადგილობრივ დომესტიკაციაზე და წარმოადგენს ამ სადისერტაციო ნაშრომის ძირითად თემას.

1.5. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია გენეტიკური კავშირის დადგენა ვაზის ძველ ქართულ ჯიშებსა და ველური ვაზის ადგილობრივ პოპულაციებს შორის, რათა

დადასტურდეს, რომ საქართველო წარმოადგენს ვაზის დომესტიკაციის ცენტრს. ამასთან, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა გენეტიკური მსგავსება *V. vinifera*-ს ქართულ ავტოქტონურ და ინტროდუცირებულ ჯიშებს შორის.

ამ მიზნის განსახორციელებლად დაგეგმილი იქნა შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. საქართველოში არსებული ველური ვაზის, *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის პოპულაციების მრავალფეროვნების შესწავლა, ეკოლოგიური და ფიტოსოციოლოგიური კვლევა, საფრთხის დონეების განსაზღვრა და გეოინფორმაციული სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა მათი გავრცელების შესახებ.
2. გენეტიკური კავშირის გამოვლენა ვაზის ქართულ ავტოქტონურ ჯიშებსა და საქართველოში გავრცელებულ ველურ ვაზს შორის, "GrapeGen06"-ის მიერ შემოთავაზებული მორფოლოგიური და მორფომეტრიული საერთაშორისო დესკრიპტორების და მოლეკულური (SSRs) მარკერების გამოყენებით;
3. მორფოლოგიური და გენეტიკური მრავალფეროვნების შედარებითი ანალიზი ვაზის უცხოურ კულტივარებსა და ქართულ ჯიშებს შორის, მათ შორის არსებული შესაძლო კავშირის გამოვლენის მიზნით.
4. დესკრიპტორების და მოლეკულური მარკერების, კერძოდ ბირთვული (SSRs) მარკერების გამოყენებით ვაზის ძველი ქართული ჯიშების შედარება და იდენტიფიკაცია, რომელსაც განსხვავებულ სახელებს უწოდებენ და კიდევ არ არის გარკვეული, ისინი სინამდვილეში წარმოადგენენ ცალკეულ ჯიშებს, თუ ერთ ჯიშს, რომელსაც სხვადასხვა ადგილობრივი სახელებით მოიხსენიებენ, რადგანაც დღემდე არ არის საბოლოოდ დადგენილი შესაბამისობა ჯიშის ადგილობრივ სახელწოდებასა და მის გენეტიკურ იდენტურობას შორის;
5. კვლევის დროს აუთგრუპის (outgroup) სახით შერჩეული იქნება ვაზის ამერიკული სახეობები, რომლებიც საქართველოში გამოიყენება საძირედ - *V. riparia*, *V. rupestris*, *V. berlandieri* და მათი ჰიბრიდები. აგრეთვე, საქართველოში ფართოდ გავრცელებული ინტროდუცირებული კულტივარი *V. labrusca* 'ადესა'.

2. მასალა და მეთოდიკა

2.1. კვლევის ობიექტი

2.1.1. ვაზის გვარის (*Vitis L.*) ზოგადი დახასიათება

ვაზი ერთ-ერთი უძველესი ფარულთესლოვანი მცენარეა. მისი პირველი წარმომადგენლები ცარცის პერიოდში გამოჩდნენ და ხმელეთის მთლიან ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი. განმარხებული, 1.5 მილ. წლის ვაზის ფოთოლი, ნაპოვნია მესხეთში (სურ.2A). მატერიკის დანაწილების შემდეგ ვაზის გავრცელების არეალი გაწყვეტილი აღმოჩნდა და, ამჟამად, იგი სამ ერთმანეთისგან დაცილებულ კერაშია მოქცეული - ჩრდილო ამერიკულ, აღმოსავლეთ აზიურ და ევრაზიულში.



A



B

სურათი 2. A - მესხეთის ტრიტორიაზე ნაპოვნი ველური ვაზის ფოთოლი, განმარხებული 1.5 მილ. წლის წინ, ახალციხის სამხარეო მუზეუმი; B - ველური ვაზი (უსურვაზი) მესხეთში, სლესის ციხის მახლობლად, მდ. მტკვრის სანაპიროზე.

გვარი, ძირითადად, წარმოდგენილია მერქნიანი ლიანებით (სურ.2B) და ადვილად ცნობადია ფოთლის მორფოლოგიით და პწკალების არსებობით მოპირდაპირე მხარეს. ყვავილები პატარა ზომისაა, ორსქესიანი ან ერთსქესიანი, რომლებიც თავდაკიდებულ საგველად არის შეკრებილი. მტკვრიანათა რაოდენობა 4-5-მდეა; ნასკვი ორბუდიანია ორ-ორი თესლკვირტით. გვირგვინის ფურცლები ხუთმაგადაა შეზრდილი და ქვემოდან იხსნება. ჯამის ფოთოლაკები

განუვითარებელია. ახასიათებთ სხვადასხვა სიდიდის, ზომის და დანაკვთულობის ფოთლები, რომლებიც შებუსვის ინტესივობითაც განსხვავდებიან. მარცვალი სხვადასხვა შეფერილობის, ფორმის, სიდიდის, კონსისტენციის და გემოვნური თვისებებისაა. წიპწების რაოდენობა მარცვალში 1-დან 4-მდე მერყეობს, ან, საერთოდ არ არის განვითარებული. წიპწები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიდიდით, ფორმით და შეფერილობით; დორსალურ მხარეზე აქვთ განვითარებული სხვადასხვა მოყვანილობის ჩაღრმავება - ე. წ. ქალაძა, ხოლო ვენტრალური მხრიდან - ორი ღარი.

ჩრდილო ამერიკული კერა წარმოდგენილია 28 სახეობით, რომელთაგან კულტურული ჯიშებისთვის მნიშვნელობა აქვს 18 სახეობას (*V. aestivalis* Michx., *V. arizonica* Engelm., *V. berlandieri* Planch., *V. bicolor* Lec., *V. blancoissi* Muns., *V. bourgeana* Planch., *V. californica* Benth., *V. candicans* Engelm., *V. caribaea* DC., *V. cinerea* Engelm., *V. cordifolia* Michx., *V. coriacea* Shuttlew. ex Planch., *V. labrusca* L., *V. lincecumii* Buckley, *V. monticola* Buckley, *V. riparia* Michx., *V. rubra* Michx. ex Planch., *V. rupestris* Scheele). ამერიკული სახეობების უმრავლესობა გავრცელებულია ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილში, მექსიკიდან კანადამდე.

აღმოსავლეთ აზიური კერა აერთიანებს 40-ზე მეტ სახეობას, თუმცა სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ერთ მათგანს, კერძოდ, ამურის ვაზს - *V. amurensis* Rupr., რომელიც წარმოადგენს ძირითად სასელექციო მასალას, ახალი ყინვაგამძლე ჯიშების მისაღებად. იგი ფართოდაა გავრცელებული შორეულ აღმოსავლეთში, სახალინის ნახევარკუნძულზე, ჩრდილოეთ ჩინეთსა და ჩრდილოეთ იაპონიაში.

ევრაზიული კერა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ევროპული სახეობით *V. vinifera* L. subsp. *vinifera*, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული პოლიმორფიზმით. სხვა სახეობებთან შედარებით, იგი მეტად რთული ტაქსონომიური შემადგენლობისაა, რადგან მასში ვაზის მრავალრიცხოვანი ფორმა და ჯიშია გაერთიანებული. დღეისათვის, ევროპული კულტურული ვაზი იზრდება ყველგან, მსოფლიოს ზომიერ და ტროპიკულ რეგიონებში და გამოიყენება ძირითადად ღვინის წარმოებაში. აგრეთვე, საკვებად ნედლ მდგომარეობაში და საქიშმიშედ. ევროპაში იგი მოყავთ ცენტრალურ და სამხრეთ რეგიონებში; აზიაში - დასავლეთ რეგიონებში (თურქეთი, კავკასია და შუა აღმოსავლეთი) და შორეულ აღმოსავლეთში (ჩინეთი); აფრიკაში - ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან სამხრეთ აფრიკამდე; ჩრდილო

ამერიკაში - კალიფორნიაში და მექსიკაში; სამხრეთ ამერიკაში - ჩილეში, არგენტინაში, ურუგვაისა და ბრაზილიაში; აგრეთვე, იგი მოყავთ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში (Zohary, Horf, 2000).

V. vinifera-ს ორი ქვესახეობა თანაარსებობს ევრაზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში: კულტურული ქვესახეობა - *V. vinifera* L. subsp. *vinifera* (= *V. vinifera* subsp. *sativa* D.C.), რომელიც 6000-მდე ჯიშს მოიცავს, და ველური ქვესახეობა - *V. vinifera* subsp. *sylvestris* (C.C. Gmel.) Hegi. ეს ისტორიული დაყოფა დაფუძნებულია მათ მორფოლოგიურ პოლიმორფიზმზე და ერთ-ერთ მნიშვნელოვან სხვაობას წარმოადგენს ყვავილის სქესი, რომელიც, სავარაუდოდ, იმართება სამი ალელით: მდედრობითი ინდივიდები ჰომოგამეტურები არიან, ისინი ატარებენ ჰომოზიგოტურ რეცესიულ გენოტიპს (FF), რომელიც თრგუნავს მტვრიანების წარმოქმნას. მამრობითი ინდივიდები ჰეტეროგამეტურები არიან (MF) დომინანტური M ალელით, ხოლო, რაც შეეხება ჰერმაფროდიტიზმს, ის იმართება მესამე H ალელით, რომელიც დომინანტურია F ალელისთვის და რეცესიულია M ალელისთვის (Zohary, Spiegel-Roy, 1975).



სურ. 3. ვაზის ყვავილი: а) ველური ვაზის, *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის ერთსქესიანი მამრობითი ყვავილი სანექტრეებით და განვითარებული მტვრიანებით; б) ველური ვაზის, *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის ერთსქესიანი ფუნქციონალურად მდედრობითი ყვავილი განვითარებული ბუტკოთი და გადახრილი მტვრიანებით; г) კულტურული, *V. vinifera* subsp. *vinifera*-ს ორსქესიანი (ჰერმაფროდიტული) ყვავილი განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით.

შედეგად, ველურ ვაზს ახასიათებს, ერთსქესიანი ყვავილები: მამრობითი (სურ.3ა), გრძელი მტვრიანებით და ფერტილური მტვრის მარცვლებით, და ფუნქციონალურად მდედრობითი (სურ.3ბ), კარგად განვითარებული ბუტკოთი, მაგრამ, დეფექტური, გადახრილი მტვრიანებით და სტერილური მტვრის მარცვლებით. მაშინ, როდესაც კულტურული ვაზის უმრავლესობისთვის დამახასიათებელია ჰერმაფროდიტული, ორსქესიანი ყვავილები (სურ.3გ) კარგად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი.

გენომური თვალსაზრისით, *V. vinifera* მიმზიდველ ობიექტს წარმოადგენს მოლეკულური კვლევებისთვის, რადგანაც ის დიპლოიდია ($2n=38$), შედგება მხოლოდ 19 ქრომოსომისგან და გააჩნია სხვა მცენარეებთან შედარებით პატარა ზომის გენომი (475-500 მეგაფუნდები). იგი, დაახლოებით, ოთხჯერ აღემატება *Arabidopsis*-ის გენომს და მარცლოვნების გენომის 1/6-ის ტოლია. დღეისათვის, ვაზის მთლიანი ქლოროპლასტური და ბირთვული გენომი არის სეკვენირებული (Doligez et al., 2006; Salmaso et al., 2008).

ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა რ.კ. ჯენსენის ხელმძღვანელობით (Jansen et al., 2006) მოახდინა ვაზის ქლოროპლასტური გენომის სრული სეკვენირება. შედეგებმა აჩვენა, რომ *V. vinifera*-ს ქლოროპლასტური გენომის სიგრძე 160.928 ფუმე-წყვილის (bp) ტოლია, რაც შეესაბამება სხვა ყვავილოვანი მცენარეების გენომის ზომას, იგი მოიცავს 26.358 bp სიგრძის, შექცევად განმეორებად თანმიმდევრობათა წყვილს, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია უნიკალური თანმიმდევრობების მცირე (10.065 bp) და დიდი (89.147 bp) უბნებით. გენების შემცველობა და განლაგება გვარ *Vitis*-ში იდენტურია ბევრი უმაღლესი მცენარის, მათ შორის, თამბაქოს (*Nicotiana L.*) ქლოროპლასტური გენომის. ვაზის ქლოროპლასტური გენომი შეიცავს 113 უნიკალურ გენს, რომელთაგან 18-ის დუპლიკაცია აღინიშნება შექცევად განმეორებად თანმიმდევრობაში, ხოლო, სულ იდენტიფიცირებულია 131 გენი. ვაზის გენომი შეიცავს 4 რიბოსომულ და 30 განსხვავებულ ტ-რნმ-ის გენს; აქედან 7 ტ-რნმ-ის გენის და ყველა რ-რნმ-ის გენის დუპლიკაცია ხორციელდება შექცევადი განმეორებადი თანმიმდევრობის შიგნით. ვაზის გენომს გააჩნია 17 ინტრონ-შემცველი გენი, რომელთაგან 15 შეიცავს ერთ ინტრონს და ორი - ორ ინტრონს. ვაზის გენომის 37.4% შეიცავს GC, ხოლო 62.6% AT ნუკლეოტიდებს.

გენომის 57.55% წარმოადგენს კოდირებად უბანს, ხოლო 42.45% - არაკოდირებად უბანს, რომელიც მოიცავს ინტრონებს და ინტერგენურ სპეისერებს.

აგრეთვე, რ. ველასკოს ხელმძღვანელობით იტალიელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა (Velasco et al., 2007) განახორციელეს ერთ-ერთი ვაზის ჯიშის - 'პინონუარის' ბირთვული გენომის სეკვენირება. დადგენილ იქნა, რომ ამ ჯიშის გენომის ზომა შეადგენს 504.6 მეგაფუმეს. გენომური სეკვენსები, რომლებიც შეესაბამება 477.1 მეგაფუმეს, განაწილებულ იქნა 2.093 მეგაკონტიგში და 435.1 მეგაფუმე ფიქსირებულ იქნა 19 ქრომოსომაში. წინასწარ განსაზღვრული გენების რაოდენობამ შეადგინა 29.585, რომელთა 96.1% თავმოყრილია 19 ქრომოსომაში. ავტორთა მონაცემების თანახმად, ამ გენების ნაწილი განაპირობებს ღვინის ხარისხს მეორადი მეტაბილოტების მეშვეობით. ხოლო, გენების ნაწილი დაკავშირებულია ვაზის პათოგენების მიმართ მგრძნობელობასთან. აღმოჩენილ იქნა 2.000.000 ენპ (ერთეული ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმი - SNP), ამათგან 1.751.176 დაუკავშირეს გარკვეულ ქრომოსომებს. მრავალი შეჯამებული კონტიგის მონაცემების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ კულტურული *V. vinifera* ჰეტეროზიგოტურია, სადაც კონსენსური თანმიმდევრობები წარმოდგენილია ორი გადამფარავი ჰაპლოტიპით.

მეორე ფრანგულ-იტალიურმა კონსორციუმმა, პ. ვინქერის ხელმძღვანელობით (Wincker et al., 2007), მოახდინა 'პინო-ნუარის' ჰომოზიგოტური ფორმის მთლიანი ბირთვული გენომის სეკვენირება. დადგენილ იქნა, რომ პინო-ნუარის ჰომოზიგოტური გენომი შეიცავს 30.434 ცილის მაკოდირებელ გენს. ვაზი მეოთხე ყვავილოვანი მცენარეა, რომლის დნმ-ის სეკვენირება განხორციელდა. მოყოლებული 2000 წლიდან დადგენილ იქნა *Arabidopsis thaliana*-ს დნმ-ის პირველადი სტრუქტურა, მოგვიანებით კი ბრინჯისა (*Oryza sativa*) და ალვის ხის (*Populus trichocarpa*). ალვის ხეს გააჩნია 45.555 ცილის მაკოდირებელი გენი, ბრინჯს - 37.544 და არაბიდოფსისს - 27.000 გენი. ვინქერის ჯგუფის მიერ სეკვენსების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ გარდა ბრინჯისა, სამივე მცენარე ჰექსაპლოიდს წარმოადგენს.

ამდენად, ვაზი საკმაოდ კარგად შესწავლილი ობიექტია, მორფოლოგიური, ციტოლოგიური, ემბრიოლოგიური და ეკოლოგიური კუთხით, აგრეთვე, მოლეკულური მეთოდებით. რაც საფუძველს გვაძლევს მისი მრავალმხრივი კვლევის ჩასატარებლად.

2.1.2. საკვლევი მასალა

სადისერტაციო ნაშრომში ვაზის სულ 159 ნიმუში (ცხრილი 1) იქნა შესწავლილი, რომლებიც დაიყო 3 ძირითად ჯგუფად:

1. კულტურული ჯგუფი (CV) შედგება *V. vinifera* subsp. *vinifera*-ს 21 ქართული აბორიგენული და 10 დასავლეთ ევროპული ჯიშისგან. აგრეთვე, 4 დასავლეთ ევროპული სანამყენე - *V. vinifera* subsp. *vinifera*, *V. riparia*, *V. rupestris* და *V. berlandieri*-ს შიდასახეობრივი ჰიბრიდების და 3 უცნობი წარმოშობის ჯიშისგან, რომლებიც არასწორ სახელებს ატარებენ და სავარაუდოდ ჰიბრიდული წარმოშობის არიან (ცხრილი 1). ქართული აბორიგენული ჯიშების უმრავლესობა აღებულ იქნა თბილისის მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექციიდან (თბილისი, საქართველო), ძველი კოლხური ჯიშები ავიღეთ გივი ელიავას სახელობის ეროვნული მუზუმის კოლექციიდან, მარტვილის რაიონი. კერძო ვენახებიდან აღებულია ადგილობრივი ჯიშები სამეგრელოში, აჭარაში და მესხეთში. ხოლო, მასალა დასავლეთ ევროპულ ჯიშებზე მოგვაწოდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტის კულტურული მცენარეთა ბიომრავალფეროვნებისა და ადაპტაციების განყოფილებამ (მონპელიე, საფრანგეთი);

2. ველური ჯგუფი (W) აერთიანებს ველური ვაზის, *V. vinifera* subsp. *sylvestris* - ის 46 ინდივიდს. აქედან, ველური ვაზის 38 ინდივიდი აღებულ იქნა 9 პოპულაციიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ხოლო დანარჩენი 8 ინდივიდი - თურქეთის ტერიტორიიდან (რუკა 1).

ექსპედიციების შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოში ველური ვაზის პოპულაციების გავრცელების ზედა საზღვარი ზღვის დონიდან 1000 მ-ს არ აღემატება. ისინი გეოგრაფიულად ლოკალიზებული არიან მდინარეთა აუზებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: 1) **მდ. აჭარისწყლის აუზი**, სოფ. გოდგამეების მახლობლად, ხულოს რ-ნი; და სოფ. კვატიასთან, მდ. სხალთის ხეობში, შუახევის რ-ნი; 2) 4 ადგილმდებარეობა **მდ. მტკვრის აუზში**: а) სოფ. ჭობისხევსა და ლიკანს შორის, ბორჯომის რ-ნში; ბ) მდ. ლეხურას ხეობაში (მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი) სოფ. საკორინთლოსთან, კასპის რ-ნში; გ) თბილისის შემოგარენში და დ) გარდაბნის ტყე-პარკში აზერბაიჯანის საზღვართან;

ცხრილი 1. კულტურული და ველური ვაზის შესწავლილი ნიმუშების სია. (კოდი - პირველი ორი ასო შეესაბამება ჯგუფს და ნიშნავს: CV - კულტურული ჯიში; W - ველური ვაზი; VL - *V. labrusca*; VR- *V. riparia*. მესამე და მეოთხე ციფრი ასახავს ნიმუშის ნომერს. ბოლო 4 ასო ასახავს ჯიშის სახელს, ან ველური ვაზის პოპულაციის ადგილმდებარეობას. **მარცვლის ფერი:** R - წითელყურძნიანი; W - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში. **გამოყენება:** W - საღვინე, T - სუფრის, WT - საღვინე-სუფრის, RTC - სანამყენე. ნიმუშის აღების წყარო: IHVO-თბილისის მებაღეობის, მევნეობების და მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექცია, თბილისი, საქართველო; INRA-სოფლის მეურნეობის ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი, მონპელიე, საფრანგეთი; MSEM-მარტვილის გივი ელიავას სახელობის ეროვნული მუზეუმის კოლექცია, მარტვილი, საქართველო; PG-კერძო ვენახები. ყვავილის სქეს: M-მამრობითი, F-მდედრობითი გადახრილი მტკრიანებით).


კულტურული ჯგუფი					
კოდი	ჯიში	მარცვლის ფერი	გამოყენება	წარმოშობა	ნიმუშის აღწყარო
CV1ALDS	ალადასტური	R	W	საქართველო	IHVO
CV2ALKS	ალექსანდროული	R	W	საქართველო	IHVO
CV3ALVR	Alvarelhao N	R	W	ესპანეთი	INRA
CV4AVSH	ავშილური	R	W	საქართველო	IHVO
CV5CBRF	Cabernet Franc N	R	W	საფრანგეთი	INRA
CV6CBRS	Cabernet-Sauvignon N	R	W	საფრანგეთი	INRA
CV7CHRD	Chardonnay B	W	W	საფრანგეთი	INRA
CV8CHKH	ჩხავერი	R	W	საქართველო	PG
CV9CHDI	ჭოდი	R	W	საქართველო	MSEM
CV10CHVT	ჭვიტილური	R	W	საქართველო	IHVO
CV11CDRC	Couderc 3309 (Interspecific Cross: <i>riparia</i> ; <i>rupestris</i>)	R	RTC	საფრანგეთი	INRA
CV12DGND	დღუნდღუში	R	WT	საქართველო	MSEM
CV13EGRD	ეგურძული	W	W	საქართველო	MSEM
CV14FRCL	Fercal (Interspecific Cross: includes <i>berlandieri</i> ; <i>vinifera</i>)	R	RTC	საფრანგეთი	INRA
CV15KCHI	კაჭიჭი	R	W	საქართველო	IHVO
CV16KCHII	კაჭიჭი	R	W	უცნობი	PG
CV17KMRT	კამური თეთრი	W	WT	საქართველო	MSEM
CV18KHJS	ხოჯიშთოლი	R	WT	საქართველო	MSEM
CV19KLSH	კოლოში	R	W	საქართველო	MSEM
CV20KRKN	კრიკინა	R	W	საქართველო	PG
CV21MLGU	Malègue 44-53 (Interspecific Cross: <i>cordifolia</i> ; <i>riparia</i> ; <i>rupestris</i>)	R	RTC	საფრანგეთი	INRA
CV22MNCN	Mancin N	R	W	საფრანგეთი	INRA
CV23MSSP	მესხური საფერავი	R	W	საქართველო	PG
CV24MRVR	Mourvèdre N	R	W	ესპანეთი	INRA
CV25MJRT	მუჯურეთული	R	W	საქართველო	PG
CV26MCBL	Muscat à petits grains blancs B	W	WT	საბერძნეთი	INRA
CV27OJLS	ოჯალეში	R	W	საქართველო	MSEM
CV28PNSH	პანეში	R	WT	საქართველო	MSEM
CV29RKTS	რქაწითელი	W	W	საქართველო	IHVO
CV30RMRN	Romorantin B	W	W	საფრანგეთი	INRA
CV31SPRV	საფერავი	R	W	საქართველო	IHVO
CV32SKHS	შხუბეში	W	WT	საქართველო	MSEM
CV33SHNR	შონური	R	W	საქართველო	MSEM
CV34TVKV	თავვერი	R	W	საქართველო	IHVO
CV35TLKI	Teleki 5C (Interspecific Cross: <i>berlandieri</i> ; <i>riparia</i>)	R	RTC	უნგრეთი	INRA
CV36TRMN	Traminer rot RG	W	W	იტალია	INRA
CV37UCHK	უჩხარდანი	R	W	საქართველო	IHVO
CV38VTRG	Veltliner rot RG	W	W	იტალია	INRA

30ლური ჯგუფი						
კოდი	ინდივიდი	ყვავი ლის სქესი	მდინარის ხეობა	ადგილმდებარეობა	კოორდინა- ტები	სიმაღლე მ ზღვის დნ-დან
W1AKHL	ახალციხე	F	მტკვარი	სლესას ციხე, ახალციხის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი	N: 41.7465 E: 043.2061	894
W2AKHM	ახმეტა 1	F	ალაზანი	სოფ. ხალაწანი, ახმეტის რ-ნი, კახეთი	N: 42.1381 E: 045.0000	634
W3AKHM	ახმეტა 3	M	ალაზანი	სოფ. ხალაწანი, ახმეტის რ-ნი, კახეთი	N: 42.1196 E: 045.0000	646
W4ARTV	ართვინი 1	M	ჭოროხი	ართვინის ჰესი, ართვინი, თუშეთი	N: 41.2494 E: 041.7719	266
W5ARTV	ართვინი 2	M	ჭოროხი	ართვინის ჰესი, ართვინი, თუშეთი	N: 41.2494 E: 041.7718	264
W6ARTV	ართვინი 3	M	ჭოროხი	ართვინის ჰესი, ართვინი, თუშეთი	N: 41.2494 E: 041.7718	264
W7ARTV	ართვინი 4	F	ჭოროხი	ართვინის ჰესი, ართვინი, თუშეთი	N: 41.2494 E: 041.7718	264
W8ARTV	ართვინი 6	F	ჭოროხი	ართვინის ჰესი, ართვინი, თუშეთი	N: 41.2490 E: 041.7734	258
W9ARTV	ართვინი 7	F	ჭოროხი	ართვინის ჰესი, ართვინი, თუშეთი	N: 41.2490 E: 041.7734	258
W10ARTV	ართვინი 8	M	ჭოროხი	ართვინის ჰესი, ართვინი, თუშეთი	N: 41.2490 E: 041.7734	258
W11ARTV	ართვინი 9	M	ჭოროხი	ართვინის ჰესი, ართვინი, თუშეთი	N: 41.2490 E: 041.7734	258
W12BLNS	ბოლნისი	F	ხრამი	სოფ. ტანძია, ბოლნისის რ-ნი, ქვემო ქართლი	N: 41.4469 E: 044.3675	904
W13BRJM	ბორჯომი 1	F	მტკვარი	სოფ. აწყურსა და სოფ. ლიკანს შორის, ბორჯომის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი	N: 41.9442 E: 043.4617	823
W14BRJM	ბორჯომი 2	F	მტკვარი	სოფ. აწყურსა და სოფ. ლიკანს შორის, ბორჯომის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი	N: 41.9367 E: 043.3956	825
W15BRJM	ბორჯომი 3	F	მტკვარი	სოფ. აწყურსა და სოფ. ლიკანს შორის, ბორჯომის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი	N: 41.9003 E: 043.3506	827
W16BRJM	ბორჯომი 4	M	მტკვარი	სოფ. აწყურსა და სოფ. ლიკანს შორის, ბორჯომის რ-ნი, სამცხე-ჯავახეთი	N: 41.9058 E: 043.3397	855
W17DDPL	დედოფ- ლისწყა- რო 1	F	ალაზანი	ჯუმას ყურეს ნაკრძალი, დედოფლისწყაროს რ-ნი, კახეთი	N: 41.3598 E: 046.5989	173
W18DDPL	დედოფლი სწყარო 2	F	ალაზანი	ჯუმას ყურეს ნაკრძალი, დედოფლისწყაროს რ-ნი, კახეთი	N: 41.3598 E: 046.5979	169
W19DSHT	დუშეთი 1	F	არაგვი	სოფ. შინვალი, დუშეთის რ-ნი, მცხეთა-მთიანეთი	N: 42.2364 E: 044.9122	747
W20DSHT	დუშეთი 2	M	არაგვი	სოფ. ანანური, დუშეთის რ-ნი, მცხეთა-მთიანეთი	N: 42.3694 E: 044.6953	903
W21DSHT	დუშეთი 4	F	არაგვი	სოფ. ანანური, დუშეთის რ-ნი, მცხეთა-მთიანეთი	N: 42.3694 E: 044.6953	903
W22DSHT	დუშეთი 5	F	არაგვი	სოფ. მენესო, დუშეთის რ-ნი, მცხეთა-მთიანეთი	N: 42.4683 E: 044.8131	860
W23DSHT	დუშეთი 6	F	არაგვი	თანავეთის რ-ნი, მცხეთა- მთიანეთი	N: 42.3781 E: 45.0114	902
W24GRDB	გარდაბანი	M	მტკვარი	გარდაბანის ტყე-პარკი,	N: 41.4148	282

	1			გარდაბნის რ-ნი, ქვემო ქართლი	E: 045.0570	
W25GRDB	გარდაბანი 2	M	მტკვარი	გარდაბნის ტყე-პარკი, გარდაბნის რ-ნი, ქვემო ქართლი	N: 41.4148 E: 045.0570	282
W26GRDB	გარდაბანი 3	M	მტკვარი	გარდაბნის ტყე-პარკი, გარდაბნის რ-ნი, ქვემო ქართლი	N: 41.3867 E: 045.0592	281
W27GRDB	გარდაბანი 4	F	მტკვარი	გარდაბნის ტყე-პარკი, გარდაბნის რ-ნი, ქვემო ქართლი	N: 41.4016 E: 045.0608	279
W28JNLA	ჯონულა	F	ჯონულა	ჯონულას ხეობა, ცაგერის რ-ნი, რაჭა-ლეჩხუმი	N: 42.5947 E: 042.6799	453
W29KSPI	კასპი1	F	მტკვარი	სოფ. საკორინთლო, კასპის რ-ნი, შიდა ქართლი	N: 42.0464 E: 044.3786	772
W30KSPI	კასპი3	F	მტკვარი	სოფ. საკორინთლო, კასპის რ-ნი, შიდა ქართლი	N: 42.0464 E: 044.3786	772
W31KHLO	ხულო1	M	აჭარისწყალი	სოფ. გოდგამეები, ხულოს რ-ნი, აჭარა	N: 41.7269 E: 042.0000	784
W32KHLO	ხულო2	F	აჭარისწყალი	სოფ. გოდგამეები, ხულოს რ-ნი, აჭარა	N: 41.7069 E: 042.0000	784
W33KHLO	ხულო3	F	აჭარისწყალი	სოფ. გოდგამეები, ხულოს რ-ნი, აჭარა	N: 41.7169 E: 042.0000	784
W34LGDI	ლაგოდები 1	M	ალაზანი	ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალი, ლაგოდების რ-ნი, კახეთი	N: 41.7774 E: 046.0000	442
W35LGDI	ლაგოდები 3	M	ალაზანი	ლაგოდების სახელ-მწიფო ნაკრძალი, ლაგოდების რ-ნი, კახეთი	N: 41.8079 E: 046.0000	435
W36LGDI	ლაგოდები 4	M	ალაზანი	ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალი, ლაგოდების რ-ნი, კახეთი	N: 41.7981 E: 046.0000	435
W37SGRJ	საგარეჯო1	M	იორი	ივრის სახელმწიფო ნაკრძალი, საგარეჯოს რ-ნი, კახეთი	N: 41.5250 E: 045.8544	368
W38SGRJ	საგარეჯო2	M	იორი	ივრის სახელმწიფო ნაკრძალი, საგარეჯოს რ-ნი, კახეთი	N: 41.5250 E: 045.8544	368
W39SGRJ	საგარეჯო3	M	იორი	ივრის სახელმწიფო ნაკრძალი, საგარეჯოს რ-ნი, კახეთი	N: 41.5186 E: 045.8494	360
W40SKHV	შუახევი	F	სხალთა	სოფ. კვატია, შუახევის რ-ნი, აჭარა	N: 41.6054 E: 042.2788	607
W41TBLS	თბილისი1	M	მტკვარი	თბილისის შემოგარენი	N: 42.2447 E: 044.5836	604
W42TBLS	თბილისი2	M	მტკვარი	თბილისის შემოგარენი	N: 42.2447 E: 044.5836	604
W43TBLS	თბილისი3	M	მტკვარი	თბილისის შემოგარენი	N: 42.2447 E: 044.5836	604
W44TBLS	თბილისი4	M	მტკვარი	თბილისის შემოგარენი	N: 42.2447 E: 044.5836	604
W45TBLS	თბილისი5	F	მტკვარი	თბილისის შემოგარენი	N: 42.2447 E: 044.5836	604
W46TSGR	ცაგერი	F	ცხენისწყალი	წყალტუბო-ცაგერის გზა, ცაგერის რ-ნი, რაჭა-ლეჩხუმი	N: 42.4506 E: 042.5790	419

აუთგრუპის ჯგუფი			
კოდი	სახეობა	სქესი	აღგიღმდებარეობა
VLBR	<i>V. labrusca</i> 'ადესა'	H	თბილისი
VRP	<i>V. riparia</i>	F	სოფ. მარტვილი, მარტვილის რ-ნი, სამეგრელო
VRP	<i>V. riparia</i>	F	სოფ. საკორინთლოსთან, კასპის რ-ნი, შიდა ქართლი

3) სამი ადგილსამყოფელი მდ. ალაზნის აუზში: ა) სოფ. ხალაწანთან, ახმეტის რ-ნში; ბ) ჯუმას ყურეს დაცულ ტერიტორიაზე, დედოფლისწყაროს რ-ნში და გ) ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში, აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს; 4) მდ. ივრის აუზში, ივრის სახელმწიფო ნაკრძალში, საგარეჯოს რ-ნი; 5) მდ. ხრამის ხეობა, სოფ. ტანძიასთან, ბოლნისის რ-ნში; 6) ორი ადგილსამყოფელი მდ. არაგვის აუზში: ა) სოფ. ჟინვალთან, ანანურთან და მენესოსთან, დუშეთის რ-ნში; ბ) მცხეთის რ-ნში; 7) მდ. ჯონოულას ხეობაში, ცაგერის რ-ნში; 8) მდ. ჭოროხის ხეობა, ართვინის რაიონი, თურქეთი, ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორია; და 9) მდ. ცხენისწყლის ხეობაში, წყალტუბო-ცაგერის გზაზე, ცაგერის რ-ნში (ცხრილი 1).



რუკა 1. ველური ვაზის - *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის პოპულაციების გავრცელების ადგილები საქართველოში. ყვითელი ფერის მარკერი - პოპულაციები, სადაც ექსპედიციის დროს შეგროვებულია მასალა; ლურჯი ფერის მარკერი - ბოტანიკის ინსტიტუტის ჭერბარიუმის მონაცემები (TBI). სამკუთხა ფორმის მარკერი - რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი; ვარსკვლავი -დედაქალაქი თბილისი.

ჩვენს მიერ შესწავლილი ველური ვაზის პოპულაციები მდებარეობდა სამ განსხვავებულ ჰაბიტატში: 1) ჭალის ტყე, რომელიც წარმოდგენილია ვერხვის სახეობებით (*Populus alba*, *P. nigra*, *P. hybrida*), ჭალის მუხით (*Quercus pedunculiflora*),

შავი მურყანით (*Alnus barbata*), ლაფნით (*Pterocarya fraxinifolia*), ფშატით (*Elaeagnus angustifolia*), ქაცვით (*Hippophaë rhamnoides*), ტყემლით (*Prunus divaricata*), მაჟალოთი (*Malus orientalis*), პანტით (*Pyrus caucasica*), ეკალღიჭით (*Smilax excelsa*), სუროთი (*Hedera pastuchowii*), კატაბარდათი (*Clematis vitalba*), ჩვეულებრივი კოწახურით (*Berberis vulgaris*) და სხვ.; 2) შერეული მუხნარ-რცხილნარი ტყე - ქართული მუხით (*Quercus iberica*), კავკასიური რცხილით (*Carpinus caucasica*), იფნით (*Fraxinus excelsior*), ჩვეულებრივი ნეკერჩხლით (*Acer campestre*), შვინდით (*Cornus mas*), ჩვეულებრივი თხილით (*Corylus avellana*), შავი კუნელით (*Crataegus pentagyna*), შინდანწლათი (*Swida australis*), თელით (*Ulmus glabra*) და სხვ.; 3) შერეული ფართოფოთლოვან-წიწვოვანი ტყე აღმოსავლური წიფლით (*Fagus orientalis*), აღმოსავლური ნაძვით (*Picea orientalis*), კავკასიური სოჭით (*Abies nordmanniana*), ურთხმელით (*Taxus baccata*), ფიჭვით (*Pinus kochiana*), წაბლით (*Castanea sativa*), ცაცხვით (*Tilia begoniifolia*), იელით (*Rhododendron luteum*), შქერით (*R. ponticum*) და სხვ. ველური ვაზის ყველა შესწავლილი ინდივიდი იდენტიფიცირებული იქნა, როგორც ორსახლიანი მცენარეები მამრობითი და მდედრობითი ყვავილებით.

3. აუთგრუპის ჯგუფი, რომლებიც წარმოდგენილია ამერიკული სახეობების საქართველოში ინტროდუცირებული 6 ნიმუშით, როგორიცაა *V. labrusca* 'ადესა' და *V. riparia* (ცხრილი 1).

2. 2. მეთოდიკა

2. 2. 1. მორფოლოგიური და მორფომეტრიული კვლევა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული და ველური ვაზის მორფოლოგიური და მორფომეტრიული კვლევა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა GrapeGen06-ის მიერ შემოთავაზებული მორფოლოგიური და მორფომეტრიული საერთაშორისო დესკრიპტორები (GrapeGen06, 2007), რომელთა მეშვეობითაც ჩატარდა ვაზის ყლორტის, ფოთლის, რეპროდუქციული ორგანოების, მარცვლის და წიპწის მორფოლოგიური და მორფომეტრიული ნიშნების შესწავლა (ცხრილი 2). ამ მიზნით, თითოეული ინდივიდიდან აღებულ იქნა 10 ახალგაზრდა ყლორტი, 10 ზრდასრული ფოთლი საშუალო იარუსიდან, 30 მარცვალი და 30 წიპწა.

მასალის აღება ხდებოდა ივნისში, ყვავილობის და სექტემბერ-ოქტომბერში, ნაყოფობის დროს.


აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ დღეისათვის საქართველოში გავრცელებული ველური ვაზი საკმაოდ ძნელი გასარჩევია ბუნებრივად გავრცელებული გაველურებული კულტურული ვაზის ჯიშების და ამერიკული საძირე სახეობებისგან. აგრეთვე, ჰიბრიდებისგან, რომლებიც ტყეში და რუდერალურ ადგილებში იზრდება და ჰაბიტუსით ძალიან ჰგავს უსურვაზს. მათ გასარჩევად, ჩვენ გამოვიყენეთ შესაბამისი მორფოლოგიური ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ველური ვაზის იდენტიფიკაცია (OIV, 2007). ასეთი მორფოლოგიური ნიშნებია: 1) კენწრული კვირტის ფორმა, რომელიც უსურვაზსა და კულტურულ *V. vinifera*-ში გახსნილია (სურ. 4 ა, ბ), ჰიბრიდებში, ნახევრად გახსნილი (სურ. 4გ) და ამერიკულ სახეობებში (*V. riparia*, *V. rupestris*) დახურული (სურ. 4დ);




სურ. 4. კენწრული კვირტის ფორმა: ა) გახსნილი - *V. vinifera* subsp. *vinifera*; ბ) გახსნილი - *V. vinifera* subsp. *sylvestris*; გ) ნახევრად ღია - უცნობი ჰიბრიდი; დ) დახურული - *V. riparia*.

2) პწვალების განლაგება ყლორტზე, რომელიც უსურვაზსა და კულტურულ *V. vinifera*-ში წყვეტილია მუხლთაშორისების მიხედვით (2 ან ნაკლები მუხლთაშორისი პწვალის გარეშე), ხოლო ამერიკულ *V. labrusca*-ში - ქვეგანგრძობითი ან უწყვეტი (3 ან მეტი მუხლთაშორისი პწვალებითაა); 3) ყვავილის სქესი, უსურვაზი ორსახლიანი მცენარეა და ახასიათებს ცალსქესიანი ყვავილები - მამრობითი (სურ. 3ა) და მდედრობითი (სურ. 3ბ), ხოლო კულტურულ ვაზს ძირითადად ორსქესიანი ჰერმაფროდიტული ყვავილები აქვს (სურ. 3გ). 4) ფოთლის ანალიზი ჩატარდა შესაბამისი მორფომეტრიული პარამეტრებით (OIV, 2007), რომლებიც წარმოდგენილია სქემაზე (სურ. 5). აგრეთვე, ჩატარდა მორფომეტრიული ანალიზი წიპწის ორივე - დორსალურ და ვენტრალურ მხარეზე (Mangafa, Kotsakis, 1996; სურ. 6).

კვლევის შედეგად, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა კულტურული ვაზის 21 ქართული აბორიგენული ჯიში (CV), ველური ვაზის - *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის, 9 პოპულაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან (W), საქართველოში ფართოდ გავრცელებული 2 ამერიკული სახეობა (VL- *V. labrusca*, VR- *V. riparia*) და 3 უცნობი წარმოშობის ჯიში (UH), რომლებიც ჩვენი აზრით არასწორად არის იდენტიფიცირებული, როგორც ქართული ჯიშები და სავარაუდოდ ჰიბრიდული წარმოშობისაა.



სურ. 5. ფოთოლზე გაზომილი მორფომეტრიული პარამეტრები (OIV, 2007 და Irma Tomazic, Zora Korosec-Koruza, 2003 მიხედვით): **L1**- OIV601 (ფოთლის N1 ძარღვის სიგრძე); **L2**- OIV602 (ფოთლის N2 ძარღვის სიგრძე); **L3**- OIV603 (ფოთლის N3 ძარღვის სიგრძე); **L4**- OIV604 (ფოთლის N4 ძარღვის სიგრძე); **L5**- OIV066-4 (ზრდასრული ფოთლის N5 ძარღვის სიგრძე); **OS**- OIV605 (მანძილი ფოთლის ყუნწის ამონაკვეთიდან ფოთლის ზედა ამონაკვეთამდე); **OI**- OIV606 (მანძილი ფოთლის ყუნწის ამონაკვეთიდან ფოთლის ქვედა ამონაკვეთამდე); α - OIV607 (კუთხე N1 და N2 ძარღვებს შორის); β - OIV609 (კუთხე N3 და N4 ძარღვებს შორის); γ - OIV610 (კუთხე N3 და N5 ძარღვებს შორის); **H1**- OIV612 (N2 კბილის სიგრძე); **B1**- OIV613 (N2 კბილის სიგანე); **H2**- OIV614 (N4 კბილის სიგრძე); **B2**- OIV615 (N4 კბილის სიგანე); **LO**- OIV066-5 (N3 ძარღვი, ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის სიგრძე ძარღვი N4-ისაკენ); **I**- OIV79-1 (ყუნწის ამონაკვეთის ურთიერთგადაფარვა; ღია/გახსნილობა); **VR1** (N2 ძარღვის შეფარდება N1 ძარღვთან); **VR2** (N3/N1 ძარღვთან); **VR3** (N4/N1 ძარღვთან); **SUM1** (α კუთხე + β კუთხე); **SUM2** ((α + β) + γ კუთხე).



სურ. 6. წიპწაზე გაზომილი მორფომეტრიული პარამეტრები: а) დორსალური მხარე: L-წიპწის საერთო სიგრძე; LS - წიპწის ნისკარტის სიგრძე; PCH- ქალაძის პოზიცია, ანუ მანძილი ქალაძის ფუძიდან წიპწის ნისკარტის წვერომდე; LCH- ქალაძის სიგრძე; BCH- ქალაძის სიგანე; ბ) ვენტრალური მხარე: B- წიპწის საერთო სიგანე; LF-ლარის სიგრძე)

საბოლოოდ, ჩვენ აღვწერეთ 52 ნიშანი: 21 მორფოლოგიური და 31 მორფომეტრიული. შესწავლილ ნიმუშთა მორფოლოგიური დახასიათება GrapeGen06 დესკრიპტორების (OIV, 2007) გამოყენებით მოცემულია ცხრილის სახით (ცხრილი 2). ფოთლების, მარცვლების და თესლების მორფოლოგიური და მორფომეტრიული პარამეტრები შემდგომში დამუშავდა ერთ- და მრავალცვლადიანი სტატისტიკის მეთოდიკით.

ცხრილი 2. კვლევაში გამოყენებული მორფოლოგიური და მორფომეტრიული დესკრიპტორების სია. სახელწოდება საწყისი სამი ასოთი ”OIV”, არის საერთაშორისო დესკრიპტორები (GrapeGen06, 2007), *-ით წარმოდგენილია მ. მანგაფასა და კ. კოტსაკისის (Mangafa, Kotsakis, 1996) და **-ით ჩვენს მიერ შემოღებული დესკრიპტორები.

N	სახელწოდება	ნიშანი
1	OIV001	ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ფორმა: 1- დახურული; 3- ნახევრად ღია; 5- ღია.
2	OIV003	ახალგაზრდა ყლორტი: განრთხმული ბუსუსების ანთოციანური შეფერილობის ინტენსივობა ზრდის კონუსზე: 1- შეუბუსავი, ან ძალიან იშვიათი; 3- იშვიათი; 5- ზომიერი; 7- ხშირი; 9- ძალიან ხშირი
3	OIV004	ახალგაზრდა ყლორტი: განრთხმული ბუსუსების სიხშირე ზრდის კონუსზე: 1- შეუბუსავი, ან ძალიან იშვიათი; 3- იშვიათი; 5- ზომიერი, 7- ხშირი; 9- ძალიან ხშირი
4	OIV007	ყლორტი: მუხლთაშორისის შეფერილობა ზურგის მხარეზე: 1- მწვანე; 2- მწვანე წითელი ზოლებით
5	OIV008	ყლორტი: მუხლთაშორისის შეფერილობა მუცლის მხარეზე: 1- მწვანე; 2-

		მწვანე წითელი ზოლებით
6	OIV016	პწვალი: განაწილება ყლორტზე: 1- წყვეტილი (ორი ან ნაკლები); 2- ქვეგანგრძობითი ან უწყვეტი (3 ან მეტი)
7	OIV051	ახალგაზრდა ფოთოლი: ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა; მე-4 ფოთოლი : 1- მწვანე; 2- ყვითელი, 3- ბრინჯაოსფერი, 4- სპილენძისფერი
8	OIV053	ახალგაზრდა ფოთოლი: განრთხმული ბუსუსების სიხშირე ძარღვებს შორის ფოთლის ქვედა მხარეზე; მე-4 ფოთოლი: 1 - შეუბუსავი ან ძალიან იშვიათი; 3- იშვიათი; 5- ზომიერი, 7- ხშირი; 9- ძალიან ხშირი
9	OIV067	ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ფორმა: 1- ყულის ფორმის, 2- სოლისებური, 3- ხუთკუთხედი, 4- მრგვალი, 5- თირკმლის ფორმის
10	OIV068	ზრდასრული ფოთოლი: ნაკვთების რაოდენობა: 1- დაუნაკვთავი; 2- სამი, 3- სუთი, 4- შვიდი, 5- შვიდზე მეტი
11	OIV070	ზრდასრული ფოთოლი: მთავარი ძარღვის ანთოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე: 1- არ არის; 2- ყუნწის წერტილი წითელია; 3- წითელი, პირველ განშტოებამდე; 4- წითელი, მეორად განშტოებამდე; 5- წითელი, მეორადი განშტოების შემდეგ
12	OIV080	ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვთის ფორმა: 1- ძალიან ფართოდ გახსნილი; 3- ნახევრად ღია; 5- დახურული; 7- ნაწილობრივ გადაფარული; 9- ძლიერ დახურული, გადაფარული
13	OIV080	ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ფუძის ფორმა: (1- U-ფორმის; 2- {-ფორმის; 3- V-ფორმის)
14	OIV81-1	ზრდასრული ფოთოლი: დეზის არსებობა ფოთლის ყუნწის ამონაკვეთზე: 1- არ არის; 2- 1 ან 2 დეზი არსებობს ფოთლის ამონაკვეთზე
15	OIV81-2	ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძარღვებით შემოსაზღრულობა: 1- არ არის; 2- გვხდება ყუნწის ამონაკვეთის ერთ მხარეზე; 3- გვხდება ყუნწის ამონაკვეთის ორივე მხარეზე
16	OIV83-2	ზრდასრული ფოთოლი: კბილების არსებობა ფოთლის ზედა ამონაკვეთის ფუძეში: 1- არ არის; 2- ხშირად გვხდება
17	OIV84	ზრდასრული ფოთოლი: განრთხმული ბუსუსების სიხშირე მთავარ ძარღვებს შორის (ქვედა მხარე): 1- არ არის ან ძალიან იშვიათი; 2- იშვიათი; 3- საშუალო; 7- ხშირი; 9- ძალიან ხშირი
18	OIV87	ზრდასრული ფოთოლი: სწორმდგომი ბუსუსების სიხშირე მთავარ ძარღვებზე (ქვედა მხარე): 1- არ არის ან ძალიან იშვიათი; 2- იშვიათი; 3- საშუალო; 7- ხშირი; 9- ძალიან ხშირი
19	OIV151	ყვავილები: ყვავილის სქესი: 1- სრულიად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოს გარეშე; 2- სრულიად განვითარებული მტვრიანებით და რედუცირებული ბუტკოთი; 3 - სრულიად განვითარებული მტვრიანებით და ბუტკოთი; 4 - გადახრილი მტვრიანებით და სრულიად განვითარებული ბუტკოთი
20	ქალაბის ფორმა**	წიპრა: ქალაბის ფორმა: 1- ჩაზნექილი; 2- ბრტყელი; 3- ამოზნექილი
21	ქალაბის განვითარება**	წიპრა: ქალაბის განვითარება: 1- ძლიერ განვითარებული; 2- საშუალოდ განვითარებული; 3- სუსტად განვითარებული
22	OIV601	ზრდასრული ფოთოლი: N1 ძარღვის სიგრძე
23	OIV602	ზრდასრული ფოთოლი: N2 ძარღვის სიგრძე
24	OIV603	ზრდასრული ფოთოლი: N3 ძარღვის სიგრძე
25	OIV604	ზრდასრული ფოთოლი: N4 ძარღვის სიგრძე
26	OIV605	ზრდასრული ფოთოლი: მანძილი ფოთლის ყუნწის ამონაკვეთიდან ფოთლის ზედა ამონაკვეთამდე
27	OIV606	ზრდასრული ფოთოლი: მანძილი ფოთლის ყუნწის ამონაკვეთიდან ფოთლის ქვედა ამონაკვეთამდე
28	OIV607	ზრდასრული ფოთოლი; კუთხე N1 და N2- შორის გაზომილი პირველ განშტოებამდე; α
29	OIV609	ზრდასრული ფოთოლი: კუთხე N3 და N4 ძარღვებს შორის; β
30	OIV610	ზრდასრული ფოთოლი: კუთხე N3 და ფოთლის ყუნწის მიმაგრების

		ადგილსა და N5 კბილის წვერის მხებს შორის; γ
31	OIV612	ზრდასრული ფოთოლი: N2 კბილების სიგრძე
32	OIV613	ზრდასრული ფოთოლი: N2 კბილების სიგანე
33	OIV614	ზრდასრული ფოთოლი: N4 კბილების სიგრძე
34	OIV615	ზრდასრული ფოთოლი: N4 კბილების სიგანე
35	OIV066-4	ზრდასრული ფოთოლი: N5 ძარღვის სიგრძე
	OIV066-5	ზრდასრული ფოთოლი: N3 ძარღვი; ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის სიგრძე ძარღვი N4-ისკენ
36	OIV079-1	ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ურთიერთგადაფარვა. ღია /გახსნილობა/
37	VR1**	ზრდასრული ფოთოლი: N2 ძარღვის შეფარდება N1 ძარღვთან
38	VR2**	ზრდასრული ფოთოლი: N3 ძარღვის შეფარდება N1 ძარღვთან
39	VR3**	ზრდასრული ფოთოლი: N4 ძარღვის შეფარდება N1 ძარღვთან
40	SUM1**	ზრდასრული ფოთოლი: α და β კუთხეების ჯამი
41	SUM2**	ზრდასრული ფოთოლი: SUM1 და γ კუთხეების ჯამი
42	L *	თესლი: საერთო სიგრძე;
43	LS*	თესლი: ნისკარტის სიგრძე;
44	PCH*	თესლი: ქალაპის პოზიცია, ანუ მანძილი ქალაპის ფუძიდან თესლის ნისკარტის წვერამდე;
45	LCH*	თესლი: ქალაპის სიგრძე;
46	BCH*	თესლი: ქალაპის სიგანე;
47	B*	თესლი: საერთო სიგანე;
48	LF*	თესლი: ღარის სიგრძე;
49	LS/L**	თესლი: თესლის ნისკარტის სიგრძის შეფარდება თესლის საერთო სიგრძესთან
50	BCH/B**	თესლი: ქალაპის სიგანის შეფარდება თესლის საერთო სიგანესთან
51	B/L**	თესლი: თესლის საერთო სიგანის შეფარდება თესლის საერთო სიგრძესთან
52	PCH/L**	თესლი: ქალაპის პოზიციის შეფარდება თესლის საერთო სიგრძესთან
53	LF/L**	თესლი: ღარის სიგრძის შეფარდება თესლის საერთო სიგრძესთან
54	LCH/L**	თესლი: ქალაპის სიგრძის შეფარდება თესლის საერთო სიგრძესთან

2. 2. 2. მოლეკულურ-სისტემატიკური კვლევა

ბოლო წლებში, მოლეკულური მარკერების ხელმისაწვდომობამ შესაძლებელი გახადა კულტურული და ველური ვაზის გენეტიკური კავშირების შესწავლა. კერძოდ, მიკროსატელიტები, ანუ მარტივი განმეორებადი თანმიმდევრობები (SSR), რომლებიც მაღალპოლიმორფულ მარკერებს წარმოადგენენ ინდივიდუალური ლოკუსებისთვის, აგრეთვე, მათი კოდომინანტური მემკვიდრეობისა და ჰიპერვარიაბელობის გამო, ფართოდ გამოიყენებიან გენეტიკურ კვლევებში ბირთვულ და ორგანელების დონეზე (Grassi et al., 2006; Ibanez et al., 2003; Imazio et al., 2006; Lopes et al., 2006; Martin et al., 2006; Santana et al., 2007; Vouillamoz et al., 2006).

შედეგად,ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა 159 ნიმუში: *V. vinifera* subsp. *vinifera*-ს 21 ქართული აბორიგენული ვაზის ჯიში (84 ნიმუში), 10 დასავლეთ ევროპული ჯიში (10 ნიმუში), 4 სანამყენე დასავლეთ ევროპული, *V. vinifera* subsp. *vinifera*, *V. riparia*, *V. rupestris* და *V. berlandieri*-ის შიდასახეობრივი ჰიბრიდები (4 ნიმუში), 3 უცნობი წარმოშობის ჯიში (12 ნიმუში), ველური ვაზის - *V. vinifera* subsp. *sylvestris*, 46 ინდივიდი (46 ნიმუში) და ორი ამერიკული სახეობა, *V. labrusca* და *V. riparia* (6 ნიმუში). კვლევა განხორციელდა 17 მიკროსატელიტულ ბირთვულ ლოკუსში: VrZAG21, VrZAG47, VrZAG62, VrZAG64, VrZAG79, VrZAG83 (Sefc et al., 1999); VVMD7, VVMD24, VVMD25, VVMD27, VVMD28, VVMD32, VVMD34 (Bowers et al., 1996, 1999); VVS2, VVS4 (Thomas, Scott, 1993); scu04vv, scu14vv (Scott et al., 2000). აქედან 8 მათგანი (VrZAG62, VrZAG79, VVMD7, VVMD25, VVMD27, VVMD28, VVMD32, VVS2) მიეკუთვნება GrapeGen06 პროექტის მიერ შერჩეულ მარკერთა კრებულს (This et al., 2004). სამუშაო შესრულდა ლაიბნიცის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევითი ინსტიტუტის (IPK, Gatersleben, Germany) უქსპერემენტალური ტაქსონომიის ლაბორატორიაში, პროფ. დოქტ. ფ. ბლატნერის ხელმძღვანელობით.

მოლეკულური ანალიზი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

ა). **დნმ-ის გამოყოფა:** გენომური დნმ-ის გამოყოფა განხორციელდა Qiagen Dneasy Plant Mini Kit-ის პროტოკოლის ანუ ლოდის (Lodhi et al., 1994) მიხედვით სილიკაგელში გამხმარი ვაზის ახალგაზრდა ფოთლებისგან.

დნმ-ის გამოყოფის პროტოკოლი Qiagen Dneasy Plant Mini Kit-ის მიხედვით:

- ვიღებდით 2 მლ ეპენდორფის სინჯარებს და ვნომრავდით 1-დან 12-მდე;
- წინასწარ ვრთავდით თერმომიქსერს, 65°C, ცხრა ბრუნზე;
- თითოეულ 1.5 ეპენდორფის სინჯარაში ვათავსებდით ვაზის გამხმარ ფოთლებს და 2 რკინის ბურთულას;
- სინჯარებს ვათავსებდით ცენტრიფუგაში (Centrifuge Fast Preparation 6905R) და ვრთავდით 20 ბრუნზე, 3-ჯერ;
- რნმ-ის დაშლის მიზნით ვამზადებდით ბუფერს: ვიღებდით API ბუფერს (წინასწარ ვაცხელებდით მიკროლუმელში) 400 მლ ოდენობით თითოეული სინჯარისთვის (400x13 სინჯარაზე ანუ თორმეტი და ერთი სათადარიგო) და RNase 4 მლ x 13 სინჯარაზე. ვურევდით 10 მლ ტიუბში ვორტექსზე და

ვანაწილებდით 1.5 ეპენდორფის სინჯარაში დაფშვნილი მასალით 404 მლ ოდენობით თითოეულში;

- ამ 1.5 მლ ეპენდორფის ტიუბებს ვურევდით ვორტექსზე და 30 წუთის განმავლობაში ვათავსებდით თერმომიქსერში;
- შემდგომში ვიყენებდით APII ბუფერს. თითოეული ეპენდორფის სინჯარისთვის 130 მლ და ვათავსებდით ყინულში 10 წუთის განმავლობაში. სინჯარებს ვათავსებდით ცენტრიფუგაში (Centrifuge 580R) შემდეგი პროგრამის გამოყენებით: $t=4^{\circ}\text{C}$, $N=6$, rpm/raf=1400, time=4 minutes;
- ფრთხილად ვიღებდით სინჯარებს, ვინაიდან გვჭირდებოდა ზედა ფრაქცია. პიპეტით ვიღებდით ზედა ფრაქციას 470 მლ ოდენობით და ვასხავდით სინჯარებში იისფერი თავსახურით (QIA shredder);
- ვათავსებდით სინჯარებს ცენტრიფუგაში (Centriguge 15917C) 2 წუთით. იისფერ ფილტრს ვაგდებდით სინჯარიდან და ლიზატს ნალექის გარეშე ვანაწილებდით 1.5 მლ ეპენდორფის სინჯარებში და ვამატებდით 720 მლ APIII ბუფერს. ვურევდით პიპეტით და ვასხავდით თეთრ სინჯარებში (DNeasy Mini Spin Column);
- ამ სინჯარებს ვათავსებდით ცენტრიფუგაში (Biofuge Heraeus), 1 წუთით, 10 ბრუნით;
- ფილტრებს თეთრი სინჯარიდან ვათავსებდით დანომრილ ეპენდორფის სინჯარებში, ვრეცხავდით AW ბუფერით და ვათავსებდით ცენტრიფუგაში (Biofuge Heraeus) 1 წუთით. ეს პროცედურა ორჯერ მეორდებოდა;
- გარეცხვის შემდგომ ვაცენტრიფუგებდით ერთხელ, მშრალ მდგომარეობაში;
- ფილტრებს ვათავსებდით 1.5 მლ ეპენდორფის სინჯარებში საბოლოო ნომრებით და ორჯერ ვამატებდით AE ბუფერს 50 მლ რაოდენობით. პირველი ჩასხმის შემთხვევაში ვაცენტრიფუგებდით 1 წუთის განმავლობაში, ხოლო მეორედ ჩასხმის შემთხვევაში ვტოვებდით ოთახის ტემპერატურაზე 5 წუთით და ისევ ვაცენტრიფუგებდით;
- საბოლოოდ, ფილტრებისგან თავისუფალ სინჯარებს, გამოყოფილი დნმ-ით ვათავსებდით მაცივარში.

ბ). პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქცია (PCR): გამოყოფილი დნმ-ის გარკვეული ფრაგმენტების კონცენტრაციის, ანუ ამპლიფიცირების მიზნით განხორციელდა პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქცია (PCR). შეცდომების გამორიცხვის მიზნით, ყოველი ნიმუშის ამპლიფიცირება მოხდა მინიმუმ ორჯერ. მარკერები მოინიშნა 3 ფლუროსცენტული საღებავით (FAM, HEX, TAMRA). PCR განხორციელდა ამპლიფიკატორში (PCR machine: AB Applied Biosystems, GeneAmp R, PCR System 9700) და შემდეგ ეტაპებს მოიცავდა:

- დენატურაცია (Denaturation) - 94C/30 წამი;
- გამოწვა (Annealing) – 50-56C/1 წუთი; ტემპერატურა განისაზღვრებოდა პრაიმერის მიხედვით;
- ელონგაცია (Extention) - 70 C/2 წუთი 40 ციკლი;
- საბოლოო ეტაპი (Final Step) - 72 C/10 წუთი

PCR-ის 10 მლ ხსნარი შემდეგი შემადგენლობით მზადდებოდა:

$$\text{H}_2\text{O}=4,65\mu\text{l} \times 100 = 465 \mu\text{l}$$

$$\text{MgCl}_2=0,6\mu\text{l} \times 100 = 60 \mu\text{l}$$

$$10xB=1 \mu\text{l} \times 100 = 100 \mu\text{l}$$

$$Q_{\text{sol}}=2 \mu\text{l} \times 100 = 200 \mu\text{l}$$

$$\text{dNTPS}=0,5 \mu\text{l} \times 100 = 50 \mu\text{l}$$

$$50\text{pmR}=0,1 \mu\text{l} \times 100 = 10 \mu\text{l}$$

$$50\text{pmF}=0,1 \mu\text{l} \times 100 = 10 \mu\text{l}$$

$$\text{Taq}=0,05 \mu\text{l} \times 100 = 5 \mu\text{l}$$

$$\text{Total } 900 \mu\text{l} : 100 = 9 \mu\text{l}$$

$$\text{DNA}=1 \mu\text{l}$$

გ). პოლიმერაზის რეაქციით მიღებული PCR პროდუქტების ელექტროფორეზი: PCR პროდუქტების ელექტროფორეზი განხორციელდა “MegaBACE model 1000” დნმ სეკვენსერით (Amersham Biosciences). შედარების მიზნით, ყველა შემთხვევაში ჩვენ გამოვიყენეთ GENRES-081-ისა (2001) და GrapeGen06-ის (OIV, 2007) მიერ შემოთავაზებული 18 დასავლეთ-ევროპული ჯიში, როგორც სტანდარტული ნიმუშები კონსტანტურ ალელთა ზომებით. მასალა ცნობად ჯიშებზე მოგვაწოდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტის

კულტურული მცენარეთა ბიომრავალფეროვნებისა და ადაპტაციების განყოფილებამ, (მონპელიე, საფრანგეთი).

2.2.3. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

2.2.3.1. მორფოლოგიურ და მორფომეტრიულ მონაცემთა ანალიზი

ახალგაზრდა ყლორტის, ფოთლის, მარცვლის და წიპჩის მორფოლოგიური და მორფომეტრიული პარამეტრები დამუშავდა ერთ- და მრავალცვლადიანი სტატისტიკის მეთოდებით. 21 მორფოლოგიურ, ანუ ხარისხობრივ ნიშანს მიენიჭა კოდები GrapeGen06-ის დესკრიპტორთა სიის (OIV, 2007) მიხედვით. შემდეგ, ამ ნიშნების დამუშავება მოხდა სტატისტიკური ანალიზით კატეგორიული ცვლადების სახით. ხოლო, რაც შეეხება 31 მორფომეტრიულ, ანუ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, მათი ანალიზი განხორციელდა, როგორც უწყვეტი ცვლადების.

ჯგუფების შიგნით, თითოეული მორფომეტრიული პარამეტრისთვის, განისაზღვრა მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები, არითმეტიკული საშუალო და სტანდარტული გადახრა, ერთცვლადიანი სტატისტიკის ANOVA-ს საშუალებით. ამ ნიშნებისთვის, აგრეთვე, განისაზღვრა ინდივიდუალური F -მაჩვენებლები, როგორც საწყისი მეთოდი თითოეული უწყვეტი მაჩვენებლის წვლილის განსაზღვრისთვის ჯგუფთაშორის დიფერენცირებაში. ხოლო, რაც შეეხება კატეგორიულ მაჩვენებლებს, მათი როლი ჯგუფთა დიფერენცირებაში განისაზღვა χ^2 სტატისტიკის გამოყენებით.

მონაცემთა ატესტაციის მიზნით, თუ რომელი ნიშანი მოგვცემდა ჯგუფების საუკეთესო დიფერენცირების საშუალებას, ჩვენ განვახორციელეთ ფაქტორული, ანუ პრინციპულ კომპონენტთა ანალიზი (PCA), რომლის მეშვეობით ხდებოდა ისეთი ფაქტორების (PCs) მოძიება, რომლებიც, რაც შეიძლება ამომწურავად ხსნიდა ცვლადებს შორის არსებულ კავშირებს. ხოლო, თითოეული ფაქტორი წარმოადგენდა ისეთი ცვლადების კომპლექსებს, რომლებიც ძლიერ კორელირებდა ერთმანეთთან. სხვადასხვა კლასიფიკაციებზე დაფუძნებულ ჯგუფებს შიგნით და ჯგუფებს შორის დიფერენცირება შეფასებულ იქნა დისკრიმინანტული ანალიზის (DFA) საშუალებით, რომელიც ეფუძნებოდა დამოუკიდებელი ცვლადების ხაზობრივ კომბინაციებს და უზრუნველყოფდა ჯგუფების საუკეთესო დიფერენცირებას. კლასიფიკაციის

გრაფიკული რეპრეზენტაცია ხდებოდა კანონიკური დისკრიმინანტული ანალიზით (CVA).

2.2.3.2. მოლეკულურ-სისტემატიკური მონაცემების ანალიზი

ჩვენ გამოვითვალეთ სხვადასხვა გენეტიკური პარამეტრი შესწავლილი 17 SSR მიკროსატელიტისთვის. გენოტიპს, რომელსაც ერთნაირი ალელები ჰქონდა თითოეულ ლოკუსში, განვიხილავდით, როგორც ჰომოზიგოტურ გენოტიპს. ხოლო, ორი განასხვავებული ალელით - ჰეტეროზიგოტურს. დათვლილი იქნა, აგრეთვე, ალელთა და გენოტიპების სიხშირე. გამოთვლილი იქნა შემდეგი მონაცემები: მოსალოდნელი ჰეტეროზიგოტულობა (expected heterozygosity - He), ფაქტიური ჰეტეროზიგოტულობა (observed heterozygosity - Ho), იდენტურობის ალბათობა (probability of identity - PI; Paetkau et al., 1995) და ნულოვანი ალელების შეფასების სიხშირე (estimation of null allele frequency - no; Brookfield, 1996) სპეციალური კომპიუტერული პროგრამის "IDENTITY 1.0" (<http://www.bocu.ac.at/zag/forsch/MANUAL.rtf>) გამოყენებით. ეფექტური ალელების რიცხვი (effective number of alleles - ne) შეფასდა მორგანტეს (Morgante et al., 1994) მიერ შემოთავაზებული ფორმულის მიხედვით: $ne = \sum(p_i^2)^{-1}$, სადაც p_i არის განსხვავებული გენოტიპების სიხშირე მოცემული ლოკუსისთვის. დიფერენცირების ძალა (discrimination power - D), ანუ ალბათობა იმისა, რომ 2 შემთხვევით არჩეული ნიმუშის განსხვავება შესაძლებელია SSR მარკერების მაჩვენებლებით (Tessier et al., 1999), გამოთვლილ იქნა ფორმულით: $D=1-C$, სადაც C არის დამთხვევის ალბათობა, ანუ ალბათობა იმისა, რომ 2 შემთხვევით არჩეული ნიმუში მოცემული ლოკუსისთვის იდენტურია ($C=\sum p_i^2$). პოლიმორფიზმის მნიშვნელობის ინფორმაცია (polymorphism information content - PIC) შეფასდა ფორმულით: $1 - \sum p_i^2 - \sum 2p_i^2 p_j^2$, სადაც p_i არის სიხშირე i ალელის და p_j -სიხშირე ($i+1$) ალელის (Botstein et al., 1980).

მოლეკულური ვარიანსას ანალიზის საშუალებით (AMOVA), სტატისტიკური პროგრამის "Arlequin"-ის გამოყენებით (Schneider et al., 2000), გაანალიზებულ იქნა შესწავლილი ჯგუფების გენეტიკური სტრუქტურა. F_{st} კოეფიციენტი, როგორც კულტურული და ველური ვაზის ჯგუფებს შორის გენეტიკური დიფერენციაციის საზომი, გამოთვლილ იქნა დისტანციურ მატრიცაზე 1023 შემთხვევითი

გადანაცვლებით, რომელიც გამოიყენება კორელაციის კოეფიციენტების ნულოვანი განაწილების გენერირებისთვის.

ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემთა მატრიცა (ცხრილი 15ა, 15ბ) კონვერტირებულ იქნა ორნიშნა მატრიცად (0, 1), რომელსაც საფუძვლად დაედო ყოველივე მოცემული ალელის არსებობა - არ არსებობა თითოეული ნიმუშისთვის, ყველა შესწავლილ ლოკუსში. ამ მატრიცის გამოყენებით, შემდეგ, შეიქმნა დენდროგრამა არითმეტიკული საშუალოს კლასტერული ანალიზის დისპერსულ წყვილთა ჯგუფის (UPGMA) მეთოდის გამოყენებით, Dice-ის კოეფიციენტით (Dice, 1945) NTSYS-ის კომპიუტერულ პროგრამაში (Rohlf, 2000).

3. შედეგები

3. 1. ველური ვაზის - *Vitis vinifera* L. subsp. *sylvestris* (C. C. Gmel.) Hegi, ქართული პოპულაციების მორფოლოგიური მრავალფეროვნება

ველური ვაზის შესწავლილი 9 პოპულაციისთვის, მორფოლოგიური ნიშნების შედარებამ გამოავლინა საერთო მახასიათებლების არსებობა (ცხრილი 3). ეს დესკრიპტორული ნიშნებია (ცხრილი 2): ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსის გახსნილი ფორმა (OIV001=5) და პწკალების წყვეტილი განაწილება ყლორტზე (OIV016=1). ეს ნიშნები წარმოადგენენ ძირითად მახასიათებლებს, რომლითაც ხდებოდა *V. vinifera*-ს გარჩევა *Vitis*-ის გვარის სხვა სახეობებისგან. კერძოდ, *V. riparia*-სგან, რომელსაც ახასიათებს დახურული ზრდის კონუსი (OIV001=1) და *V. labrusca*-სგან, რომელიც გამოირჩევა პწკალების უწყვეტი განლაგებით (OIV016=2). ველური ვაზის პოპულაციების ყველა შესწავლილ ინდივიდში, ძლიერ ცვალებადი ნიშნები აღმოჩნდა განრთხმული ბუსუსების სიხშირე კენტრულ ყლორტზე (OIV004=3, 5, 7, 9), ზრდასრული ფოთლის ნაკვთების რაოდენობა (OIV068=2, 3, 4, 5), ფოთლის მთავარი ძარღვის ანთოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე (OIV070=1, 2, 3, 4, 5), ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის ფორმა (OIV079=1, 2, 3, 5) და ზრდასრული ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის ფუძის ფორმა (OIV080=1, 2, 3). ზრდასრული ფოთლის ფორმა (OIV067) ნაკლებად ვარირებს, ძირითადად გხვდება სოლისებური ფორმის ფოთლები, იშვიათად ხუთკუთხა. რაც შეეხება, ფოთლის ქვედა მხარეზე განრთხმული ბუსუსების სიხშირეს ძარღვებს შორის, ვხვდებით შეუბუსავ (OIV084=1), იშვიათ (OIV084=3) ან საშუალოდ შუბუსვილ (OIV084=5) ფოთლებს. ხოლო, მთავარ ძარღვებზე სწორმდგომი ბუსუსების სიხშირე ძალიან იშვიათი (OIV087=1), იშვიათი (OIV087=3), საშუალო (OIV087=5), ან ხშირია (OIV087=7). პოპულაციათა უმრავლესობაში ძარცვლები იყო შავი ფერის, გამონაკლისია მხოლოდ ერთი პოპულაცია, მდ. მტკვრის აუზიდან (MJ08, ცხრილი 1), რომელიც გამოირჩეოდა ორი თეთრმარცვლიანი ინდივიდის არსებობით. ყვავილის სქესი (OIV151=1, 5, ცხრილი 3) ყველა პოპულაციაში იყო მამრობითი და ფუნქციონალურად მდედრობითი, რითაც ხდებოდა ველზე ველური ვაზის გარჩევა კულტურული ჯიშებისგან. მათ უმრავლესობას, როგორც წესი, ახასიათებს ორსქესიანი ყვავილების არსებობა (OIV151=3, ცხრილი 2).

ცხრილი 3. საქართველოში გაზრდელებული ველური ვაზის *Vitis vinifera* subsp. *syhrestris*-ის პოპულაციების ზრდასრული ფოთლის 19 მორფოლოგიური ნიშის ანალიზი არაპარამეტრული ტესტის, χ^2 -ის გამოყვლით: სისტირები (რიცხობრივად და პროცენტულად) და χ^2 ტესტის მნიშვნელობები (* $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$). 1) ალგაზნ-ივრის არავალი: **AI01** - საგარეჯოს რ-ნი, ივრის სახელმწიფო ნაკრძალი; **AI02** - ახმეტის რ-ნი; **AI03** - ლაგოდეხის რ-ნი, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი; 2) შავი ზღვის სანაპირო ზოლის არავალი: **BS04** - ხულოს რ-ნი; **BS05** - ბოლნისის რ-ნი; **KK06** - ბოლნისის ტყე-ტარკი; **KK07** - გარდაბნის ტყე-ტარკი; 3) ქვემო ქართლის არავალი: **SK08** - კასპის რ-ნი; **TB09** - თბილისის შემოზარენი. *დაქვრიცისტრებული განმარტებული ხსილები 2 შე.

N	დესკრიპტორი	კავდი	AI01 (N=20)	AI02 (N=20)	AI03 (N=30)	BS04 (N=30)	KK05 (N=30)	KK06 (N=20)	MJ07 (N=40)	SK08 (N=20)	TB09 (N=20)	χ^2/df
1	OIV001	5	20(100%)	30(100%)	30(100%)	30(100%)	30(100%)	40(100%)	20(100%)	20(100%)	-	
2	OIV003	1	0	10 (100%)	10 (33.3%)	30 (100%)	0	0	30 (75%)	10 (50%)	10 (50%)	140.81/1***
		3	20 (100%)	10 (100%)	20 (67.3%)	0	0	20 (100%)	10 (25%)	10 (50%)	10 (50%)	
3	OIV004	3	0	0	0	10 (33.3%)	10 (33.3%)	0	0	0	0	135.54/3***
		5	0	0	10 (33.3%)	10 (33.3%)	0	0	10 (25%)	0	0	
		7	20 (100%)	0	20 (67.3%)	10 (33.3%)	0	0	10 (25%)	20 (100%)	20 (100%)	
		9	0	20 (100%)	0	0	0	0	20 (50%)	0	0	
4	OIV007	1	10 (50%)	10 (50%)	0	20 (67.3%)	20 (67.3%)	20 (100%)	0	0	10 (20%)	102.76/2***
		2	10 (50%)	0	10 (33.3%)	10 (33.3%)	0	0	10 (25%)	20 (100%)	0	
		3	0	10 (50%)	20 (67.3%)	0	0	0	30 (75%)	0	10 (20%)	
5	OIV008	1	20 (100%)	20 (100%)	20 (67.3%)	30 (100%)	30 (100%)	20 (100%)	10 (25%)	20 (100%)	20 (100%)	364.83/1***
		2	0	0	10 (33.3%)	0	0	0	30 (75%)	0	0	
6	OIV016	1	20 (100%)	20 (100%)	30 (100%)	30 (100%)	20 (100%)	40 (100%)	20 (100%)	20 (100%)	-	
7	OIV051s	1	20 (100%)	10 (50%)	10 (33.3%)	20 (66.7%)	10 (33.3%)	0	10 (25%)	20 (100%)	10 (50%)	579.89/2***
		3	0	10 (50%)	0	0	10 (33.3%)	0	0	0	0	
		4	0	0	20 (67.3%)	10 (33.3%)	10 (33.3%)	20 (100%)	30 (75%)	0	10 (50%)	
8	OIV053	1	10 (50%)	0	0	20 (66.7%)	20 (66.7%)	0	10 (25%)	0	0	321.58/4***
		3	0	0	20 (67.3%)	0	0	0	0	0	20 (100%)	
		5	10 (50%)	0	10 (33.3%)	0	0	0	0	0	0	
		7	0	10 (50%)	0	10 (33.3%)	10 (33.3%)	0	30 (75%)	10 (50%)	0	
		9	0	10 (50%)	0	0	0	0	0	0	0	
9	OIV067	2	20 (100%)	20 (100%)	25 (83.3%)	0	20 (67.3%)	8 (40%)	30 (75%)	16 (80%)	12 (60%)	210.36/1***

10	OIV068	3	0	0	5 (17.75%)	30 (100%)	10 (33.3%)	12 (60%)	4 (20%)	8 (40%)	
		2	14 (70%)	8 (40%)	21 (70%)	0	16 (80%)	12 (30%)	5 (25%)	12 (60%)	438.81/^{3**}
		3	6 (30%)	12 (60%)	8 (26.7%)	3 (10%)	16 (53.3%)	4 (20%)	28 (70%)	10 (50%)	8 (40%)
		4	0	0	1 (3.3%)	0	13 (43.3%)	0	0	5 (25%)	0
		5	0	0	0	0	1 (3.3%)	0	0	0	0
11	OIV070	1	0	3 (15%)	10 (33.3%)	16 (53.3%)	0	0	2 (5%)	0	20 (100%) 125.74/^{4**}
		2	2 (10%)	15 (75%)	11 (36.7%)	14 (46.7%)	18 (60%)	8 (40%)	22 (55%)	7 (35%)	0
		3	4 (20%)	2 (10%)	9 (30%)	0	11 (36.7%)	6 (30%)	16 (40%)	4 (20%)	0
		4	3 (15%)	0	0	0	0	4 (20%)	0	5 (25%)	0
		5	11 (55%)	0	0	0	1 (3.3%)	2 (10%)	0	0	0
12	OIV079	1	16 (80%)	1 (5%)	11 (36.7%)	0	9 (30%)	0	6 (15%)	1 (5%)	0
		2	0	0	0	0	0	0	7 (17.5%)	0	0
		3	4 (20%)	19 (55%)	19 (63.3%)	29 (96.7%)	21 (70%)	20 (100%)	23 (57.5%)	19 (95%)	18 (90%)
		5	0	0	0	1 (3.3%)	0	0	4 (10%)	0	2 (10%)
13	OIV080	1	17 (85%)	6 (30%)	12 (40%)	12 (40%)	25 (83.3%)	20 (100%)	16 (40%)	7 (35%)	2 (10%) 109.96/^{2**}
		2	0	4 (20%)	1 (3.3%)	2 (6.7%)	0	0	5 (12.5%)	8 (40%)	5 (25%)
		3	3 (15%)	10 (50%)	17 (56.7%)	16 (53.3%)	5 (16.7%)	0	19 (47.5%)	5 (25%)	13 (65%)
14	OIV081_1	1	15 (75%)	9 (45%)	26 (86.7%)	27 (90%)	27 (90%)	20 (100%)	17 (42.5%)	4 (20%)	15 (75%) 74.48/^{1**}
		2	5 (25%)	11 (55%)	4 (13.3%)	3 (10%)	3 (10%)	0	23 (57.5%)	16 (80%)	5 (25%)
15	OIV081_2	1	1 (5%)	0	0	2 (6.7%)	1 (3.3%)	0	0	0	0
		2	1 (5%)	0	0	28 (93.3%)	2 (6.7%)	0	1 (2.5%)	0	0
		3	18 (90%)	20 (100%)	30 (100%)	0	27 (90%)	20 (100%)	39 (97.5%)	20 (100%)	20 (100%)
16	OIV083_2	1	19 (95%)	16 (80%)	30 (100%)	23 (76.7%)	26 (86.7%)	20 (100%)	38 (95%)	20 (100%)	20 (100%) 91.21/^{1**}
		2	1 (5%)	4 (20%)	0	7 (23.3%)	4 (13.3%)	0	2 (5%)	0	0
17	OIV084	1	20 (100%)	10 (50%)	20 (67.3%)	30 (100%)	9 (30%)	0	10 (25%)	0	10 (50%)
		3	0	10 (50%)	0	0	21 (70%)	20 (100%)	0	20 (100%)	10 (50%)
		5	0	0	10 (33.3%)	0	0	0	30 (75%)	0	0
18	OIV087	1	10 (50%)	20 (100%)	30 (100%)	10 (33.3%)	10 (33.3%)	20 (100%)	40 (40%)	20 (100%)	20 (100%) 2643.54/^{3**}
		3	0	0	0	10 (33.3%)	10 (33.3%)	0	0	0	0
		5	10 (50%)	0	0	0	0	0	0	0	0
		7	0	0	0	10 (33.3%)	10 (33.3%)	0	0	0	0
19	OIV151	1	20 (100%)	10 (50%)	30 (100%)	10 (33.3%)	20 (67.7%)	0	0	20 (100%)	94.41/^{1**}
		5	0	10 (50%)	0	20 (67.7%)	10 (33.3%)	20 (100%)	40 (100%)	20 (100%)	0

ცხრილი 4. საქართველოში გაზრდელებული ველური ვაზის *Vitis vinifera* subsp. *syhvestris*-ის პოპულაციების ზრდასრული ფოთლის 21 მონფოტეტრიული ნიმნის (16 განაზომის და 5 ინდექსის) ანალიზი (ANOVA): სამუალო მაჩვენებელითს ტანდარტული შეცდომა, ფრჩხილებში მინიმალური - მაქსიმალური მაჩვენებელი, და *F* კრიტიკულის მნიშვნელობები (* $P<0.05$; ** $P<0.01$; *** $P<0.001$). 1) ალაზან-ივრის არეალი: **AI01** - საგარეჯოს რ-ნი, ივრის სახელმწიფო ნაკრძალი; **AI02** - ამტეტის რ-ნი; **AI03** - ლაგოდეხის რ-ნი, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი; **2** შავი ზღვის სანაპირო ზოლის არეალი: **BS04** - ხულოს რ-ნი; **3** ქვემო ქართლის არეალი: **KK05** - გარდაბნის რ-ნი, გარდაბნის ტყე-პარკი; **KK06** - ბოლნისის რ-ნი; **4** სამცხე-ჯავახეთის არეალი: **MJ07** - ხორჯომის რ-ნი; **5** შილა ქართლის არეალი: **SK08** - კასპის რ-ნი; **TB09** - თბილისის ტემოგარენი.

N	დასკრიპტორი	AI01 (N=20)	AI02 (N=20)	AI03 (N=30)	BS04 (N=30)	KK05 (N=30)	KK06 (N=20)	MJ07 (N=40)	SK08 (N=20)	TB09 (N=20)	F
1	OIV601	85.5±2.08 (67-102.3)	85±1.7 (51-89)	72.2±1.83 (66.7-99.7)	78.6±2.24 (51.7-97)	91.1±2.52 (67.5-116)	67.2±1.17 (59-75)	81.6±2.63 (51-129)	81.5±2.96 (60.5-102.6)	89.5±2.84 (70-114.3)	13.87***
2	OIV602	72.9±1.67 (60.7-87.8)	69.5±1.28 (58.5-77.7)	57.7±1.47 (37-77)	66.3±1.77 (50-81)	76.2±2.04 (54-95)	61.3±2.05 (48.8-76)	67.1±1.65 (43-90.5)	68.3±2.16 (51.5-88)	77.2±2.13 (60-98)	13.78***
3	OIV603	46.1±1.2 (38-55.7)	50.3±1.08 (45-64)	41.1±0.93 (35-56)	47.7±1.27 (39-60.3)	52.4±1.46 (37-63.5)	48.9±2.97 (30-69)	50.2±1.12 (32.5-68.1)	51.2±1.73 (39.5-67)	54.8±1.47 (43-64)	7.08***
4	OIV604	24.4±1.27 (16.3-32.8)	34.6±1.48 (20.3-51.7)	24.7±0.63 (18-34)	30.9±1.11 (19.3-42.7)	29.6±1.03 (20-40)	32.9±2.87 (15.8-53)	33.8±1.02 (11.5-50.3)	32.7±1.79 (17.5-47.5)	30.8±1.48 (21-51)	5.91***
5	OIV66-4	6.9±1.07 (0-16)	18.7±0.87 (12.2-25)	11.4±0.72 (0-21)	13.6±0.88 (5-22)	12.8±0.7 (0-21)	10.8±0.76 (5.8-17)	17.1±0.56 (8.5-25.3)	17.4±1.24 (4-24)	17.3±0.7 (9.5-21)	15.46***
6	OIV605	52.2±1.69 (40.8-64.3)	47.5±1.04 (39-56)	43.7±2.24 (22.3-67)	44.7±1.97 (27.5-64.3)	44.7±2.73 (25-69)	32.2±1.72 (18.8-46)	49.9±1.4 (32.6-69.3)	50.7±0.94 (42.5-57.5)	56.6±2.15 (42-72.7)	9.19***
7	OIV606	40.3±1.3 (30-50.3)	40.4±1.11 (31.7-53)	35.8±1.06 (24-50.3)	39.6±1.1 (30.3-50.7)	39.2±1.35 (24.5-51.5)	39.2±2.2 (21-58)	42.3±1.1 (26.5-59.5)	43.1±1.22 (34-51)	43±1.64 (30.3-54)	4.22***
8	OIV607	38.4±0.93 (31-47)	37.2±0.94 (30-47)	39.6±1.4 (27-53.5)	47.5±1.22 (34-58)	40.2±0.91 (31-52.5)	38.1±1.4 (26.7-54)	39.4±1.19 (25-59.8)	37.1±0.94 (30-44)	45.6±0.92 (40-57.5)	8.70***
9	OIV609	29.7±1.21 (14-36.5)	40.3±1.45 (33-59)	34.4±0.9 (25-46)	38.1±1.25 (25-54)	47.6±1.39 (35.5-65)	37.4±0.93 (31-47)	43.3±1.12 (26.8-67)	42.9±1.45 (31.5-52)	45.7±1.35 (30.3-54)	16.89***
10	OIV610	32.6±4.5 (0-55.3)	65.3±1.47 (53-77)	51.1±1.54 (36-81)	58.1±2.75 (47-88)	67.5±2.23 (43-68)	53.3±1.65 (46-108)	74.2±1.85 (56-82)	69.6±1.74 (55-80)	69.6±1.49 (55-80)	30.34***
11	OIV612	8±2.61 (3-13)	7.6±0.4 (5-11)	5.5±0.48 (2-12.3)	7.7±0.34 (3-11)	13±0.7 (5-21)	6.8±0.64 (3-13)	8.3±0.73 (3.5-25)	11.2±0.67 (4-14.5)	11.2±0.67 (6-17.7)	19.06***

12	OIV613	8.4±0.54	7.3±0.4	6.6±0.34	8.6±0.49	11.2±0.42	6.3±0.49	8±0.35	8.7±0.5	12±0.66	16.58***
		(4-14)	(5-11)	(4-12,3)	(4-13,3)	(7.5-17.5)	(3-10)	(4-13)	(5-13)	(7.3-17)	
13	OIV614	6.4±0.4	6.8±0.4	4.3±0.26	7.8±0.39	9.5±0.39	4.7±0.3	6.7±0.35	5.6±0.42	7.3±0.41	21.76***
		(2.8-10.3)	(4-10)	(2-8)	(4-14)	(6-16)	(3-8)	(3.5-13.5)	(3-9)	(4.7-11)	
14	OIV615	6.4±0.27	6.9±0.41	4.7±0.19	7.3±0.36	8.6±0.35	5.1±0.36	6.9±0.26	6.5±0.42	7.3±0.56	16.59***
		(4.3-9.3)	(4-11)	(3-8)	(6-13.7)	(5-14)	(3-9)	(3-10.5)	(4-11)	(5-13)	
15	OIV066-5	8.5±0.47	7.4±0.54	5.8±0.23	8±0.5	7.9±0.51	4.2±0.21	6.1±0.34	7.2±0.4	6.8±0.52	8.61***
		(6-13)	(4.7-12)	(4-9)	(4.3-16.3)	(2.5-14)	(3-6)	(2.8-13.8)	(4.5-10)	(3-10)	
16	OIV079-1	-30.9±0.65	-16.6±1.31	-24.9±1.67	-13.5±1.27	-20.8±2.11	-21.4±1.06	-16.1±1.87	-22.1±1.38	-6.9±1.02	20.71***
		(-35 - -5.7)	(-29 - -7)	(-42 - -8.5)	(-25 - -3)	(-42.5 - -2)	(-31 - -11)	(-43.5 - 6)	(-35.7 - -13)	(-18 - 1)	
17	VR1	0.86±0.01	0.82±0.02	0.8±0.02	0.85±0.01	0.84±0.01	0.91±0.03	0.84±0.01	0.84±0.01	0.87±0.02	2.95**
		(0.71-0.97)	(0.66-0.94)	(0.61-0.98)	(0.71-1)	(0.69-0.96)	(0.71-1.12)	(0.6-1.11)	(0.74-0.93)	(0.7-1.04)	
18	VR2	0.54±0.02	0.6±0.02	0.58±0.01	0.62±0.02	0.58±0.01	0.73±0.04	0.63±0.01	0.63±0.02	0.62±0.02	6.69***
		(0.42-0.73)	(0.51-0.79)	(0.46-0.72)	(0.49-0.91)	(0.46-0.76)	(0.43-1.03)	(0.43-0.87)	(0.5-0.78)	(0.5-0.72)	
19	VR3	0.29±0.02	0.41±0.02	0.35±0.01	0.4±0.02	0.33±0.01	0.49±0.04	0.42±0.01	0.4±0.02	0.35±0.02	10.01***
		(0.18-0.47)	(0.23-0.64)	(0.25-0.47)	(0.25-0.63)	(0.21-0.47)	(0.23-0.82)	(0.23-0.62)	(0.22-0.53)	(0.26-0.6)	
20	SUM1	68.05±1.67	77.49±1.63	74±1.92	85.57±1.44	87.81±1.64	75.46±1.03	82.66±1.77	80±1.46	91.31±1.37	16.67***
		(45-79)	(65-96)	(54-91)	(70-101.7)	(74-105)	(69-89)	(62-115.5)	(67-95)	(81-101)	
21	SUM2	100.7±5.24	142.8±2.39	125.1±3.2	139±3.49	155.3±3.37	128.8±1.9	156.9±3.01	149.6±2.83	160.88±2.55	31.75***
		(61.3-32.8)	(124-160)	(94-159)	(95.7-82.7)	(124.5-185)	(113-147.5)	(119.8-23.5)	(125-166)	(142.8-178)	

*დესკრიპტორების განმარტებები იხილეთ სურ. 5-ზე და ცხრილ 2-ში.

თითოეული პოპულაციისთვის განისაზღვრა მორფომეტრიული მონაცემების საშუალო , სტანდარტული შეცდომა, მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები (ცხრილი 4). სტატისტიკური განსხვავება ჭეშმარიტ საშუალო მაჩვენებლებს შორის შეფასდა F-კრიტერიუმით, ერთმწკვრივიანი ანალიზის (ANOVA) საშუალებით. შედეგებმა აჩვენა (ცხრილი 11), რომ ყველა მორფომეტრიული პარამეტრი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჯგუფებს შორის (F^{***}).

ფოთლის მთავარი ძარღვების სიგრძე, N1 (OIV601, $F=13.87^{***}$) და N2 (OIV602, $F=13.78^{***}$) გამოირჩევა მაღალი მაჩვენებლით ალაზნის (AI01: OIV601= 85.5 ± 2.05 , OIV602= 72.9 ± 1.67 ; AI02: OIV601= 85 ± 1.7 , OIV602= 69.5 ± 1.28) და მტკვრის (KK05: OIV601= 91.1 ± 2.52 , OIV602= 76.2 ± 2.04 ; MJ07: OIV601= 81.6 ± 2.63 , OIV602= 67.1 ± 1.65 ; SK08: OIV601= 81.5 ± 2.96 , OIV602= 68.3 ± 2.16 ; TB09: OIV601= 89.5 ± 2.84 ; OIV602= 77.2 ± 2.13) მდინარეთა აუზის პოპულაციებში; საშუალო მაჩვენებლებია აჭარისწყლის პოპულაციაში (BS04: OIV601= 78.6 ± 2.24 ; OIV602= 66.3 ± 1.77); მცირე სიგრძე ახასიათებს ივრისა (AI03: OIV601= 77.2 ± 1.83 ; OIV602= 57.7 ± 1.47) და ხრამის (KK06: OIV601= 67.2 ± 1.17 ; OIV602= 61.3 ± 2.05) მდინარეთა აუზის პოპულაციებს. აგრეთვე, ახმეტის (AI02: OIV603= 50.3 ± 1.08 , OIV604= 34.6 ± 1.48 , OIV066-4= 18.7 ± 0.87 , OIV609= 40.3 ± 1.45 , OIV610= 65.3 ± 1.47), ბორჯომის (MJ07: OIV603= 50.2 ± 1.12 , OIV604= 33.8 ± 1.02 , OIV066-4= 17.1 ± 0.56 , OIV609= 43.2 ± 1.12 , OIV610= 74.2 ± 1.85), კასპის (SK08: OIV603= 51.2 ± 1.73 , OIV604= 32.7 ± 1.79 , OIV066-4= 17.4 ± 1.24 , OIV609= 42.9 ± 1.45 , OIV610= 69.6 ± 1.74) და თბილისის შემოგარენის (TB09: OIV603= 54.8 ± 1.47 , OIV604= 30.8 ± 1.48 , OIV066-4= 17.3 ± 0.7 , OIV609= 45.7 ± 1.35 , OIV610= 69.6 ± 1.49) პოპულაციები გამოირჩევიან ფოთლის ძარღვების, N3 (OIV603, $F=7.08^{***}$), N4 (OIV604, $F=5.91^{***}$) და N5 (OIV066-4, $F=15.46^{***}$), და β (OIV609, $F=16.89^{**}$) და γ (OIV610, $F=30.34^{***}$) კუთხეების მაქსიმალური მაჩვენებლებით. N2 და N4 კბილების სიგრძე (OIV612, $F=19.06^{***}$; OIV615= 21.76^{***}) - სიგანე (OIV613, $F=16.58^{***}$; OIV616= 16.59^{***}) მაქსიმალურია გარდაბნის (KK05: OIV612= 13 ± 0.7 , OIV613= 11.2 ± 0.42 , OIV614= 9.5 ± 0.39 , OIV615= 8.6 ± 0.35) პოპულაციაში; საშუალოა ახმეტის (AI01: OIV612= 8 ± 2.61 , OIV613= 8.4 ± 0.54 , OIV614= 6.4 ± 0.4 , OIV615= 6.4 ± 0.27), ლაგოდების (AI02: OIV612= 7.6 ± 0.4 , OIV613= 7.3 ± 0.4 , OIV614= 6.8 ± 0.4 , OIV615= 6.9 ± 0.41), აჭარის (BS04: OIV612= 7.7 ± 0.34 , OIV613= 8.6 ± 0.49 , OIV614= 7.8 ± 0.39 , OIV615= 7.3 ± 0.36), ბორჯომის (MS07: OIV612= 8.8 ± 0.73 , OIV613= 8 ± 0.35 , OIV614= 6.7 ± 0.35 , OIV615= 6.9 ± 0.26) და კასპის

(SK09: OIV612=8.3±0.64, OIV613=8.7±0.5, OIV614=5.6±0.42, OIV615=6.5±0.42) პოპულაციებში; მინიმალურია საგარეჯოს (AI03: OIV612=5.5±0.48, OIV613=6.6±0.34, OIV614=4.3±0.26, OIV615=4.7±0.19) და ბოლნისის (KK06: OIV612=6.8±0.64, OIV613=6.3±0.49, OIV614=4.7±0.3, OIV615=5.1±0.36) პოპულაციებში. თბილისის შემოგარენის (TB09) პოპულაციაში N2 კბილის სიგრძე და სიგანე (OIV612=11.2±0.67 - OIV613=12±0.66) მაქსიმალურია გარდაბნის ინდივიდების მსგავსად. ხოლო, N4 კბილის (OIV614=7.3±0.41 - OIV615=7.3±0.56) ეს მნიშვნელობები საშუალო მაჩვენებლებს აღწევს (ცხრილი 4).

პრინციპული კომპონენტების ანალიზის (PCA) შედეგად 21 გაზომილი პარამეტრიდან გამოვლინდა 16, რომლებიც შესაბამისად ერთიანდება 3 ფაქტორში და ხსნის ვარიაბელურობის 76.85%-ს (ცხრილი 5). პირველი კომპონენტი ძლიერ კორელირებს მთავარი ძარღვების კუთხეებთან (OIV609, OIV610), ამ კუთხეების ჯამთან (SUM1, SUM2), ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის ურთიერთგადაფარვასთან (OIV079-1) და უდრის 26.41%-ს. მეორე კომპონენტში, გაერთიანებულია შემდეგი პარამეტრები: 1) მთავარი ძარღვების სიგრძე: N3 (OIV603), N4 (OIV604) და N5 (OIV066-4); 2) მანძილი ფოთლის ყუნწის ამონაკვეთიდან ფოთლის ქვედა ამონაკვეთამდე (OIV606); და, 3) N2 (VR1), N3 (VR2) და N4 (VR3) ძარღვების სიგრძის შეფარდება N1 ძარღვთან. ისინი ხსნიან ვარიაბელობის 25.48%-ს. ხოლო, რაც შეეხება მესამე კომპონენტს (24.95%), მასში გაერთიანებულია N1 (OIV601) და N2 (OIV602) მთავარი ძარღვების სიგრძე და N2 კბილის სიგრძე - სიგანე (OIV612 - OIV613).

პრინციპულ კომპონენტთა ანალიზის (PCA) შედეგად შერჩეული ფოთლის 16 მორფომეტრიული პარამეტრი, შემდგომში გამოყენებულ იქნა ველური ვაზის პოპულაციების დასაჯავაფებლად. რისთვისაც, ჩვენ გამოვიყენეთ 3 განსხვავებული კლასიფიკაცია: 1) პოპულაციების; 2) მდინარეთა აუზების და 3) გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით. პოპულაციების მიხედვით პირველი 4 პრინციპული კომპონენტი ხსნის ვარიაბელურობის 88.9%, რასაც ადასტურებს ვილქს-ვილქს-ლამბდას მნიშვნელობის სანდო დონე (Δ Wilks'***) და კანონიკური კორელაციის კოეფიციენტების მაღალი მაჩვენებლები ამ ფუნქციებისათვის (ცხრილი 6). პირველი დისკრიმინანტული ფუნქცია კორელირებს ისეთ პარამეტრებთან, როგორიცაა

ცხრილი 5. პირველი სამი პრინციპული კომპონენტის (PC) მნიშვნელობები საქართველოში გავრცელებული ველური ვაზის - *Vitis vinifera* subsp. *sylvestris*-ის, პოპულაციების ზრდასრული ფოთლის 16 მორფომეტრიული ნიშნისთვის. (N=230).

N	დესკრიპტორი	PC1	PC2	PC3
1	OIV601	-0.060	-0.057	0.919*
2	OIV602	-0.034	0.256	0.885*
3	OIV603	0.034	0.733*	0.322
4	OIV604	0.088	0.901*	0.258
5	OIV066-4	0.360	0.668*	0.171
6	OIV606	-0.018	0.627*	0.284
7	OIV609	0.869*	0.001	0.136
8	OIV610	0.845*	0.231	-0.038
9	OIV612	0.106	-0.057	0.735*
10	OIV613	0.194	-0.003	0.785*
11	OIV079-1	0.809*	0.065	-0.098
12	VR2	0.069	0.826*	-0.286
13	VR3	0.087	0.893*	-0.311
15	SUM1	0.846*	0.005	0.183
16	SUM2	0.958*	0.163	0.053
მნიშვნელობა		3.96	3.82	3.74
ვარიანსა (%)		26.41	25.48	24.95
ჯამური (%)		26.41	51.90	76.85

*ვარსკლავით მონიშნული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად კორელილრებს შესაბამის პრინციპულ კომპონენტთან

ცხრილი 6. ფოთლის 16 მორფომეტრიული პარამეტრის დისკრიმინანტული ფუნქციის ანალიზის (DFA) შედეგები (*p<0.05; ** p<0.01; *** p<0.001; N=230).

დისკრიმინანტული ფუნქცია (DF)	ფუნქციის მნიშვნელობა	ვარიანსას %	ჯამური %	კანონიკური კორელაცია	Δ Wilks'
მონაცემები პოპულაციების მიხედვით					
1	2.57	41.9	41.9	0.848	0.022***
2	1.61	26.2	68.1	0.785	0.079***
3	0.85	13.8	81.9	0.678	0.205***
4	0.43	7.0	88.9	0.548	0.379***
მონაცემები მდინარეთა აუზების მიხედვით					
1	1.48	55.5	55.5	0.722	0.150***
2	0.54	20.1	75.6	0.590	0.371***
3	0.33	12.3	87.9	0.496	0.570***
4	0.32	12.1	100.0	0.493	0.757***
მონაცემები გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით					
1	0.52	54.2	54.2	0.585	0.457***
2	0.44	45.8	100.0	0.553	0.695***

OIV609, OIV612, OIV613; მეორე ფუნქცია -OIV066-4, OIV610, SUM2 და მესამე - OIV079-1. ხოლო, რაც შეეხება ნიმუშების კლასიფიცირების შედეგებს, შესწავლილი 230 ნიმუშიდან 174 სწორედ არის განაწილებული, რაც შეესაბამება 75.7% (ცხრილი 7).


ცხრილი 7. საქართველოში გავრცელებული ველური ვაზის - *Vitis vinifera* subsp. *sylvestris*-ის, პოპულაციების კლასიფიკაცია ფოთლის 16 მორფომეტრიული პარამეტრის დისკრიმინანტული ფუნქციის ანალიზის (DFA) საფუძველზე. (N=230). N (%) - კორელაციულად კლასიფიცირებული ნიმუშების რაოდენობის პროცენტი.

მონაცემები პოპულაციების მიხედვით										
პოპულაცია*	N (%)	AI01	AI02	AI03	BS04	KK05	KK06	MJ07	SK08	TB09
AI01	80	16	0	2	0	1	1	0	0	0
AI02	65	0	13	0	2	0	0	1	4	0
AI03	83.3	1	0	25	1	0	1	0	2	0
BS04	86.7	0	1	1	26	0	0	2	0	0
KK05	86.7	0	0	0	1	26	0	0	2	1
KK06	55.0	0	0	7	0	0	11	0	2	0
MJ07	62.5	0	4	2	2	1	0	25	5	1
SK08	75.0	0	2	2	0	0	0	0	15	0
TB09	85.0	0	0	0	1	0	1	1	0	17
საერთო რაოდენობა	75.7									
მონაცემები მდინარეთა აუზების მიხედვით										
მდინარის აუზი	N (%)	აჭარის-წყალი		ალაზანი		იორი		მტკვარი		ხრამი
აჭარისწყალი	86.7	26		2		0		0		2
ალაზანი	66.6	6		33		2		2		7
იორი	95.0	0		0		19		1		0
მტკვარი	75.5	8		13		1		83		5
ხრამი	60.0	1		6		0		1		12
საერთო რაოდენობა	75.2									
მონაცემები გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით										
გეოგრაფიული რეგიონი	N (%)	დასავლეთ საქართველო		სამხრეთ საქართველო		აღმოსავლეთ საქართველო				
დასავლეთ საქართველო	86.7	26		2		2				
სამხრეთ საქართველო	82.5	3		33		4				
აღმოსავლეთ საქართველო	70.6	22		25		113				
საერთო რაოდენობა	74.8									

*პოპულაციების კოდები იხილეთ ცხრილ 3-ში.

ნიმუშების განაწილების დიაგრამაში (სურ. 7) გარდაბნის (KK05) და თბილისის შემოგარენის (TB09) პოპულაციები ზედა მარჯვენა კუთხეში არიან დაჯგუფებულნი. ხოლო, ახმეტის (AI01) პოპულაცია, ქვედა მარცხენა კუთხეშია მოთავსებული. გარდაბნის და თბილისის შემოგარენის პოპულაციები გამოირჩევან ყველაზე გრძელი N1, N2 და N3 (OIV601, OIV602, OIV603) ძარღვებით, კბილებით (OIV612 - OIV613) და β კუთხით (OIV609). ახმეტის პოპულაცია თავის მხრივ გამოირჩევა

ძარღვების, N4 და N5 (OIV609, OIV610), მინიმალური სიგრძით, β (OIV609) და γ (OIV610) კუთხეებით და ყველაზე ფართედ გახსნილი ფოთლებით (OIV079-1). რაც შეეხება, ლაგოდების (AI02), საგარეჯოს (AI03), აჭარის (BS04), ბოლნისის (KK06), ბორჯომის (MJ07) და კასპის (SK09) პოპულაციებს, ისინი მჭიდრო კლასტერს ქმნიან და მეორე კომპონენტის მიხედვით ზემოთ არიან კონცენტრირებული.



*პოპულაციების კოდები იხილეთ ცხრილ 3-ში.


სურ. 7. საქართველოში გავრცელებული ველური ვაზის *Vitis vinifera* subsp. *sylvestris*-ის ნიმუშების დისკრიმინანტული ფუნქციის ანალიზის (DFA) დიაგრამა პოპულაციების მიხედვით ($N=230$).

თუმცა, პირველი კომპონენტის მიხედვით შეიძლება მათი მეტნაკლებად განცალკევება: ივრის და ბოლნისის პოპულაციები უფრო მარცხენა მხარეს არიან ლოკალიზებულნი; ბორჯომის, ლაგოდების და კასპის პოულაციები - მარჯვნივ და აჭარის პოპულაცია ცენტრალურ პოზიციას იკავებს. შესაბამისად ივრის და ბოლნისის პოპულაციები გამოირჩევან N1 და N2 (OIV601, OIV602) ძარღვების და N2 კბილის (OIV612 - OIV613) მინიმალური სიდიდეებით, ხოლო აჭარის პოპულაცია თითქმის ყველა პარამეტრში შუალედურ მაჩვენებლებს აღწევს (ცხრილი 4).


მდინარეთა აუზების მიხედვით, დისკრიმინანტული ფუნქციის ანალიზი (DFA) უკეთეს შედეგებს ავლენს. კერძოდ, პირველი 4 პრინციპული კომპონენტი ხსნის

176	0.141	0.256	227	0.094	0.078	243	0.016	0.089	224	0.219	0.111
178	0.078	0.067	231	0.047	-	245	0.047	0.022	240	0.656	0.689
180	0.063	0.144	233	0.359	0.333	247	-	0.444	242	0.063	0.067
182	0.234	0.156	235	0.109	0.067	249	0.125	0.1	248	0.063	0.111
184	0.016	-	241	0.016	-	251	0.031	0.022			
186	0.25	0.222	243	0.125	0.067	253	-	0.044			
188	0.031	0.022	245	0.047	-	255	0.141	0.044			
190	0.047	0.089	247	0.047	0.122	257	0.016	0.089			
191	0.031	0.033	251	0.031	0.011	261	0.203	0.044			
198	0.031	-	253	-	0.078	263	0.047	-			
			257	0.063	0.111	271	0.188	0.089			
			263	-	0.044						
			267	0.047	-						
			271	-	0.011						
			275	-	0.022						
			277	-	0.033						
VVS2	F		VVS4	F		scu04	F		scu14	F	
	CV	W									
126	0.016	-	165	0.125	0.128	173	0.391	0.422	167	0.281	0.367
127	-	0.011	167	0.578	0.585	175	0.594	0.489	179	0.031	-
128	0.016	-	172	0.047	0.106	177	0.016	0.089	181	0.688	0.633
131	0.313	0.178	174	0.234	0.117						
133	0.031	0.056	182	0.016	0.021						
135	0.047	0.122									
137	0.047	0.011									
139	0.078	0.233									
141	0.109	0.078									
143	0.190	0.089									
145	0.016	0.011									
149	0.109	0.167									
151	0.078	0.044									
153	0.016	-									
155	0.016	-									

რაც შეეხება ველური ჯგუფის ინდივიდებს, მოსალოდნელი ჰეტეროზიგოტულობა (He) ვარირებს 0.86-დან (VrAZG79) 0.46-მდე (scu14) და საშუალო არის 0.74; ფაქტიური ჰეტეროზიგოტულობა (He) მერყეობს 0.91-დან (VVS2) 0.44-მდე (VVMD34) და საშუალო 0.73-ის ტოლია. ხოლო, ის ფაქტი, რომ ველური ჯგუფი შესწავლილი ლოკუსების უმრავლესობის მიხედვით (VrZAG21, VrZAG79, VrZAG83, VVMD7, VVMD24, VVMD25, VVMD28, VVMD32, VVMD34, VVS4) გამოირჩევა ჰეტეროზიგოტული ინდივიდების საგრძნობი დეფიციტით, მიუთითებს, საქართველოში ველური ვაზის (*V. vinifera* subsp. *sylvestris*) პოპულაციების იზოლაციაზე და ინდივიდების რიცხვის შემცირებაზე (ცხრილი 16).


დიფერენცირების ძალა (D) ყველაზე მაღალია VrZAG62, VrZAG64-ში (ორივე ლოკუსის შემთხვევაში კულტურული ჯგუფისთვის [CV] იგი შეადგენს 0.87-ს), VrZAG79 (ველური ჯგუფის ინდივიდებისთვის [W] უდრის 0.85-ს), VVMD7 (W=0.85), VVM27 (CV=0.86), VVMD28 (W=0.84), VVS2 (W=0.85) და ყველაზე დაბალია scu14 (CV=0.44, W=0.46); საშუალოდ D ტოლია 0.74-ის კულტურული და 0.73-ის ველური ჯგუფის ინდივიდებში (ცხრილი 16), რაც შეესაბამება მაღალ პოლიმორფულ პრაიმერებს (Tessier et al., 1999) და მიუთითებს გენოტიპების ეფექტურ დიფერენცირებაზე ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში. ამრიგად, შერჩეული 17 მარკერის კომბინაციის გამოყენებით შესაძლებელია ზღვარის გავლება კულტურული და ველური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის.

კულტურული და ველური ჯგუფის გენეტიკური სტრუქტურა აგრეთვე გაანალიზებულ იქნა F სტატისტიკის მეშვეობით. Fst მაჩვენებლები კულტურულ და ველურ ვაზს შორის სანდოობის 99%-ის დონეზე უტოლდება გენეტიკური დიფერენცირების ძალიან დაბალ დონეს (0.03%, P***), მაშინ როდესაც მისი მაჩვენებლი *V. vinifera*-ს და ამერიკულ სახეობებს (*V. labrusca* *V. riparia*) შორის ამჟღავნებს სხვაობის ზომიერ დონეს (0.12%, P***).

მსგავსების მატრიცები დეტალურად შესწავლილ იქნა არითმეტიკული საშუალოს კლასტერული ანალიზის დისპერსულ წყვილთა ჯგუფის მეთოდის (UPGMA) მიხედვით. დენდროგრამის აგებისას ჩვენ არჩევანი შევაჩერეთ დაისის კოეფიციენტზე. შედეგად 95 განსხვავებული გენოტიპი გაერთიანდა 7 ძირითად კლასტერში, ანუ დაჯგუფებაში, მსგავსების დონის 0.26 მაჩვენებელზე დაყრდნობით (სურ. 11). კლასტერი A იყოფა სამ ქვეჯგუფად. აქ გაერთიანდა ქართული აბორიგენული ჯიშების უმრავლესობა და ველურის ვაზის 8 ინდივიდი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. დიდ ინტერესს ქმნის კლასტერ A-ში არსებული დაჯგუფება A3, რომელიც წარმოდგენილია უძველესი ქართული ჯიშით-’თავკვერით’ და 4 ველური ინდივიდით თბილისის შემოგარენიდან (სურ. 11). ’თავკვერი’, რომელსაც ჩვეულებრივ ახასიათებს ფუნქციონალურად მდედრობითი ყვავილები, ახლო ნათესაურ კავშირს ავლენს ველური ვაზის ასევე მდედრობით ინდივიდთან - თბილისი 5; მსგავსების დონე 0.97 და 34 შესწავლილი ალელიდან მათ საერთო აღმოაჩნდათ 32. კლასტერი B ძირითადად დაკომლექტებულია ველური

ინდივიდებით. მათ შორის არის 5 უძველესი ქართული აბორიგენული ჯიში: 'ჭვიტილური', 'უჩახარდანი', 'შონური', 'კაჭიჭი' და 'საფერავი'. В კლასტერი იყოფა 3 ქვეჯგუფად. პირველი ოთხი ჯიში მოხვედრილია B1 ქვედანაყოფში, ისინი ჯგუფდებიან ისეთ ველურ ინდივიდებთან, როგორიცაა გარდაბანი 1, გარდაბანი 4 (ქვემო ქართლი) და დუშეთი 6 (მცხეთა-მთიანეთი); მსგავსების დონე შესაბამისად არის 0.48 და 0.67, ხოლო 34 ალელიდან საერთოა 12. ხოლო, რაც შეეხება საფერავს, იგი მოხვედრილია B2 ქვედანაყოფში და მსგავსების დონე ლაგოდება 4-თან (კახეთი) უტოლდება 0.48-ს. საერთო ალელების რიცხვი 12-ია. კლასტერი C ორი ქვეჯგუფისაგან შედგება: C1 წარმოდგენილია ე.წ. 'დღუნდღუშით', რომელიც ჩვენი აზრით არაქართული წარმოშობისაა და ერთ-ერთ უცნობ ჰიბრიდის წარმოადგენს. იგი ახლო ნათესაურ კავშირს ავლენს ამერიკულ სახეობასთან (*V. labrusca*). მსგავსების დონე ამ ორ ტაქსონს შორის 0.94-ია და 34 ალელიდან საერთოა 30. C2 ქვედანაყოფში გაერთიანებულია ერთი ქართული ჯიში - ეგურძული, ორი ველური ინდივიდი - ართვინ 1 (თურქეთი), ხულო 1 (აჭარა) და 2 დასავლეთევროპული ჯიში - 'Muscat à petits grains blancs B' (საბერძნეთი), 'Veltiner rot RG' (იტალია). მსგავსების დონე დასავლეთ ევროპულ ჯიშებსა და ქართულ წარმომადგენლებს შორის 0.42-ია და საერთო ალელების რიცხვია 9. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ დასავლეთ-ევროპულ ჯიშებს ('Alvarenhao N', 'Mourvedre N', 'Cabernet Franc N', 'Cabernet Sauvignon N', 'Traminer rot RG', 'Chardonnay B', 'Romorantin B'), ისინი ერთად არიან გაერთიანებული E ჯგუფში. კლასტერ G იყოფა ორ ქვეჯგუფად: 1) G1 - წარმოდგენილია ერთი უცნობი წარმოშობის ჰიბრიდით ('კაჭიჭი') და 3 დასავლეთევროპული სანამყენე ჯიშით ('Couderc3309', 'Malegue 44-53', 'Teleki 5C') და ამერიკული სახეობით (*V. riparia*); 2) G2 - 'კოლოშით', რომელიც ასევე უცნობი წარმოშობის ჰიბრიდის წარმოადგენს, და ერთი დასავლეთ-ევროპული სანამყენე ჯიშით ('Fercal'). მსგავსების დონე 'კაჭიჭს', 'Teleki 5C'-სა და *V. riparia*-ს შორის არის 0.43, საერთო ალელბის რიცხვი კი 11. ხოლო, 'კოლოშის' და 'Fercal'-ის მსგავსების დონე 0.25 და საერთოა 8 ალელი.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გენეტიკურმა ანალიზმა, აგრეთვე, აჩვენა სინონიმების არსებობა შესწავლილ ნიმუშებს შორის (კლასტერ F; სურ. 11): ესენია 2 ქართული აბორიგენული ჯიში, რომლებიც 100%-ით იდენტურები არიან.



სურ.11. *V. vinifera* subsp. *vinifera*-b 21 ქართული და 10 დასავლეთ-ევროპული ჯიშის, საქართველოში გავრცელებულ ველური ვაზის - *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ს 46 ინდივიდის, 3 უცნობი წარმომობის ჯიშის, 4 დასავლეთ-ევროპული სანამყენე ჯიშის და 2 ამერიკული სახეობის (*V. labrusca*, *V. riparia*) დენდროგრმა, რომელიც შედგენილია 17 ბირთვული მიკროსატელიტური ლოკუსის (SSR) ანალიზის საფუძველზე, არითმეტიკული საშუალოს კლასტერული ანალიზის დისპერსული წყვილთა ჯგუფის მეთოდის (UPGMA) მიხედვით, დაისის კოეფიციენტის გამოყენებით.

თუმცა, ისინი განსხვავებული სახელებით არიან ფართოდ გავრცელებული ('კრიკინა', 'მესხური საფერავი') სამცხე-ჯავახეთში. ჩვენ აგრეთვე აღმოვაჩინეთ ჰომონიმები - CV15KCHI და CV16KCHI, რომლებიც ერთი სახელით - კაჭიჭით არიან ცნობილი. მაგრამ, განსხვავებული გენოტიპები აქვთ და შესაბამისად სხვადასხვა ჯგუფში არიან გაერთიანებული: CV15KCHI, რომელიც შეგროვებულია მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექციაში, მდებარეობს კლასტერ B-ში, ხოლო CV16KCHI კერძო ვენახიდან (სამეგრელო) - კლასტერ G-ში.

4. განხილვა

ჩვენ შევისწავლეთ ვაზის ძველი ქართული ჯიშები და საქართველოში გავრცელებული ველური ვაზის - *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის, პოპულაციები, რათა გამოგვევლინა მათ შორის არსებული მორფოლოგიური და გენეტიკური კავშირები, იმის დასადგენად, რომ საქართველოში არსებული აბორიგენული ჯიშები ადგილობრივი ველური ვაზიდან არის მოშინაურებული. შესადარებლად, გამოვიყენეთ ევროპული კულტივარები და ამერიკული სახეობების საძირე და ჰიბრიდული სახეობები.

განვსაზღვრეთ გენეტიკური და მორფოლოგიური კავშირები შემდეგ ჯგუფებს შორის: 1) ქართულ კულტურულ და ველურ ვაზს შორის; 2) ვაზის ქართულ და ევროპულ კულტურულ ჯიშებს შორის; 3) ვაზის სხვადასხვა სახეობებს შორის, რომელთაგან მხოლოდ ერთი *V. vinifera* არის ადგილობრივი სახეობა. ხოლო, სხვა სახეობები, *V. labrusca* და *V. riparia*, არის ამერიკიდან ინტროდუცირებული. მათ შორის, არის საძირედ გამოყენებული ჰიბრიდებიც.

კვლევის დროს, გამოყენებული იქნა ევროპული ნეთვორკის GrapeGen06-ის მიერ შემოთავაზებული მორფოლოგიური და მორფომეტრიული საერთაშორისო დესკრიპტორების და მოლეკულური SSR მარკერების მეთოდიკა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ვაზის ჯიშები კარგადაა შესწავლილი ამპელოგრაფიულად და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური მონაცემების მიხედვით, დღემდე არ არის საბოლოოდ დადგენილი შესაბამისობა ჯიშის ადგილობრივ სახელწოდებასა და მის გენეტიკურ იდენტურობას შორის, რაც განაპირობებს სინონიმებისა და ომონიმების არსებობას.

ამასთან, არ არის დადგენილი ნათესაური კავშირები ჯიშებს შორის. ამიტომ, ვაზის გენოფონდის კორექტული დახასიათება მორფოლოგიური ნიშნებით და მოლეკულური მეთოდებით, კერძოდ, მიკროსატელიტური (SSRs) მარკერების გამოყენებით, მიიჩნევა საუკეთესო მეთოდად ჯიშთა იდენტიფიკაციისთვის და მათ შორის არსებული გენეტიკური კავშირების გამოსავლენად.

თუმცა, მორფოლოგიური ნიშნები დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ა) დესკრიპტორების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად სუბიექტურია, რაც ართულებს შედეგების შედარებას სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილებიდან, ან მკვლევარების განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო; ბ) დესკრიპტორები დამოკიდებულია გარემოზე, რაც განაპირობებს ვარირებას აღწერის შეფასებაში წლებისა და ადგილსამყოფელის მიხედვით (Dettweiler, 1993). მიუხედავად მალიმიტირებელი ფაქტორებისა, ასეთი ტიპის ნიშნები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ისეთი აგრონომიული მუტაციების აღმოჩენის საშუალებას იძლევიან, როგორიცაა, მაგალითად, სომატური მუტაციები, გამოწვეული მარცვლის ფერით, მსგავსად ‘Garnacha Blanca’ და ‘Garnacha Tinta’, ან ‘Carinena Blanca’ და ‘Carinena Tinta’ (Ortiz et al., 2004).

კვლევის შედეგებმა აჩვენა ქართული აბორიგენული ჯიშების და ველური ვაზის პოპულაციების მრავალფეროვნების მაღალი დონე. ისეთი მორფოლოგიური ნიშნები, როგორიცაა ზრდასრული ფოთლის ფირფიტის ფორმა, ფირფიტის ნაკვთების რაოდენობა, შებუსვის ტიპი, მთავარი ძარღვების ანთოციანური შეფერილობის ინტენსივობა და ფოთლის ამონაკვთის ფორმა, გამოირჩევიან დიდი მრავალფეროვნებით, როგორც ქართული კულტურული ჯიშების, ისე ველური ვაზის პოპულაციების შემთხვევაში. ყველა შესწავლილი ნიმუშისთვის საერთო ნიშნები იყო ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსის ღია ფორმა (სურ.4) და პწყალების წყვეტილი განაწილება ყლორტზე. ეს ნიშნები განიხილება როგორც საერთო დამახასიათებელი ნიშნები *V. vinifera*-ს სახეობისთვის, რომელთა მეშვეობით საველე მუშაობისას ხდებოდა ველური ვაზის იდენტიფიცირება ამერიკული სახეობებისგან და ჰიბრიდებისგან, კერძოდ *V. riparia*-სა (ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსის ფორმა დახურულია; სურ.4), და *V. labrusca*-სგან (პწყალების უწყვეტი განაწილება). რაც შეეხება ჩვენს კვლევაში არსებულ 3 უცნობი წარმოშობის ჰიბრიდს, რომლებიც

იდენტიფიცირებული იყო, როგორც ძველი ქართული ჯიშები, მათ ახასიათებთ ნახევრად ღია კონუსის ფორმა (CV16KCHI – ‘კაჭიჭი’, CV19KLSH – ‘კოლოში’; იხ. დანართი: სურ. 8ბ, 9ბ) და პწკალების უწყვეტი განაწილება (CV12DGND – ‘დღუნდღუში’). ხოლო, ველური ვაზის ქვესახეობის გარჩევა კულტურულისგან ხდებოდა ყვავილის სქესის მიხედვით, ვინაიდან ველური ვაზისთვის დამახასიათებელია ცალსქესიანი ყვავილების არსებობა, თუმცა ჰერმაფროდიტული ყვავილების არსებობაც არ არის გამორიცხული (Sefc et al., 2003; Cunha, 2009). მიუხედავად ამისა, ველური ვაზის ყველა ნიმუში წარმოდგენილი იყო მამრობითი და მდედრობითი ყვავილებით სხვადასხვა ინდივიდზე (სურ. 3). ჩვენს მიერ შესწავლილი კულტურული ჯიშების უმრავლესობას კი ახასიათებთ ჰერმაფროდიტული ყვავილები (სურ. 3ა). გამონაკლისია ‘აბშილური’, ‘თავკვერი’ (იხ. დანართი - სურ. 5ბ; სურ. 5ე) და ‘შონური’, რომელთაც, მსგავსად ველური ინდივიდებისა, ახასიათებთ ფუნქციურად მდედრობითი ყვავილები.

აგრეთვე, რამდენიმე შესწავლილი კულტურული ჯიშის გარდა, ველური ვაზის ორი ინდივიდი სამცხე-ჯავახეთის პოპულაციიდან (MJ07) წარმოდგენილია მარცვლის კანის თეთრი ფერით. აღმოჩნდა, რომ მარცვლის კანის ფერს განსაზღვრავს გენი, *VvmybA1*, რომელიც წარმოადგენს ანთოციანური ბიოსინთეზის ტრანსკრიპციის პროცესის რეგულატორს (This et al., 2006). ხოლო, თეთრად შეფერილი ფენოტიპი განიხილება, როგორც *gypsy*-ტიპის *Gret1* რეტროელემენტის ჩართვის შედეგი რეგულატორი გენის, *VvmybA1* პრომოტორის რეგიონში, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს მარცვლის შავი ფერის დაკარგვას ჰომოზიგოტურ ინდივიდებში (Kobayashi et al., 2002). მარცვლების წითელი და ვარდისფერი შეფერილობა, აგრეთვე, გამოწვეულია *VvmybA1* გენის პოლიმორფიზმით. სხვაობები ნუკლეოტიდთა მრავალფეროვნებაში თეთრსა და შეფერილ ალელებს შორის *VvmybA1* გენში მიუთითებს იმაზე, რომ თეთრი ფერის ალელის გამოჩენა ხდება, მხოლოდ ერთხელ, ან ძალიან ლიმიტირებულია დროში (This et al., 2006). სწორედ ამიტომ, ველური წინაპარი განიხილება, როგორც შავმარცვლიანი ინდივიდი. ეს კი მეტყველებს ქართული ვაზის ჯიშების სიძველეზე და მათ წარმოშობაზე ადგილობრივი ველური ვაზისგან, რომელთა უმრავლესობა, გარდა შავი ფერის მარცვლებისა, ხასიათდებიან, აგრეთვე, სხვა ძველი დომინანტური ნიშნებით,

როგორიცაა ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარის ხშირი ან ძალიან ხშირი შებუსვა, სუსტად და საშუალოდ დანაკვთული ფოთლები, საშუალო და მცირე ზომის მტევანი, საშუალო, მომრგვალო და მომრგვალო-ოვალური მარცვალი, საგვიანო და ძლიერ საგვიანო ყურძნის დამწიფების პერიოდი და სამეურნეო მიმართულება - ძირითადად, საღვინე.


შესწავლილ ნიმუშებში ძალიან ცვალებადი ნიშანი აღმოჩნდა განრთხმული ბუსუსების სიხშირე მთავარ ძარღვებს შორის. ა. კოლენატიმ (Kolenati, 1846) საქართველოში არსებული კულტურული და ველური ვაზი შებუსვის ტიპის მიხედვით დაჰყო ორ ქვესახეობად - *V. vinifera* subsp. *anebophylla* Kolen. (შებუსული) და *V. vinifera* subsp. *trichophylla* Kolen. (შებუსული). ამასთან, ყოველ ტაქსონომიურ კატეგორიას მან მიანიჭა გარკვეული კონსტანტური ნიშნები. მაგალითად, შეუბუსავ ინდივიდებს ახასიათებთ შემდეგი ნიშნები: ფოთლები გრძელი ყუნწით, დაკლაკნილი კიდეებით და უსწორმასწორო კბილებით, სიგრძით 10 სმ და მეტი, წაგრძელებული და გულისებრი, თხელი მტევნით და ა. შ. ყვავილობენ ივნისის მეორე დეკადაში (რამიშვილი, 1988). მეორე შებუსულ ქვესახეობას გააჩნია ფოთლები მოკლე ყუნწებით, აბლაბუდისებრ-ქეჩისებრი შებუსვით, სიგრძით 6-7 სმ და გულისებრი, კუმსი მტევნით და ა.შ. ყვავილობა აღინიშნება ივლისის მეორე დეკადაში (რამიშვილი, 1988). თუმცა, ჩვენი მონაცემების თანახმად, როგორც ველური ვაზის ინდივიდებს პოპულაციის შიგნით, ისე კულტურულ ჯიშებს გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, ორივე ტიპის შებუსვა ახასიათებთ. ამის გარდა, სხვა ავტორებისგან განსხვავებით (Kolenati, 1846; რამიშვილი, 1988), ჩვენი მონაცემების თანახმად, ყოველი ინდივიდუალური გენომის შესაბამისად შებუსვის ტიპი კომბინირებულია დამატებით სხვა მორფოლოგიურ და მორფომეტრიულ ნიშნებთან, როგორიცაა ფოთლის ფირფიტის ფორმა, ნაკვთების რაოდენობა, ფოთლის მთავარი ძარღვების სიგრძე და კუთხეები მათ შორის, ფოთლის ამონაკვთის ფორმა და ა.შ. შედეგად, ჩვენი მონაცემების თანახმად, ადგილი აქვს მორფოლოგიური და მორფომეტრიული ნიშნების განსხვავებული კომბინაციების არსებობას შესწავლილ ნიმუშებში და, შესაბამისად, ალელთა მრავალფეროვნება მათ შორის ჰეტეროზიგოტულობის მაღალ დონეს აღწევს.

მოლეკულური ანალიზის შედეგებმა, 17 მიკროსატელიტური (SSR) მარკერის გამოყენებით აჩვენა, რომ გენეტიკური დიფერენცირების დონე ჯიშებსა და ველურ ინდივიდებს შორის ძალიან მცირეა ($F_{st} = 0.03\%$, P^{***}), რაც ნათლად მიუთითებს გენთა დრეიფის არსებობაზე ქართულ კულტურულ და ველურ ვაზს შორის. ანდა, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ველური ვაზის გენოფონდის *in situ* დომესტიკაციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული ავტოქთონური ვაზის ჯიშები წარმოიშვა ადგილობრივი ველური ვაზისგან. ის ფაქტი, რომ 5 უძველესი ქართული აბორიგენული ჯიში - ‘ჭვიტილური’, ‘უჩახარდანი’, ‘შონური’, ‘კაჭიჭი’ და ‘საფერავი’ მიეკუთვნება კლასტერ B-ს (სურ.11), რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტებულია ველური ინდივიდებით, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისინი *V. vinifera* subsp. *syvestris*-ის დომესტიკაციის პირველი ტალღის წარმომადგენლები არიან. ეს მოსაზრება ეთანხმება ფ. პესლის (Pesly, 2007) კვლევას, რომელმაც *TvvI* ელემენტის არატრანსლირებადი უბნის შესწავლისას, აჩვენა კავშირის არსებობა კულტივარ ‘მერლოსა’ და *V. vinifera* subsp. *syvestris*-ს შორის. ამასთან, ‘საფერავი’ ერთერთი უძველესი და ცნობილი ქართული ჯიშია მთელს მსოფლიოში, რომელიც დღეისთვის ფართოდ არის გავრცელებული კახეთში, მაღალი კომერციული ღირებულებისაა და გამოიყენება ისეთი სახელოვანი წითელი ღვინოების წარმოებაში, როგორიცაა „საფერავი“ და „ქინძმარაული“. ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ არის ცნობილი მკლევარის გ. ჰენის (Ген, 1872) ლინგვისტურ-ფლორისტური ანალიზი: - „ვაზის ჭეშმარიტი სამშობლო კასპიის ზღვის მახლობლად მდებარეობს. უღრან ტყეებში მკლავის სიმსხო ვაზები უზარმაზარ ხეებზე გადახლართულა და მშვენიერი მტევნებით ხიბლავს ადამიანს. იქ და მის მახლობლად - კახეთში, სამეგრელოში, სომხეთში, სადაც დღესაც შემორჩა უძველესი წესჩვეულებები და, რაც ბერძნების და რომაელების თხუზულებებიდან არის ცნობილი, მოჰყავთ ნარინჯისფერი, ბალზამური სიტკბოს მქონე მეტად არომატული ვაზის ჯიშები, ხოლო უკეთილშობილებისი ‘კახური საფერავი’ ისეთ მუქწითლად შეფერილ წვენს იძლევა, რომ ამ წვენით მანდილოსნები ერთმანეთს მოკითხვის ბარათებსაც კი უწერენ“-ო. ხოლო რაც შეეხება ‘ჭვიტილურს’, ‘უჩახარდანს’, ‘შონურს’ და ‘კაჭიჭს’, ეს ძველკოლხური წითელყურძნიანი საღვინე მიმართულების ჯიშებია, რომლებიც

ფილოქსერისა და სხვადასხვა სოკოვანი დაავადებების შემოჭრამდე ფართოდ იყვნენ გავრცელებული სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე უძველესი და სახელოვანი ქართული ჯიში ‘თავკვერი’, რომელსაც ჩვეულებრივ ახასიათებს ფუნქციურად მდედრობითი ყვავილები, როგორც ეს ველურ ვაზს ახასიათებს. იგი თბილისის შემოგარენის პოპულაციის 4 ინდივიდთან (1 მდედრობითი და 3 მამრობითი) ერთად ქმნის A3 დაჯგუფებას და ახლო-ნათესაურ კავშირს ავლენს მდედრობით ინდივიდთან - თბილისი 5-თან (ცხრილი 1); მათ შორის გენეტიკური მსგავსების დონე 0.97-ის ტოლია და 34 შესწავლილი ალელიდან საერთოა 32. ‘თავკვერი’ ქართლის წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია. თუ როდის წარმოიშვა ’თავკვერი’, საბოლოოდ არ არის დადგენილი. კეცხოველის და სხვათა (1960) მოსაზრებით, იგი, მთელი რიგი ადგილობრივი ჯიშების მსგავსად, წარმოიშვა საქართველოს წიაღში ბუნებრივი გამრავლების გზით. ხოლო, შემდგომ პერიოდში მისი უკეთესი ფორმა ევოლუციისა და ადამიანის უშუალო ზემოქმედებით დამკვიდრდა, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ამის დამადასტურებელია კახეთსა და ქართლში გავრცელებული ‘თავკვერის’ მრავალი ფორმა („შავი თავკვერი”, ‘თეთრი თავკვერი’, ‘საფერავისებრი თავკვერი’, ‘დიდმარცვალა თავკვერი’, ‘პატელაანთეული თავკვერი’ და სხვა) და მისი წმინდა ქართული სახელწოდება და ბიოლოგიური ნიშან-თვისებები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ მიღებული მოლეკულური მონაცემების თანახმად, ‘თავკვერი’ ცალკე A3 დაჯგუფებას ქმნის თბილისის შემოგარენის პოპულაციასთან, ანუ გეოგრაფიულად ისინი ახლოს არიან, რაც ადასტურებს მოსაზრებას (კეცხოველი და სხვ., 1960) ‘თავკვერის’ ქართლის რეგიონში წარმოშობაზე. ამასთან, ჩვენ შევადარეთ ‘თავკვერის’ და თბილისი 5-ის ყვავილის მორფოლოგია, იმის გამორიცხვისთვის, რომ ეს ველური ინდივიდი ‘თავკვერის’ ერთ-ერთ გაველურებულ ფორმას არ წარმოადგენდეს. აღმოჩნდა, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, ველური ინდივიდის ყვავილები გამოირჩევიან შედარებით გრძელი სვეტით და უფრო ვიწრო ბუტკოთი (სურ. 12ა), მაშინ, როდესაც ‘თავკვერის’ ფუნქციურად მდედრობით ყვავილს ახასიათებს ძალიან მოკლე სვეტი, განიერი და თავისებური, ქვევრისმაგვარი ფორმის ბუტკო (სურ. 12ბ), საიდანაც მომდინარეობს ამ ჯიშის სახელწოდებაც. მართლაც, ‘თავკვერის’

მარცვლებს მასობრივად ახასიათებს მობრტყელებული თავი, რაც ქვევრის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაშასადამე, ჰიპოთეზა, რომ ეს ჯიში ისტორიულ წარსულში ადამიანის მიერ შერჩეულ იქნა ადგილობრივი ველური ვაზის პოპულაციებიდან, სრულიად მისაღებია, რაც ადრე ნაჩვენებია ორი გერმანულ-ავსტრიული ('Ortlieber' და 'Orangetraube'; Ambrosi et al., 1994) და ერთი პორტუგალიური ჯიშისთვის ('Alvarinho', Lopes et al., 2009).



სურ. 12. ვაზის ყვავილი: а) ველური ვაზის თბილისი 5-ის (ცხრილი 1) ერთსქესიანი, ფუნქციურად მდედრობითი ყვავილი განვითარებული ბუტკოთი და გადახრილი მტვრიანებით; ბ) თავკვერის ერთსქესიანი, ფუნქციურად მდედრობითი ყვავილი განვითარებული ბუტკოთი და გადახრილი მტვრიანებით.

ქართული ავტოქტონური ჯიშების წარმოშობა ადგილობრივი ველური ვაზისგან მორფომეტრიულაც დასტურდება. დისკრიმინანტული ფუნქციის ანალიზის (DFA) დიაგრამაზე (სურ. 10) *V. vinifera*-ს კულტურული და ველური ჯგუფი ერთმანეთს ნაწილობრივ გადაფარავენ. შედეგად, ჩვენი მორფომეტრიული მონაცემების თანახმად, *V. vinifera*-ს კულტურული და ველური ინდივიდები ამერიკული სახეობებისგან (*V. labrusca*, *V. riparia*) და უცნობი ჰიბრიდებისგან განსხვავდებიან ფოთლის N1, N2 და N3 მთავარი ძარღვების მინიმალური სიგრძეებით და β და γ კუთხეების მაქსიმალური სიდიდეებით.

ის ფაქტი, რომ *V. vinifera*-ს ორივე ჯგუფი გამოირჩევა ჰეტეროზიგოტული ინდივიდების საგრძნობი დეფიციტით, შესწავლილი ლოკუსების უმრავლესობის

მიხედვით, მიუთითებს გენეტიკური რესურსების შემცირების პროცესებზე, ანუ „გენეტიკურ ეროზიაზე“, ვინაიდან, ვაზის გენოფონდმა დიდი კატაკლიზმები განიცადა არამარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. განსაკუთრებით ეს პროცესები XX საუკუნის შუახანებიდან გაძლიერდა და გლობალური ხასიათი მიიღო სოკოვანი დავადებებისა და ფილოქსერის გავრცელების შემდეგ. წარსულში, კახეთსა და კოლხეთის ტყეებში ველური ვაზი განუსაზღვრელი რაოდენობით იყო წარმოდგენილი, ამჟამად კი მისი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. გარდა დაავადებებისა, „გენეტიკური ეროზია“ განპირობებულია, აგრეთვე, ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა მოსახლეობის რიცხობრივი ზრდა და, შედეგად, ახალი ტერიტორიების ათვისება, წყალსაცავების მშენებლობა, ახალი სატრანსპორტო გზების გაყვანა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში - ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების მასობრივი გავრცელება, ტყეების განადგურება და ა. შ. მაგრამ, კატასტროფას განიცდის არა მარტო ველური ვაზი. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და ჩამოყალიბებული ქართული კულტურული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებაც, რაც გამოწვეულია რამოდენიმე მაღალპროდუქტიული და კომერციულად მომგებიანი ჯიშების ('საფერავი', 'რქაწითელი', 'ოჯალეში', 'მწვანე' და სხვა) დომინირებით.

მორფოლოგიური, მორფომეტრიული და გენეტიკური ანალიზის საშუალებით, ჩვენ აღმოვაჩინეთ სამი ჯიში, რომლებიც ძველ ქართულ სახელწოდებებს ატარებენ და ჩვენი მონაცემების თანახმად ჰიბრიდული წარმოშობის აღმოჩდნენ. ესენია ე. წ. 'დღუნდღუში', 'კოლოში' (გ. ელიავას სახელობის მარტვილის ეთნოგრაფიული კოლექციიდან) და 'კაჭიჭი' (სამეგრელოდან, კერძო ვენახიდან).

'დღუნდღუშის' აღწერა მოცემულია საბჭოთა ამპელოგრაფიაში დ. ტაბიძის მიერ (1963) და მუზეუმის თანამშრომლების გ. ელიავასა და მ. წოწორიას ნაშრომში (2002). დ. ტაბიძის მონაცემების თანახმად, მის მიერ აღწერილ 'დღუნდღუშს' ახასიათებს ფუნქციურად მდედრობითი ყვავილები და მუქი ლურჯი ფერის მარცვალი. მაშინ, როდესაც გ. ელიავასა და მ. წოწორიას აღწერის თანახმად, „მისი ნაყოფი ხორცისფერია, ღვინო ოდნავ მწვლარტე, 'ადესას' (*V. labrusca*-ს ერთ-ერთი კულტივარის სახელწოდება) მსგავს სასიამოვნო გემოს ატარებს, ამიტომ მას „თეთრ ადესასაც“ ეძახიან“. ჩვენ შევისწავლეთ კოლექციის ე. წ. 'დღუნდღუშის'

მორფოლოგია და აღმოვაჩინეთ ბევრი საერთო ნიშანი ისეთ ამერიკულ სახეობასთან, როგორიცაა *V. labrusca*. უპირველეს ყოვლისა, რქაზე პწკალების უწყვეტი განაწილება (იხ. დანართი: ცხრილი 1), რაც *V. labrusca*-ს ტაქსონომიურ ნიშნად განიხილება. აგრეთვე, ახალგაზრდა ყლორტის და ფოთლის ქვედა მხარის სქელი ქეჩისებრი შებუსვა, რომელიც თავიდან თეთრია და მომწიფებისას ჟანგისფერ იერს ღებულობს (იხ. დანართი: სურ. 3ბ, 3დ; სურ. 36ა, 36დ). ასევე, *V. labrusca*-სთვის დამახასიათებელია მუშკისებრი, ანუ „მელიის“ სურნელი, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდება „Fox grape“ ანუ „მელიის ყურძენი“. გენეტიკურადაც ის ახლო ნათესაურ კავშირს ამჟღავნებს ამერიკულ *V. labrusca*-სთან. მსგავსების დონე 0.94 და 34-დან 30 ალელია საერთო. მათ შორის არის ისეთი ალელიც, რომელიც მხოლოდ ამ ორ ნიმუშს გააჩნია (225 bp VVMD28-ს შემთხვევაში; ცხრილი 15ბ). მაშასადამე, ჩვენს მიერ, ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, დავასკვენით, რომ კოლექციიდან აღებული ნიმუშის ქართულ აბორიგენულ ჯიშად - ‘დღუნდღუშად’ იდენტიფიცირება მცდარია და იგი სინამდვილეში *V. labrusca*-ს ერთ-ერთ კლონს წარმოადგენს.

‘კოლოშის’ მოკლე აღწერა, მოცემულია მ. რამიშვილის მიერ (1965); ის სამეგრელოს აბორიგენული წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია და ხასიათდება ყურძნის საგვიანო სიმწიფის პერიოდით. თუმცა, გ. ელიავასა და მ. წოწორიას (2002) მონაცემების თანახმად, ის აგვისტოს დასაწყისში მწიფდება, ანუ ყურძნის დამწიფების პერიოდი, ამ მონაცემების თანახმად, ადრეულია. აღსანიშნავია, რომ ქართულ აბორიგენულ ჯიშებს, ჩვეულებრივ, გააჩნიათ საგვიანო, ან ძლიერ საგვიანო დამწიფების პერიოდი, ‘კოლოშ’ ახასიათებს ხშირი ვეგეტაცია, ანუ, გაფურჩქვნის დროს მოცილებული კვირტის ადგილას, იგი ინვითარებს მრავალ ახალ კვირტს და ხელმეორედ დამწიფებასაც ასწრებს. აგრეთვე, იგი გამძლეა დაავადებებისადმი და ხშირ შეწამვლას არ საჭიროებს. მაშინ, როდესაც *V. vinifera*-ს ჯიშები გამოირჩევა დაავადებებისადმი დაბალი რეზისტენტულობით და, შესაბამისად, ხშირ შეწამვლას საჭიროებს. ‘კოლოშის’ ნაყოფი მწარეა, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდება, ‘კოლოში’, რაც მეგრულად „მწარე“-ს ნიშნავს. ჩვენს მიერ მიღებული გენეტიკური მონაცემების თანახმად, ‘კოლოში’ კლასტერდება დასავლეთ-ევროპულ სანამყენე ჯიშთან- ‘Fercal’-თან (სურ.11), რომელიც *V. vinifera*-სა (‘Ugni Blanc’, მდედრობითი

მშობელი) და *V. berlandieri*-ის (მამრობითი მშობელი) შიდასახეობრივ ჰიბრიდს წარმოადგენს. ‘კოლოშის’ მორფოლოგიურმა და მორფომეტრიულმა კვლევამ ‘Fercal’-თან და *V. berlandieri*-სთან, გამოავლინა შემდეგი საერთო ნიშნები: 1) ახალგაზრდა ყლორტის ნახევრად ღია ზრდის კონუსის ფორმა (იხ. დანართი: სურ. 9ბ), რაც ‘Fercal’-ისთვის არის დამახასიათებელი (Lacou et al., 2008); 2) ვაზის რქას სიმწიფეში ახასიათებს კარგად გამოხატული ზოლიანობა (იხ. დანართი: სურ. 9ა). ეს ნიშანი *V. berlandieri*-ის ტაქსონომიურ ნიშნად განიხილება (Galet et al., 2010); 3) ხშირი ვეგეტაცია და, შედეგად, თხელი ლერწმების წარმოშობა, რაც ითვლება ‘Fercal’-ის ერთ-ერთ არახელსაყრელ თვისებად (Galet et al., 2010). მორფომეტრიულადაც ‘კოლოში’, სხვა უცნობ ჰიბრიდებთან ერთად, დისკრიმინანტული ფუნქციის ანალიზის (DFA) შედეგად მიღებულ დიაგრამაზე (სურ.10) შუალედურ პოზიციას იკავებს *V. vinifera*-სა და ამერიკულ სახეობებს შორის (*V. labrusca* და *V. riparia*). მსგავსად *V. vinifera*-სი, β და γ კუთხეები უცნობ ჰიბრიდებში მაქსიმალურია. ხოლო, მსგავსად ამერიკული სახეობებისა, N2 კბილის სიგრძე - სიგანე გამოირჩევა ამ პარამეტრების მაღალი მაჩვენებლით. აქედან გამომდინარე, არსებობს დიდი ალბათობა, რომ მარტვილის ეთნოგრაფიული მუზუმის თანამშრომლების მიერ იდენტიფიცირებული ‘კოლოში’, ‘Fercal’-ის მსგავსად, *V. vinifera*-სა და *V. berlandieri*-ის შიდასახეობრივ ჰიბრიდს წარმოადგენდეს.

გენეტიკურმა კვლევამ, აგრეთვე, აჩვენა ომონიმების არსებობა ქართული ჯიშების სახელწოდებებში. ესენია CV15KCHI (თბილისის მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექციიდან) და CV16KCHI (მესამე უცნობი წარმოშობის ჰიბრიდი სამეგრელოდან, კერძო ვენახიდან), რომლებიც ერთი სახელით - კაჭიჭით არის ცნობილი, მაგრამ განსხვავებული გენოტიპები აქვთ. დენდროგრამაში (სურ.11), CV15KCHI მდებარეობს კლასტერ B-ში, ხოლო CV16KCHI კლასტერ G1-ში, სამ დასავლეთევროპულ სანამყენე ჯიშთან (‘Couderc3309’, ‘Malegue 44-53’, ‘Teleki 5C’) და ამერიკულ სახეობასთან (*V. riparia*) ერთად. ის ფაქტი, რომ CV16KCHI გაერთიანებულია კლასტერ G1-ში *V. riparia*-თან და სანამყენე ჯიშებთან ერთად, რომლებიც, ამერიკული სახეობების (*V. berlandieri*, *V. riparia*, *V. rupestris*) შიდასახოებრივ ჰიბრიდებს წარმოადგენენ, საშუალებას იძლევა, გამოვთქვათ ვარაუდი მათ შორის ნათესაური კავშირის არსებობაზე, რაც დასტურდება

პერსონალური ალელების არსებობით, რომლებიც არ გვხდება *V. vinifera*-ს არც ერთ კულტურულ ჯიშში, ან ველურ ინდივიდში (183 bp VrZAG83-ის, 246 bp VVMD25-ის, 208 bp VVMD27-ის, 259 bp VVMD32-ის, 244 bp VVMD34-ის, 147 bp VVS2-ის, 176 bp VVS4-ის და 185 bp scu14vv-ის შემთხვევაში; ცხრილი 15ა, 15ბ). გარდა იმ ფაქტისა, რომ ნიმუშები, CV15KCHI და CV16KCHI, ერთმანეთისგან გენეტიკურად განსხვავდებიან, აგრეთვე, ადგილი აქვს მათ შორის მორფოლოგიურ და მორფომეტრიულ სხვაობასაც. ასე, მაგალითად: 1) ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსის ფორმა CV15KCHI-ში გახსნილია (*V. vinifera*-ს ტაქსონომიური ნიშანი; სურ. 4ა, ბ). ხოლო, CV16KCHI-ში ზრდის კუნუსი ნახევრად ღიაა (იხ. დანართი: სურ. 8ბ). აღსანიშნავია, რომ საძირე ჰიბრიდებს, 'Couderc3309' და 'Teleki 5C'-საც ასევე ახასიათებთ ნახევრად ღია ზრდის კონუსის ფორმა; 2) CV15KCHI-ის ზრდასრული ფოთოლი თითქმის დაუნაკვთავია, გვერდითი კბილები მცირე ზომისაა (იხ. დანართი: სურ. 7დ), მაშინ როდესაც CV16KCHI-ს ფოთოლს (იხ. დანართი: სურ. 8დ) ახასიათებს კარგად განვითარებული გვერდითი კბილები, *V. riparia*-სა (იხ. დანართი: სურ. 37გ) და სანამყენე ჯიშების მსგავსად. ზოგადად ითვლება, რომ კომპლექსურ ჰიბრიდებში ამ ნიშნის არსებობა მიუთითებს მათ წარმოშობაში *V. riparia*-ს გენომის მონაწილეობაზე. ამდენად, ამ ნიშნის მატარებელი ინდივიდი მის ჰიბრიდს უნდა წარმოადგენდეს (Galet et al., 2010); 3) სიმწიფის პერიოდი CV15KCHI-ში არის საგვიანო, ოქტომბრის მეორე ნახევრიდან, რაც ქართული ვაზის ჯიშების ერთერთ დამახასიათებელ ნიშნად ითვლება; ხოლო, CV16KCHI-ში ადრეულია, იგი მწიფდება აგვისტოს ბოლოს. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამეგრელოში, კერძო ვენახიდან აღებული კაჭიჭის ნიმუში - CV16KCHI, კოლექციიდან აღებული კაჭიჭისგან - CV15KCHI, განსხვავებული წარმოშობისაა, და, სინამდვილეში, იგი, 'Couderc3309' და 'Teleki 5C'-ს მსგავსად, ამერიკული წარმოშობის შიდასახეობრივ ჰიბრიდს წარმოადგენს. ხოლო, რაც შეეხება კოლექციის 'კაჭიჭს' (CV15KCHI) ის წმინდა ქართული ჯიშია, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი გაერთიანება კლასტერ B-ში, რომელიც, ძირითადად, წარმოდგენილია ველური ვაზის ინდივიდებით, რაც მათ შორის არსებულ გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს.

საინტერესო შედეგები იქნა მიღებული კულტურული ვაზის დასავლეთ-ევროპული ჯიშების შესახებ, რომლებიც ჩვენს კვლევაში ჩართული იქნა, როგორც

სტანდარტული ნიმუშები აღელთა კონსტანტური ზომებით. გენეტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა ერთად არის გაერთიანებული E1 კლასტერში: 'Alvarelhao N' (ესპანეთი), 'Mourvèdre N' (ესპანეთი), 'Traminer rot RG' (იტალია), 'Cabernet Franc N' (საფრანგეთი), 'Cabernet-Sauvignon N' (საფრანგეთი), 'Chardonnay B' (საფრანგეთი), 'Mancin N' (საფრანგეთი), 'Romorantin B' (საფრანგეთი), (სურ.11). გამონაკლისია, მხოლოდ ჯიშები 'Muscat à petits grains blancs B' საბერძნეთიდან და 'Veltiner rot RG' იტალიიდან, რომლებიც კლასტერ C2-ში დაჯგუფდა ართვინის და ხულოს მახლობლად შეგროვებულ ველური ვაზის პოპულაციებთან და დასავლეთ საქართველოს აბორიგენულ ჯიშ 'ეგურძულთან' ერთად. თუმცა, ქლოროპლასტური დნმ-ის სექვენსების საფუძველზე (Schaal et al., 2010, Beridze et al., 2011) ამ ჯიშების უმრავლესობა ენათესავება ქართულ ჯიშებს. კერძოდ, 'Cabernet-Sauvignon', 'Cabernet Franc', 'Traminer rot RG' დაჯგუფებულია 'საფერავთან', 'მესხურ ხარისხთან' და 'ჩიტისთვალასთან' და სხვა აბორიგენულ ჯიშებთან. 'Alvarelhao' და 'Mourvèdre' დაჯგუფებულია 'ალადასტურთან', 'ჩხავერთან', 'შონურთან' და სხვ. ხოლო, 'Chardonnay B' და 'Romorantin B' ენათესავება 'მესხურ მწვანეს' და 'მესხურ საფერავს'. ამავე ავტორთა მონაცემებით არსებობს ქართული აბორიგენული ჯიშების ჯგუფი, რომლებიც ცალკე დაჯგუფებას წარმოადგენენ და მასში გაერთიანებულია 'რქაწითელი', 'ოჯალეში', 'მესხური შავი' და სხვა ბევრი ავტოქთონური ძველი ქართული ჯიში.

ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, ორი ძველი ქართული ჯიში, 'კრიკინა' და 'მესხური საფერავი' არის იდენტური კლასტერული დაჯგუფების მიხედვით. კრიკინა ველური ვაზის სახელია და უსურვაზის სინონიმს წარმოადგენს. ჯიშებს შორის იგი მოიხსენიება, როგორც საფერავი 'კრიკინა' (კეცხოველი და სხვ., 1960). ხოლო 'მესხურ საფერავს' ადგილობრივი მოსახლეობა ასევე უწოდებს 'მესხურ შავს', თუმცა ამპელოგრაფიულად ეს ორი სხვადასხვა სახეობაა. ის ფაქტი, რომ ადგილობრივ ჯიშს მოსახლეობა ველური ვაზის სახელით მოიხსენიებს მიუთითებს, რომ ვაზის მოშინაურება ბუნებიდან მოტანილი მასალით ტრადიციული მოვლენაა და მას დღემდე აქვს ადგილი ქართულ სოფლებში.

კულტურული ვაზის წარმოშობის რამდენიმე ცენტრის არსებობის შესახებ არსებული ჰიპოთეზის (Arroyo-Garcia et al., 2006) თანახმად, მორფოლოგიური

სხვაობის არსებობა თანამედროვე ეპრაზიული ვაზის გავრცელების დასავლეთ და აღმოსავლეთ არეალებს შორის მიუთითებს ველური ვაზის სხვადასხვა პოპულაციებიდან გენეტიკური წვლილის შეტანაზე ვაზის დომესტიკაციის პროცესში. ამ ავტორების აზრით (Arroyo-Garcia et al., 2006), არსებობს კულტურული ვაზის მოშინაურების მინიმუმ ორი მნიშვნელოვანი ცენტრი: ერთი, ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ენათესავება ახლო და შუა აღმოსავლეთის ველური ვაზის პოპულაციებს და მათ შორის კავკასიის ველურ ვაზს; და, მეორე, ხმელთაშუაზღვის რეგიონის დასავლეთ ნაწილში, რომლისგანაც მოგვიანებით წარმოიმვა დღევანდელი დასავლეთ ევროპული ჯიშების უმრავლესობა. ეს ჯიშები ახლო ნათესაურ კავშირს ამჟღავნებენ პირენეის ნახევარკუნძულის, ცენტრალური ევროპის და ჩრდილოეთ აფრიკის ველური ვაზის პოპულაციებთან. თუმცა, ბოლო მონაცემებით (Schaal et al., 2010; Ekhvaia et al., 2010, 2011; Beridze et al., 2011) დადგენილია კავშირები მრავალ ქართულ და ევროპულ ჯიშებს შორის.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ კულტურულ და ველურ სახეობებს შორის არსებულ გენეტიკურ კავშირს, უნდა ითქვას, რომ ქართული ავტოქთონური ჯიშები და საქართველოში არსებული ველური ვაზის - *Vitis vinifera* subsp. *sylvestris*, პოპულაციები უნიკალურ და საინტერესო გენეტიკურ რესურსებს წარმოადგენს, ვინაიდან ველური ვაზის გენოფონდის აღმოჩენა აბორიგენულ ჯიშებში მიუთითებს მათ წარმოშობაზე ადგილობრივი ველური ვაზისგან, რაც აგრეთვე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველო წარმოადგენს ვაზის მოშინაურების და ევოლუციის ერთ-ერთ უძველეს ცენტრს და ვაზის სელექციისთვის მნიშვნელოვან გენეტიკური რესურსების ბაზას.

5. დასკვნა

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ შემდეგი დასკვნები:

1. ქართული ავტოქთონური ჯიშები და საქართველოში არსებული ველური ვაზის - *Vitis vinifera* subsp. *sylvestris*, პოპულაციები უნიკალურ და საინტერესო გენეტიკურ რესურსებს წარმოადგენს, ვინაიდან ველური ვაზის გენოფონდის აღმოჩენა აბორიგენულ ჯიშებში მიუთითებს მათ წარმოშობაზე ადგილობრივი ველური

ვაზისგან. რაც, აგრეთვე, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველო წარმოადგენს ვაზის მოშინაურების და ევოლუციის ერთ-ერთ უძველეს ცენტრს და ვაზის სელექციისთვის მნიშვნელოვანი გენეტიკური რესურსების ბაზას.

2. მორფოლოგიურმა და მორფომეტრიულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა ქართული აბორიგენული ჯიშების და ველური ვაზის პოპულაციების მორფოლოგიური მრავალფეროვნების მაღალი დონე. საქართველოში შეგროვებული კულტურული და ველური ვაზის ყველა შესწავლილი ნიმუშისთვის საერთო ნიშნებია ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსის ღია ფორმა და პწვალების წყვეტილი განაწილება ყლორტზე. როგორც კულტურული ჯიშების, ისე ველური ვაზის პოპულაციების შემთხვევაში ძალიან ცვალებადი აღმოჩნდა შემდეგი ნიშნები: ზრდასრული ფოთლის ფირფიტის ფორმა, ფირფიტის ნაკვთების რაოდენობა, შებუსვის ტიპი, მთავარი ძარღვების ანთოციანური შეფერილობის ინტენსივობა, ფოთლის მთავარი ძარღვების სიგრძე და კუთხეები მათ შორის, ფოთლის ამონაკვთის ფორმა და ა.შ. შედეგად, ყოველივე ინდივიდუალური გენომის შიგნით ჩვენ გვაქვს მორფოლოგიური და მორფომეტრიული ნიშნების განსხვავებული კომბინაციები და, შესაბამისად, მორფოლოგიური მრავალფეროვნების მაღალი დონე.
3. გენეტიკურმა ანალიზმა 17 ბირთვულ მიკროსატელიტურ (SSR) ლოკუსში აჩვენა გენეტიკური დიფერენცირების ძალიან დაბალი დონე ($F_{st} = 0.03\%$, P^{***}), რაც ნათლად მიუთითებს გენთა დრეიფის არსებობაზე ქართულ კულტურულ და ველურ ვაზს შორის. ან, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ველური ვაზის გენოფონდის გამოყენებას *in situ* დომესტიკაციის პროცესში.
4. ის ფაქტი, რომ 5 უძველესი ქართული აბორიგენული ჯიში - ‘ჭვიტილური’, ‘უჩახარდანი’, ‘შონური’, ‘კაჭიჭი’ და ‘საფერავი’ ველური ვაზის ინდივიდებთან ერთად მეორე ვ კლასტერშია გაერთიანებული (სურ.11), საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ამ ჯიშების მოშინაურება ძალიან ადრინდელ ეპოქაში განხორციელდა.
5. ქართულ ჯიშებსა და ადგილობრივ ველურ ვაზს შორის არსებული გენეტიკური კავშირის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს A3 კლასტერში ასევე ძველი და სახელოვანი ქართული ჯიშის ‘თავკვერის’ გაერთინება თბილისის შემოგარენის

ველური ვაზის პოპულაციის 4 ინდივიდთან. განსაკუთრებით ახლო ნათესაურ კავშირს (გენეტიკური მსგავსების დონე 0.97) ‘თავკვერი’ ავლენს მდედრობით ინდივიდთან - ‘თბილისი 5’-თან. ყველაფერი ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქართული აბორიგენული ჯიშები ადგილობრივი ველური ვაზისგან წარმოიშვა.

6. შესწავლილ ნიმუშებს შორის მორფოლოგიურმა, მორფომეტრიულმა და გენეტიკურმა ანალიზმა აჩვენა სამი ჯიშის არსებობა, რომლებიც ძველ ქართულ სახელწოდებებს ატარებენ და სინამდვილეში განსხვავებული წარმოშობის არიან. ესენია ე. წ. ‘დღუნდუში’, ‘კოლოში’ (გ. ელიავას სახელობის მარტვილის ეთნოგრაფიული კოლექციიდან) და ‘კაჭიჭად’ (სამეგრელოდან, კერძო ვენახიდან) წოდებული უცნობი წარმოშობის ჯიშები. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ‘დღუნდუში’ *V. labrusca*-ს ერთერთი კლონია, ‘კოლოში’- *V. vinifera*-სა და *V. berlandieri*-ის. ხოლო, სამეგრელოში, ადგილობრივი ფერმერის მიერ ‘კაჭიჭად’ წოდებული ჯიში, სინამდვილეში, ამერიკული სახეობების - *V. berlandieri*-ს, *V. riparia*-ს და *V. rupestris*-ს შიდასახოებრივ ჰიბრიდებს წარმოადგენს.

7. გენეტიკურმა კვლევამ, აგრეთვე, აჩვენა ომონიმების არსებობა ქართული ჯიშების სახელწოდებებში. ესენია, CV15KCHI (თბილისის მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექციიდან) და CV16KCHI (მესამე უცნობი წარმოშობის ჰიბრიდი სამეგრელოდან, კერძო ვენახიდან). CV15KCHI მდებარეობს კლასტერ B-ში, ხოლო CV16KCHI კლასტერ G1-ში. ის ფაქტი, რომ CV16KCHI გაერთიანებულია კლასტერ G1-ში დასავლეთ-ევროპული სანამყენე ჯიშებთან და ამერიკულ სახეობასთან *V. riparia*-სთან ერთად მეტველებს ნათესაური კავშირის არსებობაზე მათ შორის, რაც დასტურდება პერსონალური ალელების არსებობით, რომლებიც არ გვხდება *V. vinifera*-ს არცერთ კულტურულ და ველურ ინდივიდში. ხოლო, რაც შეეხება კოლექციის ‘კაჭიჭად’ (CV15KCHI) ის წმინდა ქართული წარმოშობისაა, რასაც ადასტურებს მისი მოხვედრა კლასტერ B-ში ველური ვაზის ინდივიდებთან ერთად.

8. დღეისათვის, მოლეკულურ-სისტემატიკური კვლევები ითვლება პრიორიტეტულ მიმართულებად კულტურული ჯიშების და მათი ველური მონათესავე სახეობების დომესტიკაციის და გენოფონდის მრავალფეროვნების შესწავლისას. თუმცა, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ნათლად მიუთითებს, რომ კლასიკური

ამპელოგრაფიული და ამპელომეტრული აღწერები, არ კარგავენ თავის აქტუალობას და საუკეთესო დანამატად ითვლებიან ამ ტიპის კვლევებში. ამ მიზნით, ჩვენ განვახორციელეთ ძველი ქართული ჯიშების და საქართველოში არსებული ველური ვაზის, *V. vinifera* subsp. *sylvestris*-ის პოპულაციების ანალიზი და განვსაზღვრეთ მორფოლოგიური და გენეტიკური ვარიაბელობა GrapeGen06-ის მიერ შემოთავაზებული საერთაშორისო დესკრიპტორების (OIV, 2007) და მოლეაულური 17 მიკროსატელიტური ბირთვული (SSRs) მარკერების გამოყენებით.

9. *V. vinifera*-ს კულტურული და ველური ჯგუფი გამოირჩევა ჰეტეროზიგოტული ინდივიდების საგრძნობი დეფიციტით, რაც ნათლად მიუთითებს გენეტიკური რესურსების შემცირებაზე, ანუ „გენეტიკურ ეროზიაზე“, რომელიც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა - ფილოქსერისა და სხვადასხვა სოკოვანი დაავადებების გავრცელება, მოსახლეობის რიცხობრივი ზრდა (და, შედეგად, ახალი ტერიტორიების ათვისება), წყალსაცავების მშენებლობა, ახალი სატრანსპორტო გზების გაყვანა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში - ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების მასობრივი გავრცელება, ტყეების განადგურება, რამოდენიმე მაღალპროდუქციული და კომერციულად მომგებიანი ჯიშების ('საფერავი', 'რქაწითელი', 'ოჯალეში', 'მწვანე' და სხვა) დომინირება და სხვა. განსაკუთრებით დიდი კატასტროფა განიცადა ველური ვაზის გენოფონდმა, რაც მიუთითებს კულტურული მცენარეების ველური მონათესავე სახეობების კონსერვაციის აუცილებლობაზე, რათა მოხდეს გენეტიკური ვარიაბელურობის შენარჩუნება და გენეტიკური ეროზიის თავიდან აცილება.

6. შედეგების პრეზენტაცია

6.1. ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე გაკეთებული მოხსენებები და პოსტერები:

1. ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 70 წლისთავისადმი; თბილისი, საქართველო; 16 ივნისი, 2011.
2. სისტემატიკისა და ევოლუციური ბიოლოგიის (ICSEB) მე-7 საერთაშორისო კონგრესი; ბერლინი, გერმანია; 21-27 თებერვალი, 2011.

3. ღვინისა და ვაზის XXXIII-მე საერთაშორისო კონგრესი, O.I.V.-ის მე-8 გენერალური ასამბლეა; თბილისი, საქართველო, 20-27 ივნისი, 2010.
4. CRIAR CAC-ის კომიტეტის მე-12 შეხვედრა; ICARDA-CAC; თბილისი, საქართველო; 9-12 სექტემბერი, 2009.
5. ლეიბნიცის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევითი ინსტიტუტის სემინარი თემაზე „მცენარეთა ბიომრავალფეროვნება“; გატერსლებენი, გერმანია; ნოემბერი, 2007.
6. GrapeGen06-ის მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ვაზის გენეტიკური რესუტსების კონსერვაცია და მენეჯმენტი“; წმინდა იშტვიას სახელობის უნივერსიტეტი, გოდოლო, უნგრეთი; 8-10 ივლისი, 2008
7. GrapeGen06-ის პირველი საერთაშორისო კონფერენცია „ვაზის გენეტიკური რესუტსების კონსერვაცია და მენეჯმენტი“; ვერსალი, საფრანგეთი; მარტი, 2007.

6.2. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომთა სია

6.2.1. იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში:

1. **Ekhvaia, J., Akhalkatsi, M.** 2010. Morphological variation and relationships of Georgian populations of *Vitis vinifera* L. subsp. *sylvestris* (C.C. Gmel.) Hegi. Flora, **205**:608-617 (Impact factor 1.657).
2. Akhalkatsi, M., **Ekhvaia, J.**, Mosulishvili, M., Nakhutsrishvili, G., Abdaladze, O., Batsatsashvili, K. 2010. Reasons and Processes Leading to the Erosion of Crop Genetic Diversity in Mountainous Regions of Georgia. Mountain Research and Development (MRD), **30** (3): 304-310 (Impact factor 0.575).
3. **Ekhvaia, J.**, Blattner, F., R., Gurushidze, M., Akhalkatsi, M. 2012. Genetic diversity of *Vitis vinifera* in Georgia: relationships between local cultivars and wild grapevine. (in prep.)

6.2.2. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სხვა პუბლიკაციები:

4. Akhalkatsi, M., **Ekhvaia, J.**, Asanidze, Z. 2011. Diversity and genetic erosion of ancient crops and wild relatives of agricultural cultivars for food: implications for nature

conservation in Georgia (Caucasus). In: Tiefenbacher J. (Ed.), Nature conservation, InTech, Croatia. ISBN: 978-953-307-917-2.

5. ებვაია, ჟ., ახალკაცი, მ. 2011. ქართული ვაზის ჯიშების გენეტიკური კავშირი ველურ უსურვაზთან (*V. vinifera* subsp. *sylvestris*). კონფ. შრომათა კრებული „საქართველოს ბიომრავალფეროვნება“; თბილისი, საქართველო; ივნისი, 2011.
6. შარიქაძე, ხ., ტოგონიძე, ნ., ებვაია, ჟ. 2011. საქართველოში ველური ვაზის (*Vitis vinifera* L. subsp. *sylvestris* [C. C. Gmel.]) Hegi) მრავალფეროვნების შესწავლისათვის. მეცნიერება და ტექნოლოგიები, N1-3: 38-51.
7. Ekhvaia, J., Blattner, F. R., Akhalkatsi, M. 2010. Genetic diversity and relationships between wild grapevine (*Vitis vinifera* subsp. *sylvestris*) populations and aboriginal cultivars in Georgia. Proceedings of 33rd World Congress of Vine and Wine, 8th General Assambley of the OIV, Tbilisi, Georgia, June 2010. Available from: <http://www.oiv2010.ge/index.php?page=5&lang=0>
8. Akhalkatsi, M., Ekhvaia, J., Mosulishvili, M., Nakhutsrishvili, G., Abdaladze, O., Batsatsashvili, K. 2010. Erosion of crop genetic diversity in mountainous regions of Georgia. Mountain Biodiversity Global Change, GMBA-DIVERSITAS, Basel, pp. 23. ISBN 978 3 605835 23 6
9. Ekhvaia J., Eliava G., Khuntsaria A. 2007. Comparative study of the Quantitative parameters of berries and seeds in the autochthonous white grape varieties of the West Georgia. Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. B. 3 (4): 31-34.
10. Ekhvaia, J., Akhalkatsi, M. 2006. Comparative study of the quantitative parameters of berries and seeds in the autochthonous red grape varieties of the Kolkhis (Western Georgia). Proc. Georg. Acad. Sci. Biol. Ser. B. 4:38-46.

6.2.3. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული თეზისები:

1. Ekhvaia, J., Blattner, F. R., Akhalkatsi, M. 2011. Relationships between wild grapevine (*Vitis vinifera* subsp. *sylvestris*) populations and native cultivars in Georgia. Proceedings of the 7th International Congress of Systematics and Evolutionary Biology (ICSEB); Berlin, Germany; February 21-27, 2011

2. **Ekhvaia, J.**, Akhalkatsi, M., Nakhutsrishvili, G., Blattner, F. R. Molecular Systematic study of Georgian autochthonous grape varieties and wild *Vitis sylvestris*. The Second GrapeGen06 Workshop, Conservation and valorisation of grapevine genetic resources (GrapeGen06); Department of Genetics and Plant Breeding, Szent Istvan University, Gödöllő, Hungary; July 8-10, 2008
3. Nakhutsrishvili, G., **Ekhvaia, J.**, Akhalkatsi, M., Beridze, T. 2007. Wild Grapes in Georgia. The First GrapeGen06 Workshop, Conservation and valorisation of grapevine genetic resources (GrapeGen06); Versal, France; March 2007

7. მადლიერება

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი მაია ახალვაცს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით შესაძლებელი გახდა წინამდებარე კვლევის შესრულება. მადლობა მინდა გადავუხადო ფრანკ ბლატნერს და მის განყოფილებას (ლეიბნიცის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევითი ინსტიტუტის ექსპერემენტალური ტაქსონომიის ლაბორატორია: IPK, გატერსლებენი, გერმანია) მოლეკულური კვლევის ჩატარების შესაძლებლობის მოცემის და ხელმძღვანელობისთვის; მაია გურუშიძეს და პეტრა ოსვალდს (IPK, გატერსლებენი, გერმანია) გაწეული ტექნიკური დახმარებისთვის; თენგიზ ბერიძეს (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი) დნმ-ის ტექნოლოგიაში გამოცდილების მიღებისთვის; ვაჟა გოცირიძეს (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი), გია ელიავას და მის თანამშრომლებს (გივი ელიავას სახელობის მარტვილის ეთნოგრაფიული მუზეუმი) საკვლევი მასალის მოწოდებისთვის. მინდა აგრეთვე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს - თენგიზ ღუბელაძეს, მშობლებს - ომარს და ქეთევანს, დებს - ანჟელას და თეა ეხვაიებს თანადგომისთვის და გაწეული დახმარებისთვის.

8. ლიტერატურის სია

1. გამბა, ჟ. 1987. მოგზაურობა ამიერკავკასიაში/მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაში, რომელიც განხორციელდა 1820-1824 წლებში შევალიე გამბას მიერ (მეფის კონსული თბილისში). ტ.1, განათლება, თბილისი.
2. ელიავა, გ., წოწორია, მ. 2002. ძველვოლხური უნიკალური ვაზის ჯიშები. მარტვილი: 51 გვ.
3. კეცხოველი, ნ., რამიშვილი, მ., ტაბიძე, დ. 1960. საქართველოს ამპელოგრაფია. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
4. რამიშვილი, მ. 1986. ამპელოგრაფია. განათლება, თბილისი.
5. რამიშვილი, რ. 1970. რაჭა-ლეჩხუმის ველურად მოზარდი ვაზის შესწავლისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 60, №2.
6. რამიშვილი, რ. 1973. *Vitis vinifera* L.-ს ველურად მოზარდი პოპულაციები არაგვის ხეობაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 70, №3.
7. რამიშვილი, რ. 1988. ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია. თბილისი.
8. ტაბიძე, დ. 1946. საქართველოს ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი და მისი დადგენა-დაზუსტების წესები. საქ. მეცნ. აკადემიის მებაღეობა, მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის შრომები, 4.
9. ტაბიძე, დ. 1954. კახეთის ვაზის ჯიშები. ტექნიკა და შრომა, თბილისი.
10. ყიფიანი, პ. 1890. ხვანჭურა და ღვინის ადგილობრივი წარმოება. “ივერია”, №221, თბილისი.
11. ჩოლოფაშვილი, ს., ჩახნაშვილი, ნ. 1929. მასალები ქართული ვაზის, ჯიშების შესწავლისათვის. ექსპერემენტალური აგრონომიის მოამბე, წიგნი I, თბილისი.
12. ჩოლოფაშვილი, ს. 1938. მასალები საქართველოს XII-XIII სს. ვაზის ჯიშების საკითხებისათვის. კრებული-შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი.

